

**სივრცე**  
**საზოგადოება**  
**ჰოლოცოკა**

**N4**

**2016**

**სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა**

**Ivane Javakhishvili Tbilisi State University**  
**Faculty of Social and Political Sciences**

**4<sup>th</sup> International Scientific Conference**

**SPACE, SOCIETY, POLITICS**

**Scientific Works**

**№4**

**23-25 June, 2016**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

## სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა

სამეცნიერო შრომების კრებული

№4

23-25 ივნისი, 2016



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

**სამეცნიერო რედაქტორები:**

რევაზ გაჩეჩილაძე  
თამარ დოლბაია  
კორნელი კაკაჩია  
რევაზ ჯორბენაძე  
მანანა შამილიშვილი

**Editors:**

Revaz Gachechiladze  
Tamar Dolbaia  
Kornely Kakachia  
Revaz Jorbenadze  
Manana Shamilishvili

**ტექნიკური რედაქტორი**

ნინო აბესაძე

**Technical Editor**

Nino Abesadze

## შინაარსი

### ეკა დარბაიძე

სელექციური აბორტი, როგორც  
გენდერციდი საქართველოში ..... 7

### ვალერიან დოლიძე

წარსული და აწმყო თანამედროვე პოლიტიკაში ..... 21

### ქეთევან ევაძე

კულტურის პოლიტიკა და სამოქალაქო იდენტობა საქართველოში,  
საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ..... 41

### თენგიზ ვერულავა

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა საქართველოში:  
პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები ..... 51

### მანანა კვაჭანტირაძე

სივრცული მოდელები თანამედროვე ქართულ პროზაში ..... 67

### დავით მაცაბერიძე

საქართველოს პოსტ-საბჭოთა პოლიტიკური  
ტრანსფორმაცია საბჭოთა მემკვიდრეობის კონტექსტში:  
კონსტიტუციების წინააღმდეგობრიობის პრობლემა  
(აფხაზეთის მაგალითი) ..... 97

### ვლადიმერ ნაფეტვარიძე, თინა ცხოვრებაძე

ყურღანის ქართული დიასპორის იდენტობის საკითხები ..... 98

### ინა შანავა

ცოლ-ქმრული კონფლიქტების საკვლევი ინსტრუმენტის  
სანდოობისა და ვალიდობის დადგენა ..... 111

### ედიშერ ჯაფარიძე

სამხრეთ კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის  
თანამედროვე გეოპოლიტიკური მდგომარეობა ..... 123

### ქეთევან ჯიშიაშვილი

სივრცის სემანტიკური მოდელები ჯემალ  
კუხალაშვილის ფერწერაში ..... 133

## Contents

### **Eka Darbaidze**

Sex-Selective Abortion as Gendercide in Georgia” ..... 19

### **Valerian Dolidze**

The past and present in modern politics ..... 39

### **Ketevan Epadze**

Cultural policy and Civic Identity in Georgia,  
After the break – up of the Soviet Union ..... 49

### **Tengiz Verulava**

Family Support Policy in Georgia: Problems and solutions ..... 65

### **Manana Kvachantiradze**

Spatial models in modern Georgian prose ..... 78

### **David Matsaberidze**

The Post-Soviet Political Transformation of  
Georgia in the Context of the Soviet Legacy:  
A Problem of Constitutional Battles (The Case of Abkhazia) ..... 80

### **Vladimer Napetvaridze, Tina Tskhovrebadze**

The Issue of Korgan Georgian Diaspora Identity ..... 110

### **Ina Shanava**

Definition of reliability and validity  
of marital conflict research instrument ..... 122

### **Edisher Japharidze**

The Contemporary Geopolitical Situation of  
South Caucasus and Near East ..... 132

### **Ketevan Jishiashvili**

Spatial semantic models in Jemal Kukhalashvili painting ..... 143

## ეკა დარბაიძე

დოქტორი, მონვეული ლექტორი, თსუ

### სელექციური აბორტი, როგორც გენდერციდი საქართველოში

გენდერული თანასწორობის მიღწევა კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება საქართველოში. გაეროს მოსახლეობის ფონდის შეფასებით, აღნიშნული პრობლემა საქართველოში საგანგაშოა, განსაკუთრებით, როდესაც საქმე სელექციურ აბორტს ეხება. მშობლები ხშირად არჩევანს მამრობით სქესზე აკეთებენ, ხოლო მდედრობითი სქესის შემთხვევაში კი ნაყოფის მოცილება ხდება.

ტერმინი „გენდერული სელექცია“, იგივე „სელექციური აბორტი“ ბავშვის სქესის გამო ორსულობის შეწყვეტას და ნაყოფის მოცილებას გულისხმობს, რაც, ძირითადად, აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიურ ქვეყნებში და, მათ შორის, კავკასიაშიცაა გავრცელებული. იმ ქვეყნებში, სადაც ემბრიონული ნაყოფის სელექციური აბორტის შემთხვევები ხშირია, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი საქართველოსაც ახსენებს და აღნიშნავს, რომ ასეთი დისკრიმინაციული პრაქტიკა საზოგადოებაში ქალის როლის არასასურველ სტატუსს უკავშირდება (Human Rights Europe, 2014).

ნაადრევი ქორწინებების აღმოფხვრა, სელექციური აბორტებთან ბრძოლა და ოჯახის დაგეგმვის სერვისის არსებობა – ეს მხოლოდ იმ საკითხთა ნაწილობრივი ჩამონათვალია, რომელთა გადაჭრისაკენ გაერო საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს და რომელთა მოგვარებისათვის შესაბამისი რეკომენდაციები, გაეროს „ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის წინააღმდეგ მომუშავე“ კომიტეტის რიგით 58-ე სესიაზე დაიდო. გაეროს რიგი რეზოლუციები და მნიშვნელოვანი დოკუმენტები სწორედ სქესის ნიშნით აბორტის საკითხს შეეხება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელსაც საქართველომ ხელი 28 სახელმწიფოსთან ერთად მოაწვე-



რა. აღნიშნულ კონვენციაში მოცემულია დებულება, რომლის მიხედვითაც: „სამედიცინო ჩარევა არ არის ნებადართული ბავშვის სქესის გარჩევის მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე გვაქვს სერიოზულ სქესთან დაკავშირებულ მემკვიდრეობითი დაავადების პრევენციასთან“ (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი).

ოჯახების გენდერული შემადგენლობა რეპროდუქციული სტრატეგიის განმსაზღვრელია საქართველოში და მათ მთავარ მიზანს მინიმუმ ერთი ვაჟის ყოლა წარმოადგენს. წარსულში მშობლებს ჰქონდათ იმის საშუალება, რომ მიეღწიათ გენდერული მიზნისათვის და ვაჟის ყოლის სურვილი მეტი შვილების გაჩენის საშუალებით აღმოეფხვრათ, რასაც ძალიან ხშირად მიმართავდნენ კიდევ. თუმცა მაინც გვხვდებოდა ისეთი ოჯახებიც, რომელთაც არ ჰყავდათ ვაჟი ოთხი და ხუთი შვილის შემდეგაც კი, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი საკმაოდ დაბალი იყო. მოგვიანებით სიტუაცია შეიცვალა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებამ, კერძოდ კონტრაცეფციებმა და აბორტმა, ხელი შეუწყო სასურველი გენდერული შემადგენლობის მიღწევას.

საბჭოთა ეპოქაში, საბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობაში ფორმულირებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მთელი სპექტრი მხოლოდ დეკლარირებულ ხასიათს ატარებდა. არასასურველი ორსულობის, დედათა სიკვდილიანობისა და სამშობიარო დაწესებულებების გარეთ მშობიარობის საგანგაშოდ მზარდი ტენდენციის პრევენციის მიზნით, საბჭოთა კავშირის ქვეყნებში აბორტი მხოლოდ 1955 წელს გახდა კანონიერი.

გარდამავალი პერიოდის დაწყებამ ხელი შეუწყო სამედიცინო დაწესებულებებისა და კლინიკების მოდერნიზების პროცესს და 1991 წლიდან თანამედროვე ტექნიკის უცხოეთიდან შემოტანამ მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოში რეპროდუქციული მომსახურების ხარისხი და, შესაბამისად, პრენატალური სქესის ადრეული დიაგნოსტიკა ჩვეულებრივ პროცედურად იქცა. ამრიგად, ულტრაბგერითი გამოკვლევისა და აბორტის ხელმისაწვდომობამ შესაძლებელი გახადა სქესის პრენატალური შერჩევა, რამაც საქართველოში წყვილებს ოჯახების ზომის შემცირება და გენდერული შემადგენლობის შერჩევის შესაძლებლობა მისცა.

1990-იანი წლებიდან საქართველოში დაიწყო ჯანმრთელობის სფეროსთან დაკავშირებული რეფორმების გატარება, რომელიც ჯანდაცვის სექტორის ყველა მიმართულებას მოიცავს და ყურადღებას ამახვილებს სამედიცინო მომსახურების ხარისხზე, ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე, ეფექტურობის ზრდაზე და პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეაბილიტაციაზე.

მდგომარეობა შეიცვალა 90-იანი წლების შემდგომ, როდესაც ქვეყანა აღმოჩნდა უმძიმესი ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევების წინაშე, რამაც დემოგრაფიული კრიზისის შექმნას შეუწყო ხელი. ქვეყანაში შემცირდა შობადობა და დაახლოებით ერთ ქალზე 1,6-ს მიაღწია. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არსებობდა თანხვედრა დაბადებისას სქესთა თანაფარდობის მაჩვენებლის ზრდასა და დამოუკიდებლობის გამოცხადებას შორის, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს პოლიტიკური გარემოს ცვლილების ზეგავლენას ოჯახის დაგეგმვის სტრატეგიაზე.

ჩვენს ქვეყანაში ოჯახის დაგეგმვის პროცესში წამყვანი ადგილი კვლავ აბორტს უკავია, რომლის მაჩვენებელი სტაბილურად მაღალია. აღსანიშნავია, რომ აბორტის სერვისის მოხმარების ტენდენცია, უმეტესწილად, მომდინარეობს ოჯახის დაგეგმვისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებში ქალთა არასაკმარისი განათლებისა და ინფორმირებულობიდან გამომდინარე.


ჩანასახის სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით არსებობს ორი ურთიერთსაინანაღმდეგო მოსაზრება. აბორტის მომხრენი მიიჩნევენ, რომ ჩანასახი არ სარგებლობს ამ უფლებით, რადგან მას არ შეუძლია ამ უფლების გამოყენება. ამასთან, ჩანასახის უფლებას უპირისპირდება დედის უფლება, მოიშოროს არასასურველი ნაყოფი. არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია ექიმ გინეკოლოგთა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სქესის დიაგნოსტიკის აკრძალვა ადრეულ პერიოდში, ქვეყანაში ხელს შეუწყობს ჩრდილოვანი ეკონომიკის ჩამოყალიბებას, რაც არალეგალური აბორტების გავრცელებასა და დედათა სიკვდილიანობის ზრდას გულისმობს. სწორედ ამიტომ გამოსავალს ისინი ისევ და ისევ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაში ხედავენ. აბორტის მოწინააღმდეგენი კი მიიჩნევენ, რომ ჩანასახს სიცოცხლის იგივე უფლება აქვს, როგორც დაბადებულ ადამიანს. ისინი აბორტს ადამიანის მკვლელობის ტოლფასად აღიარებენ. ეს პოზიცია ხშირად რელიგი-

ური წარმოდგენებიდან გამომდინარეობს. აბორტის შესახებ არანაკლებ საინტერესოა მართლმადიდებლური ეკლესიის მიდგომაც. აბორტის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე სწორედ რელიგიაა და ამიტომაც, რელიგიური მოტივიდან გამომდინარე, ბევრი ქალი უარს ამბობს ამ უფლების გამოყენებაზე. წმინდა ეკლესიამ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე განიხილა აბორტის საკითხი და ჩვილთა კვლა კაცის კვლის დანაშაულს გაუტოლა (ანკირიის კრება, კანონი 21; მე-6 მსოფლიო კრება, კანონი 91). საეკლესიო პირები აცხადებენ: „ცოცხალი ორგანიზმი ჩასახვის მომენტიდანვე წარმოიშობა, რომელიც უკვე გენეტიკური კოდისა და ადამიანის მთელი პიროვნული პოტენციალის მატარებელია. ექსპერიმენტულად უკვე დამტკიცებულია, რომ ნაყოფს რთული და მიზანმიმართული რეაქციები გააჩნია გარემო პირობებზე. ეს არსება ტკივილს განიცდის, სიცოცხლის სურვილი აქვს და რაც ქრისტიანისათვის ყველაზე მთავარია – ადამიანის უკვდავი სული გააჩნია, რომლის არასრულყოფილება მხოლოდ ის არის, რომ სხეული – ეს სულის ინსტრუმენტი – არ არის ფორმირებული... ჩვენი უპირველესი მოთხოვნაა, რომ ადამიანის ნაყოფს, როგორც პიროვნებას, დაცვა ესაჭიროება. პრინციპული განსხვავება ნაყოფის მოკვდინებასა და სხვა სახის მკვლევლობას შორის არ არის. აბორტის დაუსჯელობა და იმ ზნეობრივი თუ იურიდიული კანონების უქონლობა, რომლითაც ნაყოფი და მისი ხელშეუვალი უფლება სიცოცხლეზე დაცული იქნება, ყველა დეკლარაციას ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების შესახებ თვალთმაქცობად და უაზრობად აქცევს“ (არქიმანდრიტი რაფაელი „აბორტის ცოდვის შესახებ“).

სელექციურ აბორტს ზოგადად უწოდებენ ფეტუსის რომელიმე არასასურველად მიჩნეული ნიშნის გამო ჩატარებულ აბორტს. სელექციური აბორტის ძალიან გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს აბორტი ფეტუსის სავარუდო სქესის მიხედვით. ეს პრაქტიკა, ძირითადად, მდებარეობითი სქესის ფეტუსის აბორტს გულისხმობს და გავრცელებულია ისეთ საზოგადოებებში, სადაც კულტურული ნორმებით ოჯახში უპირატესობა ენიჭება ბიჭის ყოლას გოგონასთან შედარებით. სქესის მიხედვით შერჩევითი აბორტები განსაკუთრებით ისეთ სახელმწიფოებშია გავრცელებული, როგორიცაა ინდოეთი, ჩინეთი და სამხრეთ კავკასია.

გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენლობის UNFPA-ის მხარდაჭერით, საქართველოში გენდერული ნიშნით სქესის შერჩევასთან დაკავშირებით პირველად ჩატარდა კვლევა. „გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საქართველოში: კონტექსტი, მტიციცებულება და შედეგები“. კვლევამ ცხადყო, რომ სისტემური კვლევის თანახმად, 90-იანი წლებიდან მოყოლებული 2010 წლამდე, საქართველოში შერჩევითი აბორტის გამო, 25 ათასი გოგოა „გამქრალი“ და ეს მოხდა 1990 წლიდან ქვეყანაში დაბადებისას არსებული სქესთა შორის არსებული დისბალანსის შედეგად. დაბადებისას სქესთა მაღალი თანაფარდობის შემთხვევაში, რაც 11 ვაჟი 100 გოგონაზე გულისხმობს, ეს რიცხვი ნელ-ნელა კლებულობს წლების განმავლობაში, რადგან დაბადების კოჰორტის მოცულობა იკლებს შობადობის დაბალი დონის გამო (გილმოტი ზ., 2014). როგორც სქემა გვიჩვენებს, გამქრალი გოგონების მთლიანი რიცხვი შეიძლება 40 000-მდე გაიზარდოს 2020 წლისთვის, 60 000-მდე 2035 წლისთვის და შესაძლოა 2050 წელს 80 000-ს მიაღწიოს.

**ნახ. N 1. საქართველოში გამქრალი გოგონების (20 წლის ასაკის ქვემოთ) პროგნოზირებადი რიცხვი, დაბადებისას სქესთა მაღალი თანაფარდობის სცენარი, 2010-2050 წწ.**



**წყარო:** გილმოტი ზ., „გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საქართველოში“, 2014

კვლევის ავტორის, ფრანგი პროფესორის გილმოტოს გამოთვლებით, 2010 წლისთვის 25 ათასი 0-დან 19 წლამდე გოგონა არ

დაბადებულია საქართველოში და თუ აღნიშნულია ტენდენცია, ანუ გენდერის ნიშნით სქესის სელექცია შენარჩუნდება, იგი სერიოზულ გავლენას მოახდენს საქართველოში დემოგრაფიულ სიტუაციაზე, ვინაიდან კიდევ უფრო დაეცემა შობადობა და ქალთა პოპულაცია იქნება კიდევ უფრო ნაკლები.

ზოგადად, სქესთა შორის სტატისტიკური თანაფარდობის ნორმად მიჩნეულია 1.05, ანუ როდესაც ყოველ 105 დაბადებულ ბიჭს 100 გოგონა შეეფარდება, თუმცა საქართველოში სტატისტიკური ნორმა დარღვეულია და 1.05-ის ნაცვლად არის 1.09, რაც საქართველოში სელექციური აბორტების შედეგია. ამ მხრივ ანალოგიური მდგომარეობაა ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ალბანეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი, სადაც მდგომარეობა საქართველოსთან შედარებით გაცილებით უფრო საგანგაშოა.

კვლევაში, რომელიც ევროსაბჭოს ასამბლეის მოთხოვნის საბაზი გახდა, აღნიშნულია, რომ საქართველოს ეროვნულმა რეპროდუქციულმა ჯანმრთელობის საბჭომ დაადასტურა მონაცემები სქესთა შორის დაბადების ფარდობითობის შესახებ და აღნიშნა, რომ არც ჯანდაცვის საზოგადოება და არც მოსახლეობა სელექციურ აბორტებს მნიშვნელოვან პრობლემად არ მიიჩნევს. კვლევამ დაადასტურა, რომ 2008-2012 წლებში საქართველოში ახალშობილთა სქესის გადანაწილება იყო 112 ბიჭი 100 გოგონაზე იმ დროს, როდესაც გლობალური ბუნებრივი თანაფარდობა არის 105 ბიჭი 100 გოგონაზე. სიტუაცია ბოლო წლებში შედარებით გამოსწორდა და ბუნებრივ თანაფარდობას მიუახლოვდა. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით, ამ მაჩვენებელმა 2014 წელს შეადგინა 107 ბიჭი 100 გოგონაზე. როგორც ექიმ-რადიოლოგები აცხადებენ, მათთან დღეში საშუალოდ 20 პაციენტი მაინც მიდის, რომელთა დაახლოებით 80%-ის მიზანს ექოსკოპიის გაკეთება და მხოლოდ ბავშვის სქესის დადგენა წარმოადგენს. მათი განცხადებით, ხშირად სქესის დიაგნოსტიკის დროს გარეგანი ნიშნები ყოველთვის არ ნიშნავს სქესის სწორ დიფერენცირებას, რადგან იგი იწყება მე-13 კვირიდან და მთავრდება მე-19 კვირაში, რის გამოც ხშირია შემთხვევები, როდესაც ექიმები ცდებიან ბავშვის სქესის დადგენაში.

აღნიშნული ტენდენციის მკვეთრი გამოხატულება საქართველოს რეგიონებში შეიმჩნევა, განსაკუთრებით კი ეთნიკური უმცირ-

რესობებით დასახლებულ რაიონებში, სადაც ბავშვის სქესის წინასწარი დადგენისადმი წყვილებს განსაკუთრებული მოთხოვნილება გააჩნიათ. ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოში ვხვდებით სქესთა თანაფარდობის დონეების შემცირებას. თუმცა განსაკუთრებული აღმავლობა 2008 წელს აღინიშნა შობადობის გაზრდის თაობაზე პატრიარქის 2007 წლის განცხადების შემდეგ. ასევე მოულოდნელი აღმოჩნდა მამრობითი სქესის ბავშვთა შობადობაში ნახტომი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედებების შემდეგ.

2011 წელს ამერიკელმა მწერალმა მარა ჰვისტენდაჰლმა, სქესთა შორის სელექციის პრობლემასა და მშობლების მხრიდან ვაჟის ყოლის განსაკუთრებულ სურვილს წიგნით – „არაბუნებრივი სელექცია: არჩიო ბიჭები გოგოებს და კაცებით სავსე მსოფლიოს შედეგები“ (Unnatural Selection, Choosing boys over girls, and the consequences of a world full of men) – ნათელი მოჰფინა. იგი საკუთარ ბესტსელერში ქალების გენოციდის გამომწვევს სხვადასხვა პრობლემებზე ღიად საუბრობს. ადამიანებს ცხოვრებაში ხშირად საკუთარი მატერიალური და პრაგმატული მიზნები ამოძრავებთ. ისტორიულად, სხვადასხვა კულტურაში უპირატესობა ვაჟიშვილის ყოლას ენიჭებოდა, რასაც მრავალი ახსნა გააჩნია – მაგალითად, სავგარეულო შტოს გაგრძელება და ფიზიკური სამუშაოების შესრულება. ვაჟის ყოლა, განსაკუთრებით კი სოფლებში მცხოვრები ოჯახებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის გახლდათ.

საქართველოში სელექციურ აბორტებს ძირითადად სამი მიზეზი განაპირობებს:

1. საზოგადოებაში ვაჟისადმი უპირატესობის მინიჭება;
2. 90-იანი წლებიდან მოყოლებული შობადობის კლება;
3. რეპროდუქციულ ტექნოლოგიაზე ხელმისაწვდომობა.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, განსაკუთრებით კი მაღალმთიან აჭარაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც მშობლები იტყოდნენ ხოლმე – „სამი“ შვილი მყავს და ორი გოგოო. შვილად უფრო ვაჟი მიიჩნეოდა, ვიდრე გოგონა. აზიურ ქვეყნებში დღემდე ასეა, ვაჟი პროდუქციის მწარმოებლად და გვარის გამგრძელებლად მიიჩნეოდა, ხოლო გოგონა კი – ხარჯის მომტანად, რომელსაც მზითევი სჭირდებოდა. დღეს ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სელექციური აბორტების მიზეზი ქართულ კულტურაში უნდა ვეძებოთ, რო-

მელიც პატრიარქალური კულტურაა და რომლის მიხედვით ოჯახის გვარის გამგრძელებლად ბიჭია მიჩნეული. ქართულ საზოგადოებაში ფარული უპირატეობა ყოველთვის ბიჭს ენიჭებოდა, რაც განპირობებული იყო მამაკაცი მემკვიდრის საჭიროებით. ბაჭის ყოლის სურვილი მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულ პატრიარქალურ სისტემასთან. ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში ისინი უპირატესობას ბიჭს ანიჭებენ, ურჩევნიათ ჰყავდეთ ბიჭი და არა გოგო, რომელიც მათი გვარის გამგრძელებელი იქნება.

სქესის სელექცია წარმოადგენს დისკრიმინაციას სქესის საფუძველზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. კონსტიტუციის მე-14 მუხლი აწესებს ადამიანთა თანასწორობის პრინციპს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი პრინციპია სამართლებრივ სისტემაში. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მათი უფლებები, ვის ინტერესებსაც ზიანი ადგება დისკრიმინაციის შედეგად. ქვეყანამ საკუთარი საკანონმდებლო ბაზით უნდა უზრუნველყოს აბორტისა და თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების კომბინირებით სეროზული გენდერული უთანასწორობის თავიდან აცილება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამომავლოდ გენდერული ბალანსისა და ნორმალური დემოგრაფიისათვის.

გენდერულ სელექციასთან დაკავშირებით ასევე საინტერესოა საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N 01-74 ნ ბრძანება, რომლის მიხედვით, დაუშვებელია სქესის შერჩევის მიზნით ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა.

საქართველოს კანონმდებლობით აბორტი ლეგალურია. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 140-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, 12 კვირამდე ორსულობის შეწყვეტა შესაძლებელია ორსულის სურვილის მიხედვით (გარკვეული წინაპირობების არსებობისას, როგორცაა წინასწარი გასაუბრება, მოსაფიქრებელი ვადა და ა.შ.). 12 კვირის შემდეგ ორსულობა შეიძლება შეწყდეს სპეციალური სოციალური (საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით) და სამედიცინო (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო) ჩვენებების შემთხვევაში. სამედიცინო ჩვენებით აბორტის გაკეთება ნებადართულია ორსულობის 22-ე კვირამდე. აბორტის გაკეთება შესაძლე-

ბელია მხოლოდ და მხოლოდ სათანადო უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, სერტიფიცირებული ექიმის მიერ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლის შესაბამისად, უკანონო აბორტი აკრძალულია და ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ სანქციებს.

საქართველოს სამართლებრივ სივრცეში არ არსებობს სამართლებრივი რეგულირება ნაყოფის სქესის გასარკვევად ჩასატარებელი ექოსკოპიის შესახებ. ჯანმრთელობის დაცვის კანონის 140-ე მუხლის მიხედვით, ორსულობის 12 კვირამდე აბორტის გაკეთება მხოლოდ და მხოლოდ ორსულის სურვილზეა დამოკიდებული. ამასთან ერთად თავისუფალია სქესის გარკვევა ორსული ქალისათვის ორსულობის ნებისმიერ ეტაპზე, რაც აძლევს მას საშუალებას გაიგოს ნაყოფის სქესი და ამავდროულად არ იყოს ამონურული განსაზღვრული 12-კვირიანი ვადა. შედეგად ვიღებთ იმას, რომ კანონი ვერ იცავს 12 კვირამდე ნაყოფს გენდერული დისკრიმინაციისაგან.

ფემინისტური მოძრაობის დიდი დამსახურებით, ამჟამად ევროპულ ქვეყნებში აბორტი ლეგალიზებულია, ხოლო ყოფილი კომუნისტური ბლოკის ქვეყნებიდან აბორტი მხოლოდ პოლონეთშია აკრძალული. რელიგიური მოსაზრებებით აბორტს ირლანდიის კანონმდებლობაც კრძალავს და დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორსულობა დედის ჯანმრთელობას სერიოზულ საშიშროებას უქმნის. სწორედ ამიტომ, მეზობელ ქვეყნებში სტუმრობა აბორტის გასაკეთებლად ორივე ქვეყნის ქალებისათვის ჩვეულ პრაქტიკას წარმოადგენს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში აბორტი 1973 წლიდანაა ნებადართული. აქ ყოველწლიურად 1 300 000 ქალი მიმართავს აბორტს, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველაზე მძლავრი აბორტსაწინააღმდეგო კამპანია სწორედ ამერიკაში არსებობს და რეგულარულ ხასიათს ატარებს.

ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში აბორტი კანონით აკრძალულია. გამონაკლისს წარმოადგენს გენუას რესპუბლიკა და კუბა. ლათინური ამერიკა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი კათოლიკური რეგიონია, კრძალავს აბორტს, თუმცა ეს ფაქტი არ გამოირიცხავს უკანონო აბორტების არსებობას. მაგალითად, ბრაზილიაში ყოველწლიურად დაახლოებით 1 500 000 უკანონო აბორტს აქვს ადგილი (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2014). განსა-



კუთრებით მკაცრად ისჯება უკანონო აბორტი ჩილეს რესპუბლიკაში, სადაც ქალებს, ხშირ შემთხვევაში, პატიმრობა ემუქრებათ.

დღეს აფრიკის ძალიან ცოტა რესპუბლიკაშია აბორტი ნებადართული. აქ ყოველი 100 000 აბორტის შემთხვევიდან 680 სამსახურად სიკვდილით მთავრდება და ამის მიზეზად ცხოვრების ცუდი პირობები სახელდება (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, 2012). ამ მხრივ, ყველაზე ცუდი მდგომარეობაა ეთიოპიასა და ნიგერიაში. ყველაზე მკაცრად აბორტი აკრძალულია ნეპალში, სადაც აბორტი იკრძალება მაშინაც კი, როცა დედის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. აკრძალვის სიმკაცრეზე აქაც რელიგიური ფაქტორი მოქმედებს. სასჯელი ემუქრება როგორც ქალს, ასევე ექიმსაც. მიუხედავად ამისა, აბორტი მაინც კეთდება და ნეპალელ ქალთა 2/3 ციხეში იხდის სასჯელს.

ისევე როგორც აზიის მრავალ სახელმწიფოში, ინდოეთშიც ქალის დაბალი სოციალური სტატუსის გამო, ოჯახები უპირატესობას ვაჟის ყოლას ანიჭებდნენ, რის გამოც აღნიშნულმა ტენდენციამ სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა ინდოეთის მოსახლეობა. 2004 წელს ინდოეთის ხელისუფლებამ სერიოზული ნაბიჯი გადადგა არსებული პრობლემის დაძლევის მიზნით და აიკრძალა მშობლების წინასწარი ინფორმირება ბავშვის სქესის შესახებ, პარალელურად შემუშავდა სპეციალური ხელშემწყობი პროგრამები, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ფინანსურად ეხმარებოდა გოგონას ყოლის შემთხვევაში სიღარიბის ზღვარს მიღმა არსებულ ოჯახებს.

ჩინეთის მრავალწლიანი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად, რომელიც მხოლოდ ერთი ბავშვის ყოლის უფლებას ანიჭებდა ოჯახს, სქესთა შორის დისბალანსმა სახიფათო მაჩვენებელს მიაღწია. 2005 წლის მონაცემებით, 20 წელს ქვემოთ ასაკის მამაკაცი 32 მილიონით მეტი იყო, ვიდრე ქალი, სწორედ ამიტომ, სელექციური აბორტი ჩინეთში ოფიციალურად აიკრძალა. აბორტის გაკეთების შემთხვევაში ექიმს სამუდამოდ ჩამოერთმევა საქმიანობის ლიცენზია და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება. ჩინეთში პარალელურად დაიწყო კამპანია „გავუფრთხილდეთ გოგონებს“, რომელმაც შედეგი გამოიღო და თუ 2005 წელს 120 ბიჭი 100 გოგონას ეფარებოდა, 2011 წელს ეს მონაცემები 113-დღე დაეცა.

ბუნებრივია ჩნდება კითხვა, თუ რა შედეგები შეიძლება მოუტანოს ქვეყანას ფართოდ გავრცელებული სელექციური აბორტე-

ბის ტენდენციამ და ქალთა რაოდენობის კლება? პირველ რიგში იგი უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის დემოგრაფიულ მაჩვენებელზე, რაც შობადობისა და, შესაბამისად, მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას გულისხმობს. ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ საზოგადოება, სადაც მამაკაცთა არაბუნებრივი სიმრავლე შეინიშნება, ვერ პოულობს საკუთარ პარტნიორს და ისინი ძალადობისაკენ არიან მიდრეკილნი. დადგენილია, რომ ძალადობრივი დანაშაულის ზრდის მაჩვენებელი ჩინეთისა და ინდოეთის იმ რეგიონებში შეიმჩნევა, სადაც სქესთა შორის ბალანსი დარღვეულია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სელექციური აბორტების არსებულმა ტენდენციამ შესაძლოა უმძიმესი შედეგები იქონიოს საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, სწორედ ამიტომ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, აღნიშნულ პრობლემაზე ექსპერტთა ჯგუფმა უკვე დაიწყო მუშაობა და საკანონმდებლო ინიციატივა მზადების პროცესშია (ტაბულა, 2014). ასევე მიმდინარეობს მუშაობა სამედიცინო ჩვენებების გადახედვაზე, რომელიც აბორტის სამედიცინო ჩვენებებს დაარეგულირებს.

ამრიგად, დემოგრაფიულ პროცესებზე გავლენას ახდენს ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური და სხვა პროცესები, რაც ცალმხრივი ნამდვილად არ არის. თავად დემოგრაფიული პროცესებიც უკუგავლენას ახდენს საზოგადოებრივ პროცესებზე. ბუნებრივია, რომ პრობლემა, რომელიც დღეს კვლავ აქტუალური რჩება, საზოგადოების მხრიდან მუდმივ ყურადღებასა და ძალისხმევას საჭიროებს. პრობლემა, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესებთან, ქართველი ერის აღწარმოების პოტენციალსა და უსაფრთხოებას საფრთხის წინაშე აყენებს. ვითარების გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია არა მხოლოდ ხელისუფლებისა და მეცნიერთა, არამედ მთელი საზოგადოების სათანადო ძალისხმევა. ფაქტია, რომ აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად კვლავაც მრავალმხრივი და ინტენსიური მუშაობაა საჭირო, რაც ოჯახებსა და საზოგადოებაში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებასა და გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას უკავშირდება. რეკომენდაციების სახით აუცილებლად მიგვაჩნია ისეთი სახის აქტივობების განხორციელება, როგორიცაა:

- საქართველოს ხელისუფლების მუშაობის გაძლიერება აღნიშნული მიმართულებით;
- აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება და მათი იმპლემენტირება;
- მოსახლეობის ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება;
- სქესის, შობადობისა და შვილოსნობის რაოდენობის მონაცემთა რეგულარული კვლევა და შედეგების გამოქვეყნება;
- სპეციალური ტრეინინგების ჩატარება სამედიცინო საზოგადოებისათვის;
- პრობლემის გადაჭრის მიზნით სახელმწიფო სტრუქტურებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში სხვადასხვა სახის მხარდაჭერა და სქესთა თანაფარდობის ანალიზში კომპეტენციის ამაღლება;
- აღნიშნული პრობლემით დაინტერესებისა და დაძლევის მიზნით არასამთავრობო სექტორის მეტი ჩართულობა.

### ბიბლიოგრაფია:

1. ანკირიის კრება, კანონი 21; მე-6 მსოფლიო კრება, კანონი 91.
2. ბრძანება N 67/ნ – „თორმეტ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის სამედიცინო ჩვენებების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 13 მარტის N 30/ო ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე – 28.02.2007. <http://medportal.ge/mohsrv/lawfiles/2043.pdf>, ნანახია: 02.06.2015.
3. გილმოტო გ., ანგარიში „გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საქართველოში“, მომზადებულია UNFPA-ისათვის, 2014 წლის ნოემბერი, <http://ru.calameo.com/books/000713529e550bd4baefa> (ნანახია: 05.07.2015).
4. ევროპის საბჭო. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-2 მუხლი.
5. რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკანონმდებლო მიმოხილვა, საქართველო, 2014, ასოციაცია ჰერა XXI.
6. სერგეენკო: პრობლემა აბორტების რაოდენობა და ე.წ სელექციური აბორტები, ტაბულა, <http://www.tabula.ge/ge/story/78851->

- sergeenko-problemaa-abortebis-raodenoba-da-ets-seleqciuri-abortebi ნანახია: 07.01.2014.
7. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 14.
  8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 133.
  9. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.
  10. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, მუხლი 140, მე-2 პუნქტი.
  11. Commissioner for Human Rights. Nils Muiznieks: Sex-selective abortions should be banned. <http://www.humanrightseurope.org/2014/01/nils-muiznieks-sex-selective-abortions-should-be-banned/>, (ნანახია: 01.15.2014).
  12. Gendercide in the Caucasus, (2013, September 14). *The Economist*, <http://www.economist.com/news/europe/21586617-son-preference-once-suppressed-reviving-alarmingly-gendercide-caucasus>, retrieved: 21.09.2013.
  13. National Committee on Confidential Enquiries into Maternal Deaths, 2012. *Saving Mothers Report, 2008-2010. Saving Mothers Report, 2008-2010.*
  14. World Bank, *World Development Report 2014; Gender Equality and Development* (Washington, DC: World Bank, 2011).

### **Eka Darbaidze**

Doctor of Political Sciences, TSU

### **Sex-Selective Abortion as Gendercide in Georgia”**

#### **Abstract**

Sex-selective abortion is considered as a form of gendercide that is a serious problem not only in Georgia, but also in the Caucasus region. Sex-selective abortion is used to prevent the birth of a child of an undesired sex: abortion is chosen solely on the basis of the unborn baby's gender. The victims of these abortions are overwhelmingly female.

Sex-selection or gender-based sex selection has emerged since the early 1990s as a widespread practice in parts of the Eastern Europe and Central Asia region and now constitutes a significant challenge to the countries affected. The preference of many parents for sons, combined with the use of modern technologies and declining fertility, has skewed the normal ratio between male and female births in several countries, mostly in the South Caucasus and parts of South-East Europe. If nature takes its course, 105 boys are born for every 100 girls. Boys are more vulnerable to childhood diseases, so a slight preponderance

of them at birth ensures equal numbers at puberty. But in Armenia and Azerbaijan more than 115 boys are born for every 100 girls and in Georgia the ratio is 120.

United Nations Population Fund (UNFPA) in Georgia with the support of the system according to the survey, the 90-ies until 2010, due to selective abortion, she is 25 thousand "disappeared". As it turns out in the last 25 years the number of girls born in Georgia is decreasing, mainly due to the sex-selective abortions. If this trend continues, the number will increase to 40,000 by 2020, the year 2050 – 80,000. Selective abortions in Georgia mainly three reasons: society son preference, the birth rate decline, which is due to the poor socio-economic background and access to reproductive technology.

Experts believe that if the status quo is maintained, it will naturally have a grave impact on the demographic situation of Georgia.

To solve the abovementioned problem, first of all it is necessary to work intensively in this regard with the authorities, which of course shouldn't be limited with only the legislative changes. In the first place it is crucial to raise public awareness, and awareness of their dependence on the change of government in the right demographic policy planning, reproductive health and the availability of non-governmental organizations from more involvement.

**ვალერიან დოლიძე**  
ასისტენტ-პროფესორი, თსუ

**წარსული და აწმყო თანამედროვე პოლიტიკაში**

XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში, პოლიტიკური ვნებათაღელვის მიზეზად კვლავ რჩება ახალი და უახლესი ისტორიის ისეთი მოვლენები, როგორც არის ჰოლოკოსტი და სომხების გენოციდი. მათ შესახებ დავამ ისტორიკოსთა აკადემიური წრეებიდან პრაქტიკული პოლიტიკის სფეროში გადაინაცვლა და სერიოზული ვნებათაღელვის წყაროდ იქცა. 2005 წლის 21 ნოემბერს გაერომ მიიღო რეზოლუცია, რომელმაც უარყო ჰოლოკოსტის, როგორც ისტორიული მოვლენის რევიზიონიზმი და დაანესა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა საერთაშორისო ხსოვნის დღე. რიგ ქვეყნებში ჰოლოკოსტის უარყოფა სისხლის სამართლებრივ დანაშაულად არის აღიარებული. კიდევ უფრო დაძაბა პოლიტიკური ცხოვრება გერმანიის მიერ 2016 წელს, 101 წლის წინათ, პირველი მსოფლიო ომის დროს, თურქეთის მიერ მოწყობილი სომხების გენოციდის აღიარებამ, რასაც შედეგად მოჰყვა გერმანიიდან თურქეთის ელჩის განწვევა და გერმანია-თურქეთის ურთიერთობების გამწვავება. აღსანიშნავია, რომ ორივე ეს მოვლენა – ჰოლოკოსტი და სომხების გენოციდი – აკადემიურ წრეებში ერთმნიშვნელოვნად არ არის შეფასებული, რაც შესაბამის დაკიდებულებას წარმოშობს აწმყოში მიღებული გადაწყვეტილებების მიმართაც. ასე, მაგალითად, თურქეთის პრემიერ-მინისტრი ბინარი ილდიმირი აცხადებდა, რომ თურქეთი ვერ დაეთანხმებოდა გერმანიის პარლამენტის გადაწყვეტილებას იმ თემაზე, რომელზედაც ისტორიკოსებიც ვერ შეთანხმებულანო (12). ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, ჰოლოკოსტისა და სომხების გენოციდის პოლიტიკური აქტუალიზაცია აშკარად გვიჩვენებს, რომ პოლიტიკა ერთმანეთთან აკავშირებს აწმყოსა და წარსულს. მაგრამ რატომ არსებობს ასეთი კავშირი და როგორია

მისი განხორციელების მექანიზმები? სწორედ ამ კითხვებზე შევეცდებით პასუხის გაცემას ჩვენს სტატიაში.

კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ „ფილოსოფია მატერიალურ ძალად იქცევა, როცა ის მასებს დაეუფლება“. ამ ციტატაში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ადამიანის ცნობიერება არა მხოლოდ პასიურად ასახავს სინამდვილეს, არამედ მისი გარდაქმნაც შეუძლია. მარქსი საუბრობს ფილოსოფიის შესახებ, მაგრამ სოციალისტური ბანაკისა და საბჭოთა სისტემის დაშლა გვიჩვენებს, რომ პრაქტიკულ ძალად იქცევა არა მხოლოდ ფილოსოფია, არამედ ისტორიული ცოდნაც, როცა ის მასებს დაეუფლება, რადგანაც მას ძალუძს არა მხოლოდ გაბატონებულ ფილოსოფიურ წარმოდგენებს გამოუთხაროს ძირი, არამედ იმ პოლიტიკურ რეჟიმებსაც, რომელთა სადარაჯოზეც ეს უკანასკნელი დგანან. მეცნიერების ცნობილი ისტორიკოსის კუნის აზრით, თუ ჩვენ ისტორიას განვიხილავთ არა როგორც ქრონოლოგიურად მოწესრიგებული ანეგდოტებისა და ფაქტების სანწყობს, მაშინ ის შეიძლება გახდეს მეცნიერების შესახებ არსებული იმ წარმოდგენების ძირეულად გარდაქმნის საფუძველი, რომელიც ჩვენ ჩამოგვიყალიბდა დღეისათვის (3,1). ეს აზრი შეიძლება გავავრცელოთ არა მხოლოდ მეცნიერებაზე, არამედ საზოგადოებასა და პოლიტიკაზეც, რის დადასტურებასაც წარმოადგენს საჯაროობისა და გარდაქმნის პერიოდში, ისტორიული ცნობიერების შეცვლის შედეგად, პოლიტიკური წარმოდგენების რევოლუციური შეცვლა ყოფილ საბჭოთა კავშირში. ისტორიული ცნობიერება ქმნის წარმოდგენას ანწყობზე, ის მისი გაგების, გააზრებისა და შეფასების წყაროს წარმოადგენს და, როგორც ასეთი, თანამედროვე პოლიტიკური წესრიგის სტაბილურობისა და შეცვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზიცაა. მის ზემოქმედებას პოლიტიკონომიურ სისტემაზე შეიძლება დავაკვირდეთ ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის მაგალითზე, რაშიც დიდი როლი შეასრულა სწორედ ისტორიის ახლებურად გააზრების საფუძველზე საზოგადოების წარმოდგენების შეცვლამ არსებული პოლიტიკური წყობის შესახებ.

ისტორიულმა მეხსიერებამ დაშალა მსოფლიო სოციალისტური ბანაკი. საჯაროობისა და პერესტროიკის დროს ისტორიული თემების საჯაროდ განხილვამ ძირეული გადატრიალება მოახდინა ადამიანების გონებაში და ისინი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ არსებული პოლიტიკური წესრიგი არ გამომდინარეობდა მათი ქვეყნე-

ბის განვითარების შინაგანი აუცილებლობიდან, ის გარედან იყო მათთვის თავსმობხვეული, რამაც დიდი ხნით დაამუხრუჭა მათი განვითარება. სოციალიზმის დაშლა ისტორიული ცნობიერების მატერიალიზაციის შედეგი იყო, რამაც წარმოშვა ისეთი მასობრივი ქცევები, რომლებმაც შეცვალეს ყოფილი სოციალისტური ერების პრაქტიკული ფუნქციონირება.

ისტორიის გადაქცევამ იმ მატერიალურ ძალად, რომელმაც დაშლა სოციალიზმი, გვიჩვენა, რომ ისტორია აწმყოშიც განაგრძობს არსებობას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე პოლიტიკური პრაქტიკის ფორმირებაში.

## 1. წარსულის არსებობის წესი აწმყოში

ყოფილ საბჭოთა კავშირსა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, რომ არსებული პოლიტიკური და პოლიტიკონომიური სისტემები წარსულისა და აწმყოს ორგანულ ერთიანობას წარმოადგენენ, რის გამოც წარსულის გადაფასება მათ არსებობას უქმნის საფრთხეს. ეს განპირობებულია იმით, რომ წარსული არსებობას განაგრძობს აწმყოშიც, სადაც ის სამ იპოსტასში გვევლინება:

1. როგორც ინფორმაცია წარსულის შესახებ – ეს არის წარსული, რომელსაც აწმყოში შეწყვეტილი აქვს ფიზიკური არსებობა და არსებობს როგორც ინფორმაცია იმის შესახებ რაც იყო და აღარ არის. ის მოცემულია ისტორიის სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო შრომებში, ისტორიულ წყაროებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და პიროვნებებისა და საზოგადოების ცნობიერებაში. მაგალითად, დიდგორის ომი, ბატონყმობა, თურქეთის იმპერია, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და ა.შ.; წარსულის ამგვარმა არსებობამ აწმყოში შეიძლება წარმოშვას დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების ან კიდევ ძველი დიდების აღდგენის და ა.შ. მოთხოვნები და მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებზე, შექმნას მისი ახალი აქტორები და სხვ.

2. როგორც აწმყოში არსებული წარსულის არტეფაქტები – ეს არის ისეთი წარსული, რომელიც აწმყოშიც განაგრძობს ფიზიკურ არსებობას, მაგრამ დაკარგული აქვს თავისი ის ფუნქციები, რისთვისაც ისინი შეიქმნენ წარსულში. მაგალითად, კოლხური ცული



და სხვადასხვა სამუზეუმო ექსპონანტები, ისტორიული ძეგლები (ციხე გოჯი, გორის ციხე და სხვ).

3. ცოცხალი, აქტიური წარსული, ანუ ისეთი წარსული, რომელიც არა მხოლოდ პასიურად განაგრძობს არსებობას ანმყოში, არამედ მისი პოლიტიკური ცხოვრების პრაქტიკული ფუნქციონირების აუცილებელი მექანიზმია, მისი შემადგენელი ნაწილია, რის გამოც მასში განხორციელებულ ცვლილებებს შეუძლიათ შეცვალონ არსებული პოლიტიკური სინამდვილე. ასეთი წარსული ანმყოს განუყოფელი ნაწილია, რომელიც განსაზღვრავს მის თავისებურებასა და განვითარების მიმართულებას, გარკვეულ საზღვრებში აქცევს მის ფუნქციონირებას. ასეთი მოვლენები შლიან განსხვავებას ანმყოსა და წარსულს შორის, ერთ მთლიან მოვლენად აქცევენ მათ. ასეთია ყველა პოლიტიკური ინსტიტუტი, ანმყოში მოქმედი ხელშეკრულებები და კონსტიტუციები, ან კიდევ წარსულში განხორციელებული გარკვეული მოვლენები, რომლებიც საკუთარი შედეგებით უშუალოდ ახდენენ გავლენას ანმყოზე (მაგალითად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში). ამ დროს წარსული იქცევა იმ მზიდ კედლად, რომელსაც ანმყო ეყრდნობა. ასეთი წარსულის შემთხვევებია 1936 წელს დადებული მონტრეს კონვენცია, რომელიც დღესაც განსაზღვრავს შავი ზღვის სრუტეების ფუნქციონირების რეჟიმს, ან კიდევ ყარსის ხელშეკრულება, ნებისმიერი დღეს მოქმედი პოლიტიკური პარტია და სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციები – ნატო, გაერო, ევროკავშირი და სხვ.

ანმყოსა და წარსულს შორის არსებული კავშირი განსაზღვრავს იმ ფუნქციებს, რომელსაც ისტორია ასრულებს თანამედროვე პოლიტიკური პრაქტიკის ფუნქციონირებაში:

1. თანამედროვე პოლიტიკის შემეცნების წყარო;
2. ინტერესების შეცნობის, არტიკულაციისა და ლეგიტიმაციის წყარო;
3. ნაციონალური და პოლიტიკური იდენტობების ფორმირების საშუალება;
4. კომუნიკაციისა და პოლიტიკური მობილიზაციის საშუალება.

## 2. ისტორია, როგორც თანამედროვე პოლიტიკის შემეცნების წყარო

პოლიტიკური აქტიურობა არსებული პოლიტიკური რეალობის შემეცნებით იწყება. სწორედ ეს განსაზღვრავს ისტორიის, როგორც აწმყოს შემეცნების საშუალების მნიშვნელობას პოლიტიკისათვის. ეს არის ფუნქცია, რომელსაც ისტორიის ყველა სხვა ფუნქცია ეფუძნება პოლიტიკაში. ეს განპირობებულია იმ კავშირის თავისებურებით, რომელიც აწმყოსა და წარსულს აერთიანებს. აწმყო წარსულის შედეგია, რის გამოც თანამედროვეობის როგორც თავისებურებანი, ასევე არსებობის მიზეზებიც, საბოლოო ჯამში, წარსულით არიან განპირობებულნი. ამიტომ ისტორიაში, როგორც ადამიანის ბიოგრაფიაში, ჩანს არსებული პოლიტიკური წესრიგისა და ინსტიტუტების არსებობის მიზეზები, მოვლენათა ისტორიულ თანამიმდევრობაში ვლინდება აწმყოს პოლიტიკური ინსტიტუტების ბუნება, პოლიტიკური ცხოვრების მოძრაობის ვექტორი. წარსულის შემეცნებას შეუძლია ძირი გამოუთხაროს პოლიტიკურ მითებს, რომლებსაც თანამედროვე რეჟიმებისა და პოლიტიკური პრეტენზიების ლეგიტიმაცია ეფუძნება. პოლიტიკის აწმყოს შემეცნებაში ისტორიული კვლევის მნიშვნელობა კარგად გამოჩნდა 1440 წელს ლორენცო ვალას მიერ კონსტანტინეს საჩუქრის სიყალბის დამტკიცების შემთხვევაში, როცა ისტორიული ქვშმარიტების დადგენამ ძირი გამოუთხარა პაპის პრეტენზიებს დასავლეთ რომის იმპერიის ტერიტორიებზე. ისტორიის მეცნიერული ცოდნა ადგილს აღარ ტოვებს პოლიტიკური მითების არსებობისათვის. ამიტომ ის ძირს უთხრის ისეთი რეჟიმებს, რომელთა ლეგიტიმაციაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პოლიტიკური მითები. იმის შესაბამისად, თუ რამდენად ობიექტურ ცოდნას აწვდის საზოგადოებას, ისტორია ხელს უწყობს მითოლოგიზებული ან მისგან თავისუფალი პოლიტიკური ცნობიერების შექმნას. ამიტომ ისტორიის შესწავლით მიღებული ცოდნა ახდენს თანამედროვე პოლიტიკური წესრიგის და რეჟიმების დესაკრალიზაციას ან კიდევ საკრალიზაციას, რითაც, შესაბამისად, აძლიერებს ან ასუსტებს მათ.

თანამედროვე პოლიტიკის შემეცნებაში ისტორია მონაწილეობს აგრეთვე, როგორც აწმყოს წარსულთან შედარების ობიექტის შემქმნელი. როგორც პიტერ ლასლეტი აღნიშნავს: „ჩვენ ძალგვიძს

ჩვენივე თავისა და გარესამყაროს სივრცესა და დროში ჯეროვანი შემეცნება მხოლოდ მაშინ, როცა ვფლობთ შედარების საგანს. ისტორიკოსების ერთ-ერთ მთავარ ამოცანასაც სწორედ ამგვარი შედარების საგნის გამორკვევა წარმოადგენს (1,32)“. Sean Cannady-სა და Paul Kubicek-ის N სტატიაში – NN “Nationalism and legitimation for authoritarianism: A comparison of Nicholas I and Vladimir Putin” (10) – ნიკოლოზ პირველის ნაციონალიზმი გვევლინება, როგორც პუტინის ნაციონალიზმის შედარების საგანი, რომლის გამოყენებითაც ავტორები ცდილობენ აღმოაჩინონ მსგავსება ნიკოლოზ პირველისა და პუტინის მიერ ნაციონალიზმის გამოყენების პრაქტიკაში.

ქმნის რა მათი შედარების საგანს წარსულში, ისტორია თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრებისა და ინსტიტუტების ღრმად გაგებისა და გააზრების ინსტრუმენტად გვევლინება, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ამოვიცნოთ მათი განვითარების ვექტორი, ჩავწვდეთ თანამედროვე პოლიტიკური აქტორების ბუნებასა და თავისებურებებს. ანმყოსა და წარსულის შედარება წარმოაჩენს წარსულსა და ანმყოს შორის არსებულ კონტრასტს. ის გვიჩვენებს, თუ რა შესძინა და რა დააკარგვინა ისტორიამ თანამედროვეობას, პასუხს სცემს კითხვაზე „რანი ვიყავით და რანი ვართ“, რითაც გვეხმარება სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ვექტორის ამოცნობაში. ისტორია წარმოადგენს სარკეს, რომელშიც თანამედროვეობა აისახება. ეს კონტრასტი საშუალებას იძლევა აგრეთვე, რომ აღმოვაჩინოთ პოლიტეკონომიური სისტემების განვითარების მიმართულება – რა თვისებებს კარგავენ და რა თვისებებს იძენენ ისინი, ვაჩვენოთ იმ პოლიტიკური შეხედულებების უსაფუძვლობა და ისტორიული შეზღუდულობა, რომლებიც თანამედროვე პოლიტიკური თანაცხოვრების იდეოლოგიური საყრდენებია, რადგანაც ისინი წარსულში შექმნილ კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტში წარმოშობილ ანმყოს წარმოადგენენ, რომლებიც უკვე ველარ პასუხობენ შეცვლილი საზოგადოებრივ-ეკონომიკური კონტექსტის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნებს. იგივე შეიძლება ითქვას პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და რეჟიმებზე. პოლიტიკური სტრუქტურები და რეჟიმები, რომლებიც წარმოიშვნენ წარსულის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონტექსტში, ხშირად განაგრძობენ არსებობას ანმყოში, როცა მათი არსებობისათვის აუცილებელი ობიექტური პირობები უკვე წარსულში

დარჩა. ასეთ შემთხვევაში ისინი ინერციით განაგრძობენ ფუნქციონირებას, უპირისპირდებიან ახალ საზოგადოებრივ კონტექსტს. ამიტომ მათი აწმყოსა და წასულის შედარება საშუალებას იძლევა ნაჩვენები იყოს მათი ანაქრონიზმი და შეცვლის აუცილებლობა.

### **3. ისტორია: პოლიტიკური ინტერესების შეცნობა, მათი არტიკულაცია და ლეგიტიმაცია**

ისტორია, როგორც თანამედროვე პოლიტიკური სინამდვილის შემეცნების საშუალება და შედარების ობიექტის შემქმნელი, ხშირად ინტერესების შემეცნების, არტიკულაციისა და ლეგიტიმაციის წყაროდ გვევლინება. ამ დროს არც თუ იშვიათად წარმოიშობა ხოლმე წინააღმდეგობა თანამედროვე პოლიტიკური წესრიგის ლეგიტიმაციის ისეთ ორ წყაროს შორის, როგორც არის ისტორია (წარსული) და სამართალი, რომელიც წარმოდგენილია იმ იურიდიული დოკუმენტებით (ხელშეკრულებები, კონსტიტუციები), რომლებსაც აწმყოში არსებული პოლიტიკური წესრიგი ეყრდნობა. ეს განსაკუთრებით აშკარაა იმ ტერიტორიების შემთხვევაში, რომლებიც ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა სახელმწიფოების შემადგენლობაში შედიოდნენ. ასე მაგალითად, სომეხი ნაციონალისტების ერთი ნაწილი იმ მოტივით, რომ ყარსისა და მოსკოვის ხელშეკრულებებმა თურქეთის, საქართველოსა და ზერბაიჯანის სასარგებლოდ შეცვალეს სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური გეოგრაფია, რის გამოც სომხეთმა დაკარგა თავისი ისტორიული ტერიტორიები, მოითხოვენ მათ დენონსაციას. 1990 წლის მაისში სომხეთში ჩატარებული პირველი დემოკრატიული არჩევნების დროს, სომეხი ნაციონალისტების რადიკალური ნაწილი მოითხოვდა, რომ მომავალ პარლამენტს მიეღო უკვე მომზადებული კანონპროექტი ყარსის ხელშეკრულების დენონსაციის შესახებ (14). 2016 წელს კი სომხებმა ხელი მოაწერეს რუსეთის დუმისადმი წარსადგენ პეტიციას, რომელშიც მოითხოვენ 1921 წლის მოსკოვის ხელშეკრულების გაუქმებას (11).

ერთ დროს თურქეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ტერიტორიების თანამედროვე სამართლებრივი სტატუსი, ისტორიული თვალსაზრისით, არალეგიტიმურად მიაჩნიათ თანამედროვე თურქეთის ხელმძღვანელებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა და-

ვითოლლუს მიერ წარმოთქმული სიტყვა საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში, 2011 წელს, მეტად საგულისხმო სახელწოდების კონფერენციაზე „დიდი თურქეთი“: შემთხვევითი არ არის ის, რომ ტრიპოლიტანიის ომის ასწლიან იუბილეზე ლიბიასთან დაკავშირებული საკითხი ისევ ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ჩვენ ლიბიის პრობლემებს განვიხილავთ, როგორც საკუთარ პრობლემებს. ჩვენ ვფლობთ ფართო გეოგრაფიულ მემკვიდრეობას.... საზღვრების გაჩენას თურქეთსა და სირიას, ერაყსა და კავკასიას შორის არ გააჩნია არც გეოგრაფიული, არც კულტურული და არც დემოგრაფიული საფუძვლები. ისევე, როგორც სახელმწიფო (იგულისხმება ოტომანთა იმპერია) ტრიპოლიტანიის ომიდან მოყოლებული, 12 წლის განმავლობაში დაიშალა ნაწილებად, და ამ სახელმწიფოს ფუძის ჩამყრელი ელემენტები ფსიქოლოგურად და ისტორიულად გამოეყვნენ ერთმანეთს, რათა მათი ჩანაცვლება მომხდარიყო ახალი რესპუბლიკით, ასევე ჩვენ დღეს გვჭირდება ამ დამსხვრეული და ფრაგმენტიზირებული ერის ელემენტების კვლავ გაერთიანება. კითხვა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ გავაერთიანებთ ჩვენ ამ გეოგრაფიას? როგორ შევქმნით ჩვენ ახალ თაობას, რომელიც შეძლებს შექმნას ისეთი ისტორიული დინება დანაწევრებული ისტორიისაგან, რომელიც დიდი იმედით იქნება მიმართული მომავლისაკენ. ამიტომ „დიდი თურქეთისაკენ“ სწორი სახელწოდებაა (იგულისხმება კონფერენციის დასახელება) (4,178). ამ გამოსვლაში ისტორიული ლეგიტიმაციის საფუძველზე კითხვის ქვეშ არის დაყენებული მახლობელი აღმოსავლეთის მთელი თანამედროვე პოლიტიკური გეოგრაფია და მისი სამართლებრივი ლეგიტიმაცია. 2012 წელს ერდოგანმა განაცხადა: „ჩვენ ვზივართ ჩვენი წინაპრების მემკვიდრეობაზე, ოტომანის სახელმწიფოზე, რომელიც მსოფლიოს მართავდა 600 წლის განმავლობაში. ჩვენ უნდა ავალორძინოთ ოტომანთა შეგნება“ (4,178). იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავიგოთ ოტომანთა შეგნება, წარმოდგენას გვაძლევს 2015 წლის მაისში ერდოგანის მგზნებარე მოწოდება – გაათავისუფლონ იერუსალიმი: „ჩვენ შევკრებთ ქურთებსა და არაბებს, მთელ სამუსულმანო სამყაროს, შევიჭრებით იერუსალიმში და შევქმნით ერთ მსოფლიო ისლამურ იმპერიას“ (7).

წინააღმდეგობა ისტორიულსა და სამართლებრივ ლეგიტიმაციას შორის საფუძვლად უდევს იაპონიის მიერ რუსეთისადმი წამო-

ყენებულ ტერიტორიულ პრეტენზიებსაც. იაპონელებს მიაჩნიათ, რომ კურილიის კუნძულები მათი ისტორიული ტერიტორიაა. ისინი ეყრდნობიან რუსეთსა და იაპონიას შორის 1855 წელს დადებულ სიმოდის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც კუნაშირი, იტურუპი, შიტოკანი, ხაბომაი აღიარებული იქნა იაპონიის ტერიტორიებად, ხოლო სახალინი კი ერთობლივი მოხმარების ტერიტორიად რჩებოდა. 1904-1905 წლის რუსეთ-იაპონიის ომის შედეგად ეს კუნძულები და სახალინი გადავიდა იაპონიის ხელში. რუსების აზრით, ამ დავას წერტილი დაუსვა მეორე მსოფლიო ომმა, როცა იაპონიამ ხელი მოაწერა უპირობო კაპიტულაციას, რომლის შედეგადაც საბჭოთა კავშირმა მიიღო კურილიის კუნძულები და სახალინის ნახევარი(15). მიუხედავად იმისა, რომ რუსეთსა და ჩინეთს შორის მოგვარებულია სასაზღვრო დავა, ჩინელი ექსპერტები მაინც საუბრობენ ხოლმე მე-19 საუკუნის ბოლოს რუსეთის მიერ ანექსირებული 1,5 მლნ.კვ. კილომეტრის ჩინური ტერიტორიის შესახებ, რომლის ანექსიაც მოახდინა მეფის რუსეთმა მე-19 საუკუნის ბოლოს (13), რითაც ისინი ეჭვის ქვეშ აყენებენ არსებული საზღვრების ლეგიტიმაციას, თუმცა იაპონელებისაგან განსხვავებით, ოფიციალურ დონეზე მათ საზღვრების შეცვლის მოთხოვნა არ დაუყენებიათ.

#### **4. ისტორია, როგორც ეროვნული და პოლიტიკური იდენტობის შექმნის საშუალება**

ისტორია არა მხოლოდ აწმყოს შემეცნების, არამედ ეროვნული და პოლიტიკური იდენტობის შექმნის საშუალებასაც წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა თანამედროვე თურქეთის მშენებლობის პროცესში, რომლის დროსაც თურქეთი რელიგიური და მრავალეროვანი იმპერიიდან საერო სეკულარულ სახელმწიფოდ იქცა. ყოველივე ეს ქემალისტური იდეების პრაქტიკული განხორციელების შედეგი იყო. ქემალიზმი, როგორც პოლიტიკური იდენტობა შედგება ექვსი პრინციპისაგან: 1. რესპუბლიკანიზმი; 2. ნაციონალიზმი; 3. ხალხურობა; 4. ეტატიზმი; 5. ლაიციზმი; 6. რევოლუციონერობა (2,157). მათი ცხოვრებაში გატარება მოითხოვდა თურქეთის ისტორიის ახალი ვერსიის ფართოდ გავრცელებას საზოგადოებაში, რასაც უნდა უზრუნველყო მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის აუცილებელი პოლიტიკური და იდეოლოგიური გა-

რემო. სულთნის ხელისუფლების რესპუბლიკით შეცვლის ლეგიტიმაცია, უპირველეს ყოვლისა, საჭიროებდა ამ ნაბიჯის მიზანშეწონილობის დასაბუთებას, რაც სულთნის ხელისუფლებისა და ოსმალეთის იმპერიის კრიტიკის გარეშე შეუძლებელი იყო. სამისო არგუმენტების წყაროს კი თურქეთის ისტორია წარმოადგენდა.

ხალხურობა და ნაციონალიზმი მოითხოვდა თურქი ხალხისათვის ისეთი დამსახურებებისა და თვისებების პოვნას, რომელიც ეროვნული სიამაყის გრძნობას წარმოშობდა დიდი ცივილიზაციისა და კულტურის მქონე ეროვნული კოლექტივისადმი კუთვნილების განცდის საფუძველზე, რომლის ისტორია არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ოტომანთა ისტორიით. საჭირო იყო იმის ჩვენება, რომ იმპერიის პერიოდი სრულებითაც არ ყოფილა საუკეთესო პერიოდი თურქეთის ისტორიაში და რომ თურქებს მსოფლიო ცივილიზაციაში გაცილებით უფრო დიდი ხნით შეჭქონდათ საკუთარი წვლილი, ვიდრე ისინი მუსულმანები გახდებოდნენ ან კიდევ შეიქმნებოდა თურქეთის იმპერია. ასეთი ხედვა რესპუბლიკანიზმისა და ლაციზმის იდეოლოგიურ საფუძვლებს ამაგრებდა, რადგანაც ნიადაგს აცლიდა სულთნის ხელისუფლებას.

დიდი ხალხისადმი კუთვნილების გრძნობის განვითარება კლასობრივი იდენტობის დასუსტებასა და ნაციონალური ერთობა-სოლიდარობის შეგნების გაძლიერებას უწყობდა ხელს, რაც ასევე ძირს უთხრიდა პრივილეგიების არსებობის ლეგიტიმურობასაც. ისტორია თურქი ხალხის განდიდების დისკურსს ავითარებდა და თურქული სეკულარული ნაციონალიზმის ფორმირების იდეოლოგიურ საფუძვლებს ქმნიდა ეროვნული იდენტობის განვითარების საფუძველზე.

1930-იანი წლების დასაწყისში გამოვიდა „თურქეთის ისტორიის თეზისები“, რომელშიც გატარებული იყო ის თვალსაზრისი, რომ თურქეთის მიგრაციამ ცენტრალური აზიიდან ევროპისაკენ და ანატოლიისაკენ ხელი შეუწყო მსოფლიო ცივილიზაციის პროგრესს. ავტორები ცდილობდნენ ეროვნული სიამაყის წყაროდ ექციათ არა იმპერია, არამედ თურქი ხალხის მიღწევები. სასკოლო სახელმძღვანელოებში აქცენტები კეთდებოდა პრეისლამისტური მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე, ხოლო ოტომანთა ისტორიას კი ნაკლები ყურადღება ეთმობოდა.

ევროპის ინტეგრაციის პროცესში წარმოშობილმა სირთულეებმა მთელი სიმწვავეთ წარმოაჩინა ისტორიული ცოდნის მნიშვნელობა ინტეგრაციის ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტის საქმეში, როგორც არის ზეეროვნული ევროპული იდენტობის ფორმირება. ამ კონკრეტული პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტის პროცესში ისტორია მონაწილეობს, როგორც ისტორიული მეხსიერების პოლიტიკის ფორმირების წყარო. ასეთი პოლიტიკის მნიშვნელობა აშკარად გამოჩნდა ევროპული ინტეგრაციის გზაზე წარმოშობილი სირთულეების ფონზე.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ტრანსნაციონალური კოლექტიური იდენტობისა და ასეთივე მეხსიერების შექმნის მცდელობა ევროპული ინტეგრაციის დასაწყისშივე იყო მოქცეული ევროპული ელიტების ყურადღების ცენტრში. ამ პროცესში ტრადიციულად ორიენტირების ობიექტებს წარმოადგენდნენ: 1. ევროპული მემკვიდრეობის ერთნაირი გაგება, რომელიც ხაზს უსვამდა საერთო კულტურას, როგორც ევროპული იდენტობის გადამწყვეტ ელემენტს და თავს იკავებდა ისტორიის რომელიმე კონკრეტულ ელემენტზე ან რომელიმე სპეციკურ პერიოდზე მითითებისაგან; 2. ორი მსოფლიო ომი, რომლის შედეგად გამონეწეულმა უბედურებებმა ბიძგი მისცეს „ევროპის“, როგორც ზეეროვნული მშვიდობის პროექტის შექმნას, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული რადიკალური ნაციონალიზმის გამოვლინების მსგავსი უკიდურესობები მომავალში; 3. ევროპული ინტეგრაცია, რომლის ისტორიული მიღწევები თავად ასრულებენ თვითლეგიტიმაციის ფუნქციას კავშირისათვის და რაც დადასტურებულია (ისტორიული მიღწევები – ვ.დ.) მისი ოფიციალური სიმბოლოებით (ევროპის დროშა, ევროპის ჰიმნი და ევროპის დღე) (8,15). მაგრამ მხოლოდ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში გახდა სრულად აღიარებული ევროპული ინტეგრაციის გაძლიერებისა და მისი თვითდაცვის გადამწყვეტ ელემენტად არა მხოლოდ ევროპული მოქალაქეობის, არამედ ევროპული იდენტობისა და კოლექტიური ევროპული მეხსიერების განვითარება. ამას ხელი შეუწყო ევროპული კონსტიტუციის პროექტის წარუმატებლობამ, განსაკუთრებით კი საფრანგეთისა და ნიდერლანდების რეფერენდუმის მიერ კონსტიტუციის პროექტის უარყოფამ 2005 წელს, რამაც გამოავლინა მოსახლეობის მზარდი იმედგაცრუება ევროპის „მაღალი პოლიტიკით“. ამან ნათლად აჩვენა ისეთი გადამ-



წყვეტი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობა, რომლებიც გასცდებოდნენ სიმბოლური პოლიტიკის საზღვრებს. ამის შედეგად დაიწყო მოქალაქეობის ახალი პროგრამის – ევროპა მოქალაქეებისათვის პროგრამის განხორციელება, რომლის მოქმედების ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავდა 2007-2013 წლებს. მის მიზანს წარმოადგენდა საერთო ღირებულების, ისტორიისა და კულტურის შეცნობის საფუძველზე კოლექტიური ევროპული იდენტობის გრძნობის განვითარება. თუ ადრე ევროპული იდენტობის ფორმირების პოლიტიკა არ გამოყოფდა ევროპის ისტორიის რომელიმე კონკრეტულ მოვლენას ან პერიოდს, ახალმა პროგრამამ ყურადღება გაამახვილა მეოცე საუკუნის ისეთ სპეციფიკურ ისტორიულ მოვლენებზე, როგორც იყო მოსახლეობის მასობრივი განადგურება და დეპორტაციები, საკონცენტრაციო ბანაკები. ასეთი ფოკუსირება ისტორიის სპეციფიკურ მოვლენებზე გამართლებული იყო იმ ვარაუდით, რომ: 1. ევროპის ისეთი ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობის შეფასებისათვის, როგორც არის თავისუფლება, დემოკრატია და ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო იმის ხსოვნა, თუ როგორ არღვევდნენ მათ მეოცე საუკუნის ტოტალიტარული რეჟიმები. 2. სწორედ ევროპის ძალადობრივი წარსულისა და კერძოდ კი მეორე მსოფლიო ომის შესახებ ცოდნის გაძლიერებას შეეძლო სერიოზულად დაეფიქრებინა მოქალაქეები ისეთ საკითხებზე, როგორც არის ევროპის კავშირის წარმოშობა, ევროპის ინტეგრაციის, როგორც ისეთი ცივილიზაციური პროექტის ისტორია, რომელიც მშვიდობას იცავს მის წევრებს შორის, აგრეთვე თანამედროვე ევროპა, და ყოველივე ამის საშუალებით ევროპელები გასცდენოდნენ წარსულის ჩარჩოებს და აეშენებინათ მომავალი (8,16).

## **5. ისტორია, როგორც კომუნიკაციისა და პოლიტიკური მობილიზაციის საშუალება**

ისტორიის გავლენა პრაქტიკულ პოლიტიკაზე გაშუალებულია საზოგადოების ისტორიული მეხსიერებით, რომლის ფორმირება ხდება არა იმდენად ისტორიკოსების, რამდენადაც პოლიტიკოსების, მწერლების, პოეტების, ჟურნალისტების, საზოგადო მოღვაწეების, რეჟისორების, საზოგადოების რიგითი წევრების მიერ. რო-

გორც თურქი მკვლევარი ერკენი აღნიშნავს, უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო ის, კითხულობდნენ თუ არა ალფარსლან თურქეში, ერბაკანი და დანდერ ტასერი თურქულ ისტორიულ ლიტერატურას, ვიდრე ის, თუ როგორ ახდენდნენ ისინი იქ არტიკულირებული იდეების მანიპულაციას პოლიტიკური მობილიზაციისათვის (4,71).

საზოგადოების ისტორიული მეხსიერება – საზოგადოების ცნობიერებაში დამკვიდრებული ინფორმაცია წარსულის შესახებ – ყალიბდება პოლიტიკური კომუნიკაციების პროცესში. ამ დროს წარსულის იტერპრეტაცია ხდება აწმყოში არსებული მოთხოვნების შესაბამისად, კომუნიკატორები საზოგადოებას გადასცემენ ისეთ ინფორმაციას, რაც მათი პოლიტიკური პოზიციების გასამყარებლად არის საჭირო და უგულვებლყოფენ იმას, რაც მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამას შეიძლება ვუნოდოთ ისტორიის დეისტორიზაცია, რადგანაც ხდება იმ ისტორიული პროცესების იგნორირება, რომლებმაც წარმოშვეს კონკრეტული ფაქტი, ამ უკანასკნელის ამოგლეჯა კონკრეტული ისტორიული კონტექსტიდან და შელამაზება აწმყოს პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად. სხვა სიტყვებით, – კომუნიკატორები უფრო ხშირად ოპერირებენ ქეისებით.

პოლიტიკური კომუნიკაციების დროს, ხშირად ადგილი აქვს ისტორიულ დედუქციონიზმს – ისტორიის გამარტივებას კომუნიკატორის ინტერესების შესაბამისად. ადამიანები ისტორიაში ეძებენ და ნახულობენ იმას, რაც მათ აწმყოს პოზიციებს ამყარებს. სწორედ ამის შედეგია როგორც დეისტორიზაცია, ასევე ისტორიული დედუქციონიზმი. პოლიტიკური კომუნიკაციების პროცესში ხშირად მიმდინარეობს აგრეთვე ისტორიის გათანამედროვეობა – ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში არსებული პოლიტიკური აქტორებისათვის დამახასიათებელი ქცევების, თვისებების, მოქმედებების, წარმატებების მიწერა აწმყოში მოქმედი პოლიტიკური აქტორებისათვის, რის შედეგადაც ხდება მათ შორის არსებული განსხვავების იგნორირება. ამ დროს იკარგება ისტორიის ისეთი არსებითი ნიშანი, როგორიც არის ცვლილება.

პოლიტიკაში ისტორია, როგორც მხარდამჭერთა მობილიზაციის საშუალება, შეიძლება პოპულიზმის წარმოშობის წყაროდაც მოგვევლინოს, რადგანაც აწმყოში არსებული პრობლემები ყოველთვის არ არის ისტორიული განვითარების შედეგი. ასეთ შემთხვე-

ვაში ისტორიისადმი მიმართვა რეალური პრობლემების გადაჭრის გზების არცოდნას ნიღბავს და აყალიბებს ყალბ პოლიტიკურ ცნობიერებას.

ისტორიული თემების საფუძველზე წარმართული პოლიტიკური კომუნიკაციის პროცესში, არსებული რეჟიმის დესაკრალიზაციის კარგი მაგალითია, ისტორიული დისკუსიების შედეგად, საბჭოთა სისტემის ლეგიტიმაციის დასუსტება, რამაც გამოიწვია მისი დაშლა. ეს მნიშვნელოვნად განაპირობა საბჭოთა საზოგადოების ახალი ისტორიული მეხსიერების ფორმირებამ, რაშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა გარდაქმნისა და საჯაროობის პოლიტიკამ, რადგანაც მან საშუალება მისცა საზოგადოებას, რომ საჯაროდ განეხილა მანამადე ტაბუდადებული ისტორიული თემები. აღსანიშნავია, რომ ასეთი მეხსიერება სტიქიურად ფორმირდებოდა საზოგადოების აქტიურობის შედეგად, რაც ძირს უთხრიდა მეხსიერების ოფიციალურ პოლიტიკას, რომლის გარდაქმნა, ახალი მოთხოვნების შესაბამისად, კომუნისტურმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო. სწორედ ამიტომ დამარცხდა ის ახალი ისტორიული მეხსიერებისათვის ბრძოლაში, რასაც შედეგად საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა.

რატომ იქცა ისტორიული წარსულის თანამედროვე ინტერპრეტაცია იმ ნაღმად, რომელმაც მთელი საბჭოთა სისტემა იმსხვერპლა? ეს გამოწვეული იყო იმით, რომ საჯაროობამ და გარდაქმნამ პოლიტიკური სისტემა გადაიყვანა ფუნქციონირების ახალ რეჟიმში, რომელიც საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ორმხრივ აქტიურ კომუნიკაციებს ემყარებოდა, რაც დელიბერაციას, ანუ ისეთ საზოგადოებრივ დისკუსიას აქცევდა პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების ცენტრში, რომლის არსებითი მახასიათებლებიც არის – ინფორმაცია, არგუმენტაცია და დარწმუნება. ეს სამი ელემენტი საზოგადოების მართვის აუცილებელ შემადგენელ ნაწილებად იქცნენ, რომლებმაც არსებითად შეავიწროვეს იძულების გავრცელების არეალი პოლიტიკურ სისტემაში. ასეთ პირობებში, მანამდე არნახულად გაიზარდა ისტორიის, როგორც არგუმენტების წყაროს მნიშვნელობა პოლიტიკური პრიორიტეტების ჩამოყალიბებაში. ამავე დროს, საჯაროობის პირობებში ხელისუფლებამ დაკარგა საზოგადოების ისტორიული ცნობიერების ფორმირების კონტროლის სადავეები. ამიტომ არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ფონზე, საზოგადოებისათვის ისეთი ისტორიული ხა-

სიათის ინფორმაციის მიწოდებამ, რომელსაც ოფიციალური ისტორიული მეცნიერება ალამაზებდა, ამახინჯებდა ან სულაც გვერდს უვლიდა, შოკისმომგვრელი ზემოქმედება მოახდინა მასზე და გამოიწვია საზოგადოების ახალი ისტორიული ცნობიერების ფორმირება, რამაც ძირი გამოუთხარა არსებულ პოლიტეკონომიურ სისტემას. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ისტორია აძლიერებს არგუმენტაციას“, რითაც ხაზს უსვამდა ისტორიის მნიშვნელობას დელიბერაციის – დარწმუნებაზე ორიენტირებული, მკაცრად არგუმენტირებული და ინფორმირებული მსჯელობის განვითარების საქმეში, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა გლასნოსტისა და პერესტროიკის დროს, რამაც გამოავლინა ისტორიის მნიშვნელობა არა მხოლოდ აწმყოს შემეცნების, არამედ პოლიტიკური კომუნიკაციების გაფართოებისა და მომხრეთა შექმნის საქმეშიც. სწორედ ისტორიის, როგორც არსებული რეჟიმის სანინააღმდეგოდ მიმართული არგუმენტების წყაროს მნიშვნელობამ მოაქცია ის ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში, გორბაჩოვის მმართველობის პერიოდში. ისტორიული ფაქტებით გამყარებული არგუმენტაცია ანგრევდა ოფიციალურ ვერსიას იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა არსებული პოლიტიკური სისტემა, როგორი იყო მისი ბუნება და რამდენად ლეგიტიმური იყო ის. მაგრამ ამასთან ერთად, ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ბევრი ისტორიული ფაქტი, რომელიც საზოგადოებას მიეწოდებოდა პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, საზოგადოებრივი მოღვაწეების მიერ, არ ყოფილა სპეციალურად დამუშავებულ პროფესიონალთა მიერ, რადგანაც ამას გარკვეული დრო და შესაბამისი მეთოდოლოგია სჭირდებოდა, ხოლო არქივების გახსნიდან გასული პერიოდი კი არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ სრულად მომხდარიყო ამ მასალის მეცნიერული გააზრება პროფესიონალი ისტორიკოსების მიერ. ამის გამო, საზოგადოებას ხშირად მიეწოდებოდა ნედლი ისტორიული ფაქტები, რომლებიც მას არსებული რეჟიმის წინააღმდეგ განაწყობდა. გლასნოსტის პოლიტიკამ არნახულად გახსნა საბჭოთა პოლიტიკური სისტემა, რამაც შექმნა იმის შესაძლებლობა, რომ ფართო განხილვის საგნად გადაქცეულიყო მანამდე აკრძალული თემები. ამ დროს საზოგადოება ცდილობდა გაეცა პასუხი კითხვაზე – რას წარმოადგენდა რეალური სოციალიზმი და საბჭოთა კავშირი? რატომ წარმოიშვნენ და რატომ არსებობდნენ ისინი? მათზე პასუხის

პოვნა კი საჭიროებდა იმის ცოდნას, თუ რა ჰქონდათ გაკეთებული საკუთარი ისტორიის მანძილზე რეალურ სოციალიზმსა და საბჭოთა კავშირს და როგორ წარმოიშვნენ ისინი. სწორედ ამიტომ იყო, რომ ზემოაღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემას საზოგადოება ცდილობდა ისტორიის საშუალებით. ამიტომ გარდაქმნისა და საჯაროობის პერიოდში მანამდე არნახულად გაძლიერდა საზოგადოების ინტერესი საკუთარი წარსულისადმი. ისტორიის ახლებურად გააზრების საფუძველზე, სტიქიურად დაიწყო საზოგადოების ახალი ისტორიული მეხსიერების ფორმირება, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესის შემადგენელ ნაწილად იქცა. ამ დროს მთელი საზოგადოება აქტიურად იყო გადართული საკუთარი ქვეყნის ისტორიის შესწავლაზე, რამაც მასობრივი ხასიათი მიიღო. მისი ყურადღების ცენტრში მოექცა ისეთი თემები, როგორც არის საქართველოს შეერთება რუსეთთან, საქართველოს გასაბჭოება, ავტონომიური ერთეულების წარმოშობა საქართველოს ტერიტორიაზე, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორია, 1959 წლის 9 მარტის მოვლენები საქართველოში, რეპრესიები, ერეკლე მეორის პიროვნება და სხვ. რუსული საზოგადოების ცხოველ ინტერესს იწვევდა ისეთი თემები, როგორც იყო ალექსანდრე მეორის რეფორმები, რუსეთის ეკონომიკური განვითარება ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, სტოლიპინის რეფორმები, ოქტომბრისა და თებერვლის რევოლუციები, პირველი მსოფლიო ომი და სხვა. ამ თემებზე მსჯელობდნენ არა მხოლოდ პროფესიონალი ისტორიკოსები, არამედ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობდნენ, საკუთარი პოზიცია ჩამოეყალიბებინათ მათ შესახებ. ანმყოს გასაგებად საზოგადოებამ ინსტიტუტურად მიმართა ისტორიას.

თანამედროვე პოლიტიკური წესრიგის ლეგიტიმაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო სწორედ გარდაქმნის დროს ჩამოყალიბებული ისტორიული მეხსიერებაა, რომლის შეცვლასაც შეუძლია ძირი გამოუთხაროს დღევანდელი პოლიტიკონომიური სისტემის არსებობას საქართველოში. ეს გამოწვეულია იმით, რომ, როგორც მაიკლ ჰოვარდი აღნიშნავს, „ანმყოს ხედვა და გაგება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გვესმის წარსული“ (1,36), მაგრამ ანმყოსა და წარსულის ურთიერთობა ცალმხრივ ხასიათს არ ატარებს. ამიტომ არა მხოლოდ ანმყოს გაგება არის დამოკიდებული

წარსულზე, არამედ, თავის მხრივ, წარსულის გააზრებაც განსაზღვრულია იმით, თუ როგორ გვესმის აწმყო. სწორედ საბჭოთა სინამდვილით გამონვეულმა უკმაყოფილებამ წარმოშვა საზოგადოებრივი შეკვეთა ტაბუდადებული წარსულის შესწავლაზე, რომელიც აწმყოში არსებული პოლიტიკური პოზიციების გამყარების სამსახურში ჩადგა. ამიტომ ეს არ ყოფილა წარსულის სისტემური გააზრება, რადგანაც ის გადაიქცა არგუმენტების წყაროდ პოლიტიკური ბრძოლებისათვის, რის გამოც იქ ეძებდნენ მხოლოდ იმას, რაც საკუთარი შეხედულებების საფუძვლიანობას ამტკიცებდა და უგულებელყოფდნენ იმას, რაც ამას ეწინააღმდეგებოდა. წარსულისადმი ასეთი შერჩევითი მიდგომის შედეგად ირღვეოდა ისტორიული ქსოვილი, როგორც ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელი მოვლენების ერთობლიობა. იქიდან იღებდნენ იმას, რაც აწმყოში არსებული პოლიტიკური მიზნების მიღწევას ემსახურებოდა, რის გამოც ისტორიული ფაქტების განხილვა ხდებოდა იმ ისტორიული კონტექსტისაგან მოწყვეტით, რომელშიც ისინი წარმოიშვნენ. ამის შედეგად, თანამედროვე პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ბრძოლებში, არგუმენტებად გვევლინებოდა ცალკე აღებული, პროცესებისაგან იზოლირებული case-ები, როგორც არგუმენტები. გარდა ამისა, ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ წარსული ფასდებოდა სხვა ეპოქის ადამიანების მიერ, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ იმ პრაქტიკულ გამოცდილებას, რომლის საფუძველზეც ყალიბდებოდა წარსულში მოქმედი ადამიანების ინტერესები და მოტივაციები, რის გამოც ამ უკანასკნელთა მოქმედებები ფასდებოდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში შინაგანი სოციალური კონფლიქტებისა და დაპირისპირებებისაგან თავისუფალი საზოგადოების პირობებში ჩამოყალიბებული ქცევის ნორმატული სტანდარტების საფუძველზე სხვა ეპოქის სხვა ადამიანების მიერ, რომლებსაც უჭირდათ საკუთარი წინაპრების გაგება, რომლებსაც აბსოლუტურად განსხვავებულ პირობებში უხდებოდათ მოქმედება.

## დასკვნა

აწმყო და წარსული ორგანულად არის გაერთიანებული თანამედროვე პოლიტიკურ სინამდვილეში. ამიტომ წარსული და მისი ინტერპრეტაცია, ისტორიული მეხსიერება და ისტორიული ცნობიე-

რება, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ თანამედროვე პოლიტიკაზე. ისტორია არსებობას განაგრძობს აწმყოში, როგორც ინფორმაცია წარსულის შესახებ, წარსულის არტეფაქტები და ცოცხალი აწმყო, რომელიც თანამედროვე პოლიტიკური პრაქტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და როგორც ასეთი, განსაზღვრავს თანამედროვეთა არსებობისა და პოლიტიკური აქტიურობის პირობებს. ამიტომ ისტორიული ცნობიერების შეცვლას შეუძლია შეცვალოს წარმოადგენები თანამედროვე პოლიტიკის შესახებ. აქედან გამომდინარე, მას ძალუძს როგორც მისი ლეგიტიმაციის გაძლიერება, ასევე დასუსტება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემთხვევა გვიჩვენებს, რომ ისტორიული ცნობიერება მატერიალურ ძალად იქცევა პოლიტიკაში, როცა ის მასებს ეუფლება. სწორედ ამაში ვლინდება ისტორიის პრაქტიკული მნიშვნელობა პოლიტიკისათვის. აწმყოს შემეცნება ის ფუნქციაა, რომელსაც ისტორიის ყველა სხვა ფუნქცია ეფუძნება, რომელსაც ის მატერიალურ ძალად გარდაქმნის პროცესში ასრულებს – ეროვნული და პოლიტიკური იდენტობების შექმნა; ინტერესების შეცნობა, ლეგიტიმაცია და არტიკულაცია; პოლიტიკური კომუნიკაცია და მასების მობილიზაცია.

### ბიბლიოგრაფია:

1. ისტორიის შესახებ. თბილისი, 2010.
2. Мухаметдинов Р.Ф. Зарождение и Эволюция Тюркизма. Казань, 1995.
3. Т. С. Кун. СВАikBiAa научных исследований <http://www.psylib.ukrweb.net/books/kunts01/index.htm>
4. Ali Erken. RE-imagining the Ottoman Past in Turkish Politics: Past and Present. Insight Turkey. Vol.15/No 3/2013 p.178 [http://dosya.marara.edu.tr/oae/MAKALELER/08\\_Erken\\_Crop.pdf](http://dosya.marara.edu.tr/oae/MAKALELER/08_Erken_Crop.pdf)
5. Comparative Historical Analysis in the Social Sciences. Edited by James Mahoney and Dietrich Rueshemeyer. Cambridge University Press.2003 (<http://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=oT86uvC8KBEC&oi=fnd&pg=PR9&dq=scholarly+studies+in+historical+>)
6. Gregore Pop-Eleches.Princeton University. Historical Legacies and Postcommunist Regime Change. The Journal of Politics, vol.69, No.4,November 2007 <http://www.princeton.edu>

7. The Islamic State and Turkey's Betrayal. By Joseph Puder. Frontpage Magazine .
8. Policy Department B: Structural And Cohesion Politics. Culture And Education. European Historical Memory: Politics, Challenges And Perspectives. Author Masrkus J. Prutsh. 013. ([www.europarl.europa.eu/Reg-ata/etudes/note/join/2013/513977/IPOL-CUCt\\_NT\(2013\)513977\\_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/Reg-ata/etudes/note/join/2013/513977/IPOL-CUCt_NT(2013)513977_EN.pdf))
9. Professor Romano. Commemorating the Past: an Introduction to the Study of Historical Memory
10. Sean Cannady, Paul Kubicek. Nationalism and legitimation for authoritarianism: A comparison of Nicholas I and Vladimir Putin (<http://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1879366513000365>)
11. ААмїне требуют денонсации Карского договора. Создано 2018-01-11 ([www.novoye-vremya.com/w54071...](http://www.novoye-vremya.com/w54071...))
12. Германия признала геноцид армян вызвав возмущение Турции 2.06.2006 <http://ria.ru/world/20160602/1442083260.html>).
13. Фу Ин. Как китай воспринимает Россию. Россия в Глобальной Политике. 6 Мая 2016 года. <http://www.globalaffairs.ru/number/Как-Kitai-vosprinimaet-Rossiye-18153>
14. Эйрамджянц Левон ГаигоАевиД. 25 Лет Истекли В 1946 Году. [ru.hayazg.info/ЭйАамджїн\\_|\\_Левон\\_ГаигоАеви/15\\_лет\\_истекли\\_в\\_1946\\_году](http://ru.hayazg.info/ЭйАамджїн_|_Левон_ГаигоАеви/15_лет_истекли_в_1946_году)
15. Япония идет в наступление на Россию. АндАей Иванов. 20 Мая 2015. <http://svpressa.ru/politic/article/122435/>

**Valerian Dolidze**

Assistant professor

### **The past and present in modern politics**

#### **Abstract**

Past and present are organically combined into modernity. Because of this, past, historical consciousness and memory significantly affect the current politics. History continues to exist in present as: 1. information about past; 2. past artefacts; 3. an integral part of modern political practice, which defines conditions of the existence of present society and its political activity. Because of this the change of historical consciousness changes attitudes to the present political



order. So it can strengthen or weaken legitimacy of it. Collapse of the USSR shows that historical consciousness becomes material force, when it takes possession of the consciousness of masses. History fulfills following functions in present politics: 1. cognition of the present; 2. formation of national and political identities; 3. cognition, legitimation and articulation of interests; 4. political communication and mobilization.

**ქეთევან ევაძე**  
დოქტორანტი, თსუ

## **კულტურის პოლიტიკა და სამოქალაქო იდენტობა საქართველოში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ**

კულტურა საუკეთესო ნარატორია. შესაბამისად, ის ქმნის ნარატორებს. ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი თხრობა – წერილობითი თუ ზეპირსიტყვიერი, პირადად მოსმენილი ან გადმოცემული. კულტურის პოლიტიკა სხვადასხვა ნარატორების დახმარებით ხელს უწყობს მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას და სამოქალაქო იდენტობის განვითარებას. მოდერნული გაგებით, ის წარმოადგენს საჯარო პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებას, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკის სხვა სფეროებთან და სახელმწიფოს არჩევანთან რა გაკეთდეს და რა არა კულტურის სფეროში (Bell & Oakley 2015). კულტურის პოლიტიკის ნარატორი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც კულტურულ-პოლიტიკური მოთხრობა, რომელსაც სახელმწიფო უყვება მოქალაქეებს. კულტურის პოლიტიკას შეუძლია მართოს არა მხოლოდ ის, თუ როგორი იქნება კულტურის სფერო, არამედ ისიც თუ რა ასწავლოს მან ინდივიდს, როგორც კოლექტივის წევრს და მოქალაქეს, როგორც სახელმწიფოს წევრს.

ჰერბერტ განსის მიხედვით შეიძლება განვასხვაოთ კულტურის პოლიტიკის დამგეგმავი, შემსრულებელი და მიმღები. პირველი მათგანი სახელმწიფოა. იმის მიხედვით, თუ რამდენად ცენტრალიზებულია კულტურის სფერო, რომელი ინსტიტუტები არიან ჩართული ამ პროცესში და რა არის ხელმისაწვდომი ინდივიდისათვის, შეგვიძლია შევავასოთ სახელმწიფო მმართველობის სისტემა. დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფო არის ძირითადი, მაგრამ არა ერთადერთი დამგეგმავი და იყენებს ცალკეულ ინსტიტუტებს ამ პროცესის ხელშეწყობისათვის. ისინი აბალანსებენ კავშირს სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის და ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ნარატორების გადარჩევასა და კოლექტიური მემორების ჩამოყალიბებაში. კულტურის პოლიტიკის შემ-

სრულელები არიან ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, რომლებიც ესაუბრებიან რეალურ ან წარმოსახვით საზოგადოებას. ისინი ცდილობენ საკუთარი ღირებულებების წარმოჩენას და კომპრომისის გამონახვას სამიზნე აუდიტორიასთან. კულტურის პოლიტიკის ბოლო რგოლი – საზოგადოება, მისთვის შეთავაზებული კულტურული „აქტივობების ჯამიდან“ ირჩევს და იღებს იმას, რაც მისთვის არის სასურველი. შესაბამისად, მას აქვს უფლება სახელმწიფოს უკარნახოს რომელ მიმართულებებს დაუჭიროს მხარი (Gans 1975).

საბჭოთა კავშირში კულტურის პოლიტიკის დამგეგმავი და შემსრულებელი სახელმწიფო იყო, ხოლო საზოგადოება იღებდა იმას, რასაც მას სთავაზობდა საბჭოთა ხელისუფლება. კულტურის პოლიტიკა იდეოლოგიურ კონტროლს ექვემდებარებოდა და ცენზურისა და სახელმწიფოს მონოპოლიიის ქვეშ ხორციელდებოდა, თუმცა საბჭოთა კავშირმა შექმნა ღირებული კულტურული ინფრასტრუქტურა და ძლიერ მხარდაჭერას უცხადებდა საბჭოურ თეატრს, კინოს, ხელოვნებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროებს, რაც, უმეტესწილად, საშინაო და საგარეო პროპაგანდაზე იყო გათვლილი: ერთი მხრივ, სისტემას სურდა შეექმნა იდეალური საბჭოთა მოქალაქე, ხოლო მეორე მხრივ, შეექმნა წარმატებული ქვეყნის იმიჯი მოკავშირეების თვალში, განსაკუთრებით მეორე მსოფლიოს ომამდე პერიოდში. საბჭოთა კულტურის მკვლევარების აღნიშვნით, კულტურის პოლიტიკა წარმატებით იყო გამოყენებული დიპლომატიურ ურთიერთობებში. ცენტრალური ხელისუფლება ხელს უწყობდა ხელოვნების სფეროს წარმომადგენელთა გაგზავნას სხვადასხვა ქვეყნებში, საბჭოთა კულტურის პოპულარიზაციის მიზნით. ხელოვნების აკადემიაში ღრმად სწამდათ, რომ სურათებს უნდა დაეკმაყოფილებინა მისი ინტერესები, ვისაც საბჭოთა კავშირში ჩასვლა არ შეეძლო. ევროპაში პოპულარობით სარგებლობდა საბჭოთა თეატრის გასტროლები, საბჭოთა ფილმებს აჯილდოვებდნენ სხვადასხვა ფესტივალებზე, მოსწონდათ საბჭოთა ბალეტი და მხატვრობა (Artizov, Naumov 2007).

საბჭოური კულტურის პოლიტიკა ცენტრალიზმის პრინციპს ექვემდებარებოდა – ცენტრალური საბჭოთა ორგანოები მოიცავდა რესპუბლიკურ ორგანოებს, რომლებიც აერთიანებდნენ ადგილობრივ ორგანოებს. ე.წ „დემოკრატიული ცენტრალიზმი“ სახელმწიფოს ანიჭებდა გადაწყვეტილების „ზევიდან-ქვევით“ მიმართვის უფლებას (Rindzevičiūtė 2012). დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რესპუბლიკების

მთავარი ამოცანა კულტურის სფეროს დეცენტრალიზაცია და კულტურის პოლიტიკაში სახელმწიფოს როლის დაბალანსება იყო სხვადასხვა ინსტიტუტების ჩართვის ხარჯზე. პოსტკომუნისტური ქვეყნების უმეტესობამ დემოკრატიული მოდელების მორგება დაიწყო. გარდაქმნის აუცილებლობა ქმნიდა ახალ გამონეგებებს, მათ შორის, კულტურის პოლიტიკასთან მიმართებით.

ცვლილებების დაწყების საჭიროება გაჩნდა არა მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე, არამედ მენტალობის ფორმებში და მიდგომებში. სახელმწიფო ინსტიტუტებიდან გადასვლა უნდა მომხდარიყო საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე, პასიური ჩართულობიდან აქტიურ ჩართულობაზე, იერარქიული სტრუქტურიდან მულტიცენტრულ სტრუქტურაზე, ცენტრიდან თავისუფალი გამოხატვის ფორმებზე, სახელმწიფო ჩინოვნიკებიდან საჯარო მოსამსახურეებზე, სახელმწიფოს კულტურული სერვისების ფუნქციონირებიდან შემოქმედებითი სტატუსის მიღებამდე. ეს ამოცანები ცხადია დიდ ძალისხმევას და დროს მოითხოვდა (Mucica 2003).

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, კულტურის პოლიტიკამ საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, წინააღმდეგობრივი და რთული გზა გაიარა. სახელმწიფოში არსებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები არ იყო ხელსაყრელი კულტურის სფეროს განვითარებისათვის. სხვადასხვა ეტაპზე, ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, იცვლებოდა კულტურის სფეროს პოლიტიკური აქცენტებიც. შეგვიძლია გამოვყოთ ოთხი ეტაპი:

**1991-1992 წწ.** კულტურის პოლიტიკაში აქცენტირებული იყო ნაციონალური კულტურა, რადგან სახელმწიფო მხარს უჭერდა ეთნიკურ ნაციონალიზმს;

**1993-2003 წწ.** კულტურის პოლიტიკაში აქცენტირებული იყო კულტურული მრავალფეროვნების იდეა. ამ პერიოდში სახელმწიფო მხარს უჭერდა სამოქალაქო ნაციონალიზმს;

**2004-2012 წწ.** კულტურის პოლიტიკაში აქცენტირებული იყო დასაქმება და კულტურული ტურიზმი. ამ პერიოდში სახელმწიფო მხარს უჭერდა ეკონომიკური მოქალაქეობის განვითარებას;

**2013-დღემდე** – კულტურის პოლიტიკაში აქცენტირებულია კულტურის მნიშვნელობა საჯარო პოლიტიკაში. სახელმწიფო მხარს უჭერს სამოქალაქო იდენტობის განვითარებას.

თუკი ამ კლასიფიკაციას გავიაზრებთ მოქალაქეობის მოდერნული გაგების კონტექსტში, თვალსაჩინო გახდება რა ფორმით და როგორ უწყობს ხელს კულტურის პოლიტიკა სამოქალაქო იდენტობის განმტკიცებას და როგორია ამ პროცესის დინამიკა საქართველოში.

მოქალაქეობის იდეა მოდერნულ სამყაროში სამი ფორმით გამოიხატება, ესენია: პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული. პირველი მათგანი უკავშირდება ინდივიდის მონაწილეობას არჩევნებში და პოლიტიკურ პროცესებში, მისი ფიზიკური უსაფრთხოებისა და კანონიერი უფლებების დაცვას. ეკონომიკური მოქალაქეობა დაკავშირებულია დასაქმებასთან, საპენსიო სისტემასთან, სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური ინვესტირების აგენტად გამოყენებასთან. რაც შეეხება კულტურულ მოქალაქეობას, ის უკავშირდება კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას, განათლების, რელიგიის, ენისა და ეთნიკურობის დაცვას (Miller & Judice 2002). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამოქალაქო იდენტობა აერთიანებს მოქალაქეობის სამივე ფორმას და მისი გაზომვა შესაძლებელია იმის მიხედვით, თუ რამდენად არის დაცული მოქალაქის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები, რამაც უნდა გააძლიეროს მისი ვალდებულებები სახელმწიფოს და სხვა მოქალაქეების წინაშე.

როგორც ვხედავთ, კულტურის პოლიტიკის პირველ ეტაპზე გამოიკვეთა პოსტსაბჭოთა სივრცისათვის დამახასიათებელი ტენდენცია – ნაციონალური კულტურის აღორძინება. ექსპერტთა მტკიცებით, პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის კულტურის პოლიტიკის ემანსიპირებული მოდელია დამახასიათებელი და ძირითადი აქცენტი ნაციონალურ კულტურაზე კეთდება, რაც გამონეუულია ტოტალიტარული მმართველობიდან გამოსვლის შემდეგ ქვეყნის „კულტურული ღირსების“ აღდგენის მცდელობებით. საქართველოს კულტურის პოლიტიკა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მორგებული იყო მხოლოდ ქართულ ჯგუფზე. ამ პერიოდში არ არსებობდა შესაბამისი საკანონმდებლო სფერო, რომელიც მოაწესრიგებდა კულტურის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, საბჭოთა სტილი კვლავ ინარჩუნებდა აქტუალობას და სახელმწიფოს მიზანი – შეექმნა ნაციონალურ იდეოლოგიაზე მორგებული კულტურის პოლიტიკა, არამომგებიანი იყო ქვეყნისთვის. მთელი 1990-იანი წლების მანძილზე პოლიტიკური არასტაბილურობისა და ქაოსის გამო კულტურის სფერო ვერ განვითარდა.

ის შემსრულებლები, რომელთაც შეეძლოთ პროტესტის გამოხატვა და საბჭოთა კავშირის შემდეგ გარკვეულ პოლიტიკურ აქტივობებში ჩაებნენ, საქართველოდან წავიდნენ, რათა თავი ერჩინათ და საკუთარ შემოქმედებაზე საზღვარგარეთ ეზრუნათ ვერ მოხერხდა მათი პოტენციალის გამოყენება (რადგან სახელმწიფოში არ არსებობდა კულტურის პოლიტიკის კავშირი ეკონომიკასთან) საქართველოში პოპულარული დარჩა რუსული სტილის ესტრადა, რომელიც გასართობი მიზნით გამოიყენებოდა (Ninoshvili 2010). შეიძლება ითქვას ამ პერიოდის საქართველოში არ იქმნებოდა სამოქალაქო იდენტობის განმტკიცებისათვის საჭირო კულტურული ნარატივები.

მეორე ეტაპზე, საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად დაიწყო კულტურის სფეროს დეცენტრალიზაცია (თუმცა ეს უფრო ფორმალურადაა იყო), ძალაუფლება გაიფართოვეს მუნიციპალიტეტებმა და გაჩნდა კულტურული მოქალაქეობის იდეა. 1997 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დოკუმენტი „საქართველოს კანონი კულტურის შესახებ“. სადაც ჩაინერა: „საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, კულტურული მოღვაწეობა საქართველოში არის ადამიანის შეუვალი უფლება. საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან კულტურულ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა“. კულტურის პოლიტიკის სამიზნე აუდიტორია გაფართოვდა, სახელმწიფომ გადაწყვიტა დაეცვა არა მხოლოდ ქართველების, არამედ საქართველოში მცხოვრები უმცირესობების კულტურული უფლებებიც. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დაევალებათ ლოკალურ დონეზე კულტურის სფეროს მართვა. 1999 წელს მიღებულ იქნა კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, რომელიც იცავდა ადამიანის უფლებებს მის შემოქმედებით და ინტელექტუალურ საკუთრებაზე.

მესამე ეტაპზე გაჩნდა ეკონომიკური მოქალაქეობის ჩანასახები, რომელმაც გაზარდა კულტურის მნიშვნელობა საჯარო პოლიტიკაში და დაუკავშირა ეკონომიკურ სექტორს. 2007 წელს მიღებულ იქნა კანონი პროფესიული განათლების შესახებ, რომლის მიზანს წარმოადგენდა: „ქვეყანაში პროფესიული განათლების ფუნქციისა და ადგილის განსაზღვრა, პროფესიული განათლების სისტემის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს სწრაფად და მუდმივად ცვალებად შრომის ბაზრის მოთხოვნებს“. და ასევე: „შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველყო-

ვა; ინდივიდის დასაქმების, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა თუ თვითდასაქმების, ხელშეწყობა“. ეს შეეხო სახელოვნებო სფეროებსაც. პროფესიული განათლების მართვის ერთ-ერთ ორგანოდ დასახელდა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, რომელმაც მიიღო საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ან კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირის დაფუძნების უფლება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოსაპოვებლად. 2004 წელს ფონდ ღია საზოგადოების მიერ ორგანიზებული შეხვედრის დროს მაშინდელმა კულტურის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა განაცხადა: „მთავარი პრიორიტეტი, რა თქმა უნდა, ძეგლთა დაცვაა, მაგრამ ეს ნამდვილად არ არის საკმარისი. არ უნდა იყოს სფერო, რომელიც იღებს სახელმწიფოსგან გარკვეულ შენატანს და ამის სანაცვლოდ არავითარ კონტრიბუციას არ ახდენს საერთო საზოგადოებრივ სიკეთეში. მემკვიდრეობა არის ელემენტი, რომელიც საზოგადოებამ შეიძლება გამოიყენოს თუნდაც შემოსავლების მხრივ, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, მეცნიერებისათვის“. გაჩნდა იდეა იმის შესახებ, რომ კულტურის პოლიტიკა, მატერიალური და არამატერიალური ძეგლების მოვლა-პატრონობასთან ერთად, უნდა ემსახურებოდეს პრაქტიკული ამოცანების შესრულებას, თუმცა მისი რეალიზაცია დაგვიანებით დაიწყო. ამავე პერიოდში ჩნდება ახალი ნარატივი, ევროპასთან მეგობრობა და, ამასთანვე, კულტურული ტურიზმის იდეაც. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელმა, დავით ლორთქიფანიძემ განაცხადა: „ჩვენ ვქმნით არა მხოლოდ ქართული ისტორიის ნარატივს, არამედ საქართველოს ისტორიის ნარატივს მსოფლიოში“ (Kaylan 2012). ამ განცხადებაში ნათლად ჩანს, რომ ევროპასთან ინტეგრაცია მათ შორის კულტურის პოლიტიკის მეშვეობით უნდა მოხდეს, ხოლო კულტურის საზღვარგარეთ პოპულარიზაცია თავისთავად იწვევს ტურისტთა რიცხვის მოზიდვას.

თანამედროვე ეტაპზე, სახელმწიფო აღიარებს კულტურის მეშვეობით პოლიტიკური პროცესებისა და მასში საზოგადოების ჩართულობის გაუმჯობესების იდეას, შესაბამისად, მოქალაქეობის სხვა ფორმებს დაემატა პოლიტიკური მოქალაქეობაც. მიუხედავად საკანონმდებლო ბაზის მონესრიგებისა და ახალი დოკუმენტების გაჩენისა, არ უნდა დაგვავიწყდეს ობიექტურად შევაფასოთ როგორია კულტურის პოლიტიკა საქართველოში, რა ხარვეზები არსებობს, რა პოტენციალს ვფლობთ და რისი გაუმჯობესება გვჭირდება.

საქართველოში კულტურის პოლიტიკა ხორციელდება ორ დონეზე, ესენია: 1) კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; 2) მუნიციპალიტეტები; მიუხედავად ამისა, კულტურის სფერო ცენტრალიზებულია და სხვადასხვა ინსტიტუტების მასში ჩართულობა დაბალია. 2012 წელს კულტურის მინისტრს საყვედურობდნენ, რომ დიდი რაოდენობით თანხა იხარჯება კონცერტების, კულტურული ღონისძიებების, ფესტივალების და ა.შ ორგანიზებაზე, თუმცა კულტურის პოლიტიკას აკლია სტრატეგიული განვითარება.

აქედან გამომდინარე, დასკვნა იმის თაობაზე თუ რამდენად ზრუნავს სახელმწიფო სამოქალაქო იდენტობის განვითარებაზე პრაქტიკაში, ძნელი გასაკეთებელია. უნდა აღინიშნოს, რომ კულტურის პოლიტიკის ახალ სტრატეგიაში გათვალისწინებულია ის შენიშვნები, რომლებიც დაგროვდა წლების მანძილზე. აქცენტირებულია ყველა მიმართულება, რომელსაც მხარს უჭერს ევროპული საზოგადოება და მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის „იუნესკო“. ეს ეხება კულტურის პოლიტიკის ეკონომიკურ ხასიათს, კულტურულ ტურიზმს, კავშირს მედიასთან, ახალი სერვისების განვითარებას, ჩართულობისა და წვდომის გაზრდას, ინტეგრაციას. ასევე, აქცენტირებულია კვლევების დაგეგმვა და ლოკალური სივრცის შესწავლა, რაც მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების ლოკალურ გარემოზე მოსარგებლად.

## დასკვნა

კულტურის პოლიტიკის მნიშვნელობა პოსტკომუნისტური ქვეყნების უმეტესობამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მალევე გააცნობიერა, მაგრამ ყველა მათგანი თანაბარი წარმატებით ვერ ახერხებდა ახალ გამოწვევებზე პასუხის გაცემას. საბჭოთა ხელისუფლება იცავდა მოქალაქის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ უფლებებს, თუმცა ეს ხელისუფლების მიერ შექმნილი ილუზია იყო, რომელიც ამართლებდა საბჭოთა კავშირის რეალობაში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ, ისევე როგორც რიგმა პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა კულტურის პოლიტიკის მიზნად ეროვნული კულტურის აღორძინება და პოპულარიზაცია დაისახეს, რაც, ცხადია, არ იყო ხელსაყრელი სამოქალაქო იდენტობის განვითარებისათვის. ახალი იდეები ამ პროცესის ხელშეწყობისათვის თანდათან გაჩნდა. საქართველოს სხვადასხვა ხელისუფლება აქცენტს



აკეთებდა კულტურის პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებაზე, რაც მოდერნულ სამყაროში მოქალაქეობის ცალკეული ფორმების გაძლიერებისათვის გამოიყენება.

სამოქალაქო იდენტობის, სამი ასპექტიდან – ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული მოქალაქეობა – საქართველოს კულტურის პოლიტიკაში პირველად კულტურული მრავალფეროვნების იდეა გაჩნდა, როდესაც დაითრგუნა ეთნიკური ნაციონალიზმი და მისი გარდაქმნა მოხდა სამოქალაქო ნაციონალიზმად. მოგვიანებით მას დაემატა ეკონომიკური მოქალაქეობის იდეა, როდესაც კულტურა გაგებულ იქნა, როგორც მატერიალური კეთილდღეობის მოპოვების წყარო და დასაქმება კულტურის სფეროში მიჩნეულ იქნა კულტურის პოლიტიკის პრიორიტეტულ საკითხად. თანამედროვე ეტაპზე, კულტურის პოლიტიკის სტრატეგია აღიარებს კულტურის მეშვეობით პოლიტიკური მოქალაქეობის განვითარების იდეას, სთავაზობს რა საკუთარ მოქალაქეებს წვდომას, ჩართულობასა და მონაწილეობას კულტურის პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

კულტურის პოლიტიკის განვითარება როგორც თანამედროვე მსოფლიოში, ასევე საქართველოში, იმედისმომცემ სურათს იძლევა, თუმცა ლოკალურად როგორ მოხდება საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება, ახალი გამოწვევების დაძლევა და დოკუმენტურად არსებული იდეების პრაქტიკაში რეალიზება, სამომავლო პერსპექტივის საკითხია.

### ბიბლიოგრაფია:

1. გვახარია, გ. (26 ივლისი 2004). რადიო თავისუფლება. კულტურული მიმოხილვა. 28 მარტი, 2016. <http://www.tavisupleba.mobi/a/1536329.html>.
2. კაკულია, თ. (1-ლი ივნისი 2014). პოლიტიკა. რას გულისხმობს კულტურის პოლიტიკის ხუთი მოდელი და რომელს მიანიჭებს უპირატესობას საქართველო. 28 მარტი, 2016. [http://www.sazogadobe.ge/index.php?post\\_id=1539](http://www.sazogadobe.ge/index.php?post_id=1539).
3. საქართველოს პარლამენტი (23 აპრილი 2007). საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ. თბილისი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
4. საქართველოს პარლამენტი (31 ივლისი 1997). საქართველოს კანონი კულტურის შესახებ. თბილისი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

5. ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიურო (12 ნოემბერი/2012). საჯარო დისკუსია. *საქართველოს კულტურის პოლიტიკა წარსულსა და მომავალს შორის*. 28 მარტი, 2016. <https://ge.boell.org/ka/2012/11/12/sakartvelos-kulturis-politika-carsulsa-da-momavals-shoris>.
6. Artizov, A. & Naumov, O. (2007). *Soviet Culture and Power: A history in Documents, 1917-1953*. USA: Yale University Press.
7. Bell, D. & Oakley, K. (2015). *Cultural Policy*. New York: Routledge, Taylor and Francois Group.
8. Rindzevičiūtė, E. (2012). Post-Soviet Transformation of Lithuanian State Cultural Policy: the Meanings of Democratization. *International Journal of Cultural Policy*, Vol. 18, 563–578.
9. Miller, T. & Yudice G. (2002). *Cultural Policy*. London: SAGE Publication Inc.
10. Mucica, D. ( January 2003). Stage Project Report. *Cultural Legislation: Why? Who? What?* March 5, [http://ssp.tsu.ge/data/file\\_db/program/APA%20Style.pdf](http://ssp.tsu.ge/data/file_db/program/APA%20Style.pdf).
11. Ninoshvili, L. (2010). Georgian Popular Music and the Cliché of the Nation at War. *Ulbandus Review*, Vol. 13, 94-108.
12. Kaylan, M. (Nov.6/2012). *The Wall Street Journal*. The Museum as Mirror. March 5, 2016. <http://www.wsj.com/articles/SB10000872396390444354004578060531547938920>.
13. Kuznetsova, N. (July 2015). *Cultural Policies and Trends in Europe*. Country Profile-Georgia. March 28, 2016. [http://www.culturalpolicies.net/down/georgia\\_072015.pdf](http://www.culturalpolicies.net/down/georgia_072015.pdf).

**Ketevan Epadze**

PhD Student, TSU

**Cultural policy and Civic Identity in Georgia,  
After the break – up of the Soviet Union**

**Abstract**

Development and promotion of cultural policy is a matter of priority in the Post-Soviet space. Culture is a strong lever for the establishment of a human wellbeing. It can help in the upliftment of the public awareness and development of the civic identity. This is not a linear process and requires proper analysis at the local level. All initiatives that will be aimed at the public’s wellbeing may take out new challenges, which will lead to a revision to get to new answers.

During the Soviet time the main initiator and performer of all cultural activities was the Central Government. It totally monopolized cultural sphere. Citizens had no free choice and the representatives of art – musicians, actors, writers, etc. served to the State. However, cultural policy contributed to the development of civic identity. Access to the cultural activity, as well as employment in the cultural sphere was very high. All ethnic groups had equal rights, and by the using cultural instruments the system persuaded them in the happiness of the Soviet citizens.

After the regaining of independence former Soviet republics were supposed to make decentralization of Culture and defend the basic principles that were aimed at the establishment of social welfare: free competition, transparency, equality, involvement and access. These tasks were not easy for the economically and politically weakened Georgia. Dissolution of the cultural network, lack of resources and newly emerging problems, slowed the development of cultural sphere.

In Georgian cultural policy gradually appeared new ideas, for the development of different aspects of citizenship and finally – civic identity.

In 1992-2003, after the transformation of ethnic nationalism into the civic nationalism new idea of cultural diversity appeared. Minorities were gained their rights. During the period – 2004-2012 emerged the idea of economic development which referred to improve the professional standard and to promote employment by using of culture. Since 2013 the State have launched new idea of political citizenship – support the access to the cultural sphere and the involvement of citizens into the decision making process.

The aim of this article is to show which are the stages Georgian cultural policy have gone, after the break-up of the Soviet system and how this process influenced development of a civic identity.

## თენგიზ ვერულავა

მედიცინის აკადემიური დოქტორი  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი


### ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა საქართველოში: პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები

#### შესავალი

მსოფლიოში მოსახლეობის მაღალი ზრდის ტემპების ფონზე, საქართველოში ბოლო ათწლეულების მანძილზე შეინიშნება მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობა. 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობამ 3 729 635 ადამიანი შეადგინა; 2002 წელს ჩატარებული აღწერის შედეგად საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 4 371 535 ადამიანს. აქედან გამომდინარე, 2002 წელთან შედარებით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 14,7%-ით (641 900) შემცირდა (საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის წინასწარი შედეგები, 2015).

#### ნახატი 1

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა (1950-2014 წ.)




წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

## თენგიზ ვერულავა

ისტორიულად საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი მე-XIII საუკუნის პირველ ნახევარში იყო და იგი 8 მილიონ კაცს აღწევდა. გამუდმებული შემოსევების შედეგად მე-18 საუკუნეში საქართველოს მოსახლეობა 8 მილიონიდან 761 ათასამდე შემცირდა. მე-19 საუკუნის დასაწყისში კი ქვეყანაში შავი ჭირის გავრცელების გამო მოსახლეობა თითქმის განახევრდა და 400 ათას კაცს შეადგენდა. მე-19 საუკუნის ბოლოს საქართველოს მოსახლეობა 2 მილიონზე მეტს შეადგენდა, ანუ ერთ საუკუნეში 5-ჯერ გაიზარდა. უკანასკნელ წლებში, საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი 1989-1992 წლებში იყო და 5 მილიონ 400 ათასს შეადგენდა (იხ. ნახატი 1).

ისტორიულად კავკასიაში საქართველოს მოსახლეობა რაოდენობრივად ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო და ქართველები ყოველთვის სჭარბობდნენ სომხებსა და აზერბაიჯანელებს. 1926 წელს კავკასიის მთელი მოსახლეობის 35,1% საქართველოში ცხოვრობდა. 1970 წელს იგი 28,1%-მდე, ხოლო 2010 წელს 18,95%-მდე შემცირდა. ამასთან, აზერბაიჯანის მოსახლეობის რაოდენობა 30,4%-დან 38,0%-მდე გაიზარდა.

**ნახატი 2**  
მოსახლეობის მატება საქართველოში,  
აზერბაიჯანსა და სასომხეთში (1897-20150 65)



**წყარო:** სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხთმოსახლეობის ფონდის მიერ გამოქვეყნებული მასალის მიხედვით, არსებული დე-

მოგრაფიული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში, 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 3, 186 000 ადამიანამდე (15%-ით 2014 წელთან შედარებით), ხოლო 2100 წლისათვის 2,367 000 ადამიანამდე (375%-ით 2014 წელთან შედარებით) შემცირდება (United Nations, Department of Economic and Social Affairs, Population Division, 2011. 87). შედარებისათვის, 2050 წლისათვის აზერბაიჯანის მოსახლეობა 33%-ით, ხოლო სომხეთის მოსახლეობა 7%-ით გაიზრდება. როგორც ვხედავთ, სახეზეა კავკასიაში დემოგრაფიული ბალანსის დარღვევა (იხ. ნახატი 2).

საქართველოს მოსახლეობის სწრაფი კლების უმთავრესი მიზეზებია სიკვდილიანობის მაღალი და შობადობის დაბალი მაჩვენებელი, მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირება, დაბერების ტენდენცია, გარე და შიდა მიგრაციის ფართო მასშტაბები.


ოფიციალური მონაცემების მიხედვით, საქართველოში ყველაზე მეტი ბავშვი 1961 წელს დაიბადა – 104 ათასი. 1960-1990 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად 93 ათასი ბავშვი იბადებოდა. შობადობის მაჩვენებელი განსაკუთრებით შემცირდა 1990-იანი წლების შემდეგ და 1991-2010 წლებში წელიწადში საშუალოდ 55 ათასი შეადგინა. უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შემცირდა შობადობის აბსოლუტური მაჩვენებელიც. კერძოდ, 1960-1969 წლებში შობადობის აბსოლუტური მაჩვენებელი 850 908 ბავშვს შეადგენდა, ხოლო 2000-2009 წლებში იგი 502 296 ბავშვამდე შემცირდა. შობადობის მკვეთრი შემცირება 1992 წლიდან დაიწყო. მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც კი საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება 135 ათას კაცს შეადგენდა.

ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დაბადებულ ქალთა რაოდენობა. 1980-1989 წლებში დაბადებულ ქალთა რაოდენობამ შეადგინა – 454 000, მაშინ, როდესაც 2000-2009 წლებში დაიბადა 236 000 ქალი, ანუ 48%-ით ნაკლები. 1980-იანი წლებში დაბადებულ ქალებში შობადობა მიმდინარეობს 2020 წლამდე, ხოლო 2020 წლიდან იწყება შობადობა 2000-2009 წლებში დაბადებულ ქალებში. შედეგად, 2020 წლიდან შობადობა განახევრდება და განაპირობებს დემოგრაფიულ ვარდნას (ხუნდაძე, 2015). ეკონომიკური პირობების არსებითი გაუმჯობესების შემთხვევაშიც ქვეყანა ვეღარ ასცდება დემოგრაფიულ კატასტროფას და იგი მაინც ვერ მოახდენს წინა პერიოდში დაბადებული ქალების რაოდენობის კლების შედეგად

გამონვეული შობადობის შემცირების საგრძნობ კომპენსაციას (თოთაძე, 2013).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 1990-იანი წლების შემდეგ შობადობის მაჩვენებელი 17.5-15.9 შუალედში მერყეობს. ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახელობის ბუნებრივი მატება. ბუნებრივი მატების მაჩვენებელი აღნიშნულ პერიოდში 7.7-დან 2.7-მდე შემცირდა, ხოლო მოკვდაობის მაჩვენებელი 9.3-დან 13.2-მდე გაიზარდა (ნახატი 3).

**ნახატი 3**  
**შობადობა, მოკვდაობა, ბუნებრივი**  
**მატება საქართველოში (1000 ადამიანზე)**




**წყარო:** სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან მოყოლებული, საქართველოს მოსახლეობაში დამკვიდრდა მცირეშვილიანობა. სულ უფრო მცირდება იმ დედების რაოდენობა, რომლებსაც სამი და მეტი შვილი ჰყავთ. კერძოდ, თუ საქართველოში 1960 წელს მესამე და მეტი ბავშვის დაბადების წილი მთელ დაბადებულთა 36,5 პროცენტს შეადგენდა, ამჟამად 2009 წელს ეს მაჩვენებელი 13,6 პროცენტს უდრის (თოთაძე, 2013).

ფერტილობის კოეფიციენტი, რომელიც შვილოსნობის უნარის მქონე ერთი ქალის მიერ (15-49 წლის) სიცოცხლის განმავლობაში დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობას გულისხმობს, საჭირო

მნიშვნელობას (2.16) უკანასკნელად 1980-იანი წლების ბოლოს აღწევდა. 1991 წლიდან აღინიშნა მაჩვენებლის კლება და 2005 წელს მინიმუმს მიაღწია (1,39). შემდგომ წლებში დაიწყო მაჩვენებლის მატება და 2009 წელს ის 1,86-ს გაუტოლდა. გასათვალისწინებელია, რომ მოსახლეობის განვითარებისა და თაობათა ერთი და იმავე რაოდენობით შეცვლისთვის, ანუ თაობათა აღდგენისათვის, ეს კოეფიციენტი მინიმუმ 2.1-ის ტოლი უნდა იყოს, ანუ ერთმა ქალმა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში უნდა გააჩინოს მინიმუმ 2 ბავშვი. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანა ნორმალური რეპროდუქტიულობის დონეზე ბევრად დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (ნახატი 4).

**ნახატი 4**  
**ფერტილობის კოეფიციენტი.**  
**საქართველო (1955-2009 წწ.)**




**წყარო:** სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შობადობის და, შესაბამისად, მოსახლეობის გაზრდას მნიშვნელოვნად აფერხებს აბორტების დიდი რაოდენობა ქვეყანაში. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის (აბორტების), როგორც მონაცემებიდან ჩანს, ბოლო ათწლეულში მკვეთრად გაიზარდა აბორტების რიცხვი და 2004 წლის მონაცემთან შედარებით 2012 წლის წინასწარი მონაცემი 130%-ით არის გაზრდილი (ნახატი 5). 2013 წლის შემდეგ შეინიშ-



ნება აბორტების რიცხვის შემცირება, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოს მხრიდან გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებთან და რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესებასთან. 2014 წელს ქვეყანაში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები: აიკრძალა სელექციური (შერჩევითი) აბორტები, აბორტამდე მოსაფიქრებელი ვადა 3-დან 5 დღემდე გაიზარდა. გამკაცრდა უკანონო აბორტებთან დაკავშირებით სანქციები. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოში აბორტების უმრავლესობა არალეგალურია, რომელთა აღრიცხვა სირთულეს წარმოადგენს.

**ნახატი 5**  
**აბორტების რაოდენობა საქართველოში (2004-2014 წწ)**



**წყარო:** სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დემოგრაფიულ მდგომარეობაზე უარყოფითად მოქმედებს შიდა მიგრაციის პრობლემა. წლიდან წლამდე მოსახლეობისგან იცლება საქართველოს სოფლები, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში. 2002 წლის ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, 164 სოფელი მთლიანად დაცლილია, 152 სოფელში 10 და ნაკლები კომლი ცხოვრობს, ხოლო 905 სოფელში მხოლოდ 100 კაცამდე მცხოვრებია. ამასთან, თუ ადრე უმეტესად დროებით და სეზონურ მიგრაციას ჰქონდა ადგილი, ამჟამად მან მუდმივი და შეუქცევადი ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა შეინიშნება ისეთ მთიან რეგიონებში, როგორცაა: რაჭა-ლეჩხუმი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი.

რაც შეეხება გარე მიგრაციას, რომელიც დემოგრაფიული მდგომარეობის განსაზღვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, ძირითადად მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, უკანასკნელ წლებში ქვეყანა მილიონამდე ადამიანმა დატოვა და ფიზიკური არსებობისათვის სახსრის საშოვნელად საცხოვრებლად სხვა ქვეყნებს მიაშურა. 2001 წლიდან დღემდე ქვეყნის შიგნით დაიბადა 630 000 ბავშვი, მაშინ, როდესაც უცხოეთში გაჩნდა 200 000 ქართველი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, მიგრაციული სალდო (სხვაობა ემიგრანტებისა და იმიგრანტების რაოდენობას შორის) 2000 წლიდან დღემდე უმეტეს შემთხვევებში უარყოფითია, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნიდან უფრო მეტი ადამიანი გადის, ვიდრე შემოდის.

### ცხრილი 1

#### საქართველოს საზღვარზე გადაადგილებული საქართველოს მოქალაქეების სტატისტიკური მონაცემები

წელი	შემოსვლა	გასვლა	სალდო
2003	324,823	357,035	-32,212
2004	544,753	539,279	5,474
2005	909,424	833,113	76,311
2006	1,161,989	1,174,119	-12,130
2007	1,441,642	1,473,437	-31,795
2008	1,841,693	1,862,420	-20,727
2009	1,984,210	1,979,635	4,575
2010	2,089,286	2,089,940	-654
2011	2,233,589	2,238,527	-4,938
2012	2,739,231	2,733,697	5,534
2013	3,207,376	3,219,628	-12,258

**წყარო:** სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სათანადო სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება. ამ მხრივ, ქვეყანაში არსებული დე-

მოგრაფიული პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა.

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორცაა: ოჯახის ფინანსური ხელშეწყობა და დახმარება, სამუშაოსა და ოჯახის შეთავსებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა.

**ოჯახის ფინანსური ხელშეწყობა** გულისხმობს სახელმწიფოს მიერ შემდეგი ფინანსური ღონისძიებების გატარებას: ბავშვის/ოჯახის ფინანსური დახმარება, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ერთჯერადი ფინანსური დახმარება, ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში დახმარება, საგადასახადო შეღავათების მინიჭება და ოჯახის ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის განსხვავებული სისტემის შექმნა.

**სამუშაოსა და ოჯახის შეთავსებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა** გულისხმობს სახელმწიფოს მიერ დეკრეტული შვებულების (ან ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული შვებულების) შესაბამისი გარანტიების შემუშავებითა და ორივე მშობლისათვის აღნიშნული უფლებით სარგებლობის შესაძლებლობის მიცემით.

### **ბავშვის/ოჯახის ფინანსური დახმარება**

ოჯახის ფინანსური დახმარება ფულადი სოციალური დახმარებაა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ ოჯახის გრძელვადიანი ფინანსური მხარდაჭერა ბავშვის აღზრდის პროცესში (ცუხიშვილი, ნ. თუ-შურაშვილი, გ. ავალიშვილი, ლ. 2016). იგი განისაზღვრება ოჯახში ბავშვების რაოდენობის და ბავშვის ასაკის მიხედვით.

საქართველოში ოჯახის ფინანსური დახმარების პირობები სრულიად განსხვავდება ევროკავშირის ქვეყნებში არსებული სტანდარტებისაგან. საქართველოში ფულადი დახმარების მიღების უფლება ვრცელდება მხოლოდ იმ რეგიონებში ფაქტობრივად მცხოვრებ ბავშვებზე, სადაც წინა მე-2 და მე-3 ნელს არ ფიქსირდება წლიური მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი. 2014 წლის 1 ივნისიდან ასეთად განისაზღვრა 6 რეგიონი, სადაც სიკვდილიანობა აღემატება შობადობას.

აღნიშნული პირობა არათანასწორ მდგომარეობაში აყენებს იმ ოჯახებს, რომლებიც მოცემულ რეგიონში არ ცხოვრობენ. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ოჯახის ფინანსური დახმარების მიღების უფ-

ლება ვრცელდება ყველა მოსახლეზე. გარდა ამისა, საქართველოში ფულად დახმარებას იღებს რიგით მესამე ან შემდეგი ცოცხლადშობილი შვილი. ამისგან განსხვავებით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ოჯახის ფინანსური დახმარების ოდენობა დამოკიდებულია ოჯახში ბავშვების რაოდენობაზე, კერძოდ, სახელმწიფო ოჯახის ფინანსურ დახმარებას გამოყოფს პირველი ბავშვის გაჩენიდან და ფინანსური დახმარების ოდენობა იზრდება ყოველ შემდეგ ბავშვზე.

საქართველოში ფულადი დახმარება ინიშნება 2 წლის ასაკამდე. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ოჯახს უფლება აქვს მიიღოს ფინანსური დახმარება ბავშვის სრულწლოვანების მიღწევამდე (18 წელი). შესაბამისად, საქართველოში არსებული ფინანსური დახმარების პერიოდი ძალიან ცოტაა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებულ ფინანსური დახმარების მიღების პერიოდთან შედარებით.

საქართველოში ფულადი დახმარების ოდენობა მაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის წარმოადგენს 200 ლარს, ხოლო არამაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის – 150 ლარს. აღნიშნული თანხა საკმაოდ მცირეა ბავშვის საჭიროებებთან მიმართებით და ვერ უზრუნველყოფს ოჯახის შესაბამის დახმარებას ბავშვის აღზრდის პროცესში (ცუხიშვილი ნ. და სხვ. 2016).

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გათვალისწინებულია ბავშვის საჭიროებები ასაკის მიხედვით, შესაბამისად, სახელმწიფო ადგენს ფინანსური დახმარების განსხვავებულ ოდენობას სხვადასხვა ასაკის კატეგორიის ბავშვისათვის. საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ოჯახის დამატებით ფინანსურ დახმარებას განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის ყოლის შემთხვევაში.

საქართველოში ერთი და იგივე ბენეფიციარი ვერ მიიღებს ორ ან მეტ ფულად დახმარებას. ასეთ შემთხვევაში, ოჯახი იძულებულია გააკეთოს არჩევანი რამდენიმე სოციალური დახმარების ღონისძიებას შორის. ევროკავშირის ქვეყნებში ოჯახი იღებს რამდენიმე, სხვადასხვა სახის სოციალურ დახმარებას.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობები მრავალშვილიანი ოჯახების დასახმარებლად განსხვავებულ მეთოდებს (სოციალური დახმარებების ოდენობა, პირობები) იყენებენ. სხვადასხვა რეგიონში მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის ბენეფიციარები არიან სოციალურად დაუცველი 3, 4 ან 5 და მეტშვილიანი ოჯახები (ცუხიშვილი ნ. და სხვ. 2016). ზოგიერთ ად-

გილობრივ თვითმმართველობებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა საერთოდ არ გააჩნიათ. თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური ფულადი დახმარების ოდენობა სხვადასხვა თვითმმართველ ერთეულში მერყეობს 10-დან 50 ლარამდე (ცუხიშვილი ნ. და სხვ. 2016). გარდა ფულადი დახმარებისა, ადგილობრივი თვითმმართველობები მრავალშვილიან ოჯახებს სთავაზობენ შეღავათებს კომუნალურ გადასახადებზე.

### **ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ერთჯერადი ფინანსური დახმარება**

ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო გამოყოფს ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ერთჯერად ფინანსურ დახმარებას. მისი მიზანია ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ოჯახების ფინანსური წახალისება. ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა, როგორც წესი, აღემატება ოჯახის ფინანსური დახმარების ყოველთვიურ ოდენობას.

საქართველოში ოჯახის ერთჯერადი დახმარება ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო პროგრამით. იგი შესაძლოა შედიოდეს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალური დახმარების პროგრამებში და ისიც, უმრავლეს შემთხვევაში, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის.

### **ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში დახმარება**

ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების დაფარვის მიზნით ევროკავშირის ზოგი სახელმწიფო (გერმანია, ფინეთი, შვედეთი და ნორვეგია) ახორციელებს ოჯახების ფინანსურ დახმარებას. იგი გაიცემა 2 წლის განმავლობაში და, ძირითადად, გამოიყოფა ბავშვის 1-დან 3 წლამდე ასაკის პერიოდში.

საქართველოში სახელმწიფო არ ახდენს ოჯახის დახმარებას ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებით დამატებით ხარჯების ასანაზღაურებლად.

### **საგადასახადო შეღავათები**

ოჯახის ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში სახელმწიფო გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს აწესებს. მისი მიზანია ოჯახისათვის დაკისრებული საგადასახადო ვალდებულებების შემსუბუქება.

ევროკავშირის ქვეყნებში სახელმწიფო ბავშვის ყოლის გამო გარკვეულ თანხას განსაზღვრავს, რომელიც თავისუფლდება სამემოსავლო გადასახადისაგან. აღნიშნული შეღავათი ვრცელდება ბავშვის სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე (18 წლამდე).

ასევე, სახელმწიფო აწესებს ოჯახის ერთობლივი შემოსავლის განსხვავებული დაბეგვრის სისტემას, რომელიც გულისხმობს ოჯახის ერთობლივი შემოსავლის გარკვეული ნაწილის სამემოსავლო გადასახადის დაბეგვრისაგან გათავისუფლებას. იგი დამოკიდებულია ოჯახის ერთობლივი შემოსავლის ოდენობაზე და ოჯახის წევრების რაოდენობაზე.

საქართველოში მსგავსი საგადასახადო შეღავათები არ არსებობს.

### **ოჯახისა და სამუშაოს შეთავსებისათვის სათანადო შრომითი გარემოს ხელშეწყობა**

ოჯახის მხარდაჭერის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ოჯახისა და სამუშაოს შეთავსებისათვის სათანადო შრომითი გარემოს ხელშეწყობა. დამქირავებელი დაქირავებულს სთავაზობს დეკრეტული შვებულების ან ბავშვის მოვლისათვის საჭირო შვებულების სათანადო პირობებს, ასევე ეხმარება სამსახურში დაბრუნების შემდგომ ბავშვის აღზრდაში. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მიზანია ოჯახისათვის სათანადო შრომითი პირობების შემუშავება, კერძოდ, ხელი შეუწყოს მშობლების მიერ სამუშაოსა და ოჯახის საქმიეების შეთავსებას, რომ დარჩეთ ბავშვის აღზრდისათვის საჭირო დრო.

ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში ბავშვის მოვლისათვის შვებულებას აძლევენ ორივე მშობელს. შვებულების პერიოდის გადანაწილება ხდება მამაკაცსა და ქალს შორის შეთანხმების საფუძველზე. შვებულება შესაძლებელია გადანაწილდეს ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდზე. მისი ხანგრძლივობა სხვადასხვა ქვეყნებში მერყეობს 12 კვირიდან – 26 კვირის ჩათვლით. შვებულების ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება შვებულების მიმღები პირის ანაზღაურების ოდენობის 80%-100%-მდე.

საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების პერიოდის ხანგრძლივობამ, დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძ-

ლოა შეადგინოს მაქსიმუმ 730 დღე, თუმცა ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა განისაზღვრება 183 კალენდარული დღით (26 კვირა), ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 200 კალენდარული დღით. საქართველოს შრომის კოდექსი ადგენს ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობის ზედა ზღვარს – „არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით“. საქართველოს შრომის კოდექსის 28-ე მუხლის მიხედვით, „დასაქმებულს თავისივე თხოვნით, უწყვეტად ან ნაწილ-ნაწილ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში 2 კვირისა, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ბავშვის მოვლის გამო – 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი“. ანაზღაურების ოდენობის გაანგარიშებისათვის ითვალისწინებენ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის ან ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებაში გასვლის წინათვის თანამდებობრივი სარგოს.

საქართველოს კანონმდებლობის მიერ განსაზღვრული ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდის ხანგრძლივობა შეესაბამება ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ სტანდარტს, თუმცა შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობის ზედა ზღვარის ოდენობა (1000 ლარი) ვერ უზრუნველყოფს ოჯახის ეფექტურ ფინანსურ დახმარებას. ამ მხრივ, შვებულების მიმღებ პირს უნდა ჰქონდეს უფლება მიიღოს შვებულების პერიოდში მიღებული ფინანსური დახმარება მის მიერ წინა თვის განმავლობაში მიღებული შრომითი ანაზღაურების ოდენობით, ზედა ზღვარის დადგენის გარეშე.

### **დასკვნა/რეკომენდაციები**

საქართველოში არსებული ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებისათვის სათანადო პირობების შექმნას. ამ მხრივ, მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნას ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება.

საქართველოში გავრცელებულია მხოლოდ ოჯახის ფინანსური დახმარება და ისიც ვერ აკმაყოფილებს ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ სტანდარტებს. საქართველოში არ გამოიყენება ოჯახის ფინანსური დახმარების ისეთი ღონისძიებები, როგორცაა: ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით ერთჯერადი ფინანსური დახმარება, ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში დახმარება და საგადასახადო შეღავათები.

ოჯახისა და სამუშაოს შეთავსების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობა ადგენს ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების უფლებას ორივე მშობლისათვის. აღნიშნული შვებულების პერიოდის ხანგრძლივობა შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან, თუმცა შვებულების პერიოდში გასაცემი თანხის ოდენობა ვერ აკმაყოფილებს ევროკავშირის ნევრ სახელმწიფოებში არსებულ სტანდარტებს.

ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილია:

- საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის, შეზღუდული სახელმწიფო ბიუჯეტის გათვალისწინებით და, შესაბამისად, სახსრების ეფექტურად გამოყენების მიზნით, მიზანშეწონილია სახელმწიფომ შეიმუშაოს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც გათვლილი იქნება დაბალ და საშუალო შემოსავლიან ოჯახებზე და გავრცელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ასეთი სელექტიური მიდგომა უფრო მიზანშეწონილია ჩვენსაირი დაბალშემოსავლიანი ქვეყნისათვის, სადაც პროგრამაზე ისედაც მწირი თანხები იქნება გამოყოფილი და უმჯობესია ეს მწირი თანხები უფრო ხარჯთეფექტურად დაიხარჯოს, ვიდრე ყველასათვის ერთნაირად როგორც შეძლებული ფენისათვის, ასევე შედარებით ღარიბი ბენეფიციარებისათვის. საორიენტაციოდ აღებულ უნდა იქნას სოციალურად დაუცველი ფენების არსებული სია და შედარებით მაღალი სარეიტინგო ქულა (ან სოციალურად დაუცველი ფენების არსებულ სიაში არსებული პირები მთლიანად);

- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა უნდა წარმოადგენდეს ერთიან სტანდარტს მთელი ქვეყნისათვის, როგორც მინიმალური საბაზისო პაკეტი. ცალკეულ რეგიონებს თუ რაიონებს უნდა მიეცეთ საშუალება, რომ ამ საბაზისო პაკეტს დაამატონ მასში არშემავალი სერვისები და გაზარდონ თანხები. ასეთი მიდგომა უფრო მოქნილს გახდის პროგრამას, ასევე შესაძლებელი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზებისათვის სტიმულების მიცემა, მოტივაციის ამაღლება, კონკურენციის პრინციპების ჩადება და ა.შ.

- ოჯახის ფინანსური დახმარების სახელმწიფო პროგრამა უნდა გავრცელდეს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიუხედავად იმისა,



აღნიშნულ რეგიონში წინა მე-2 და მე-3 წლის განმავლობაში დაფიქსირდა თუ არა წლიური მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი;

- ოჯახის ფინანსური დახმარება უნდა ვრცელდებოდეს პირველი ბავშვის შექმნის მომენტიდან და მისი ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის საჭიროებებს. მიზანშეწონილია, ყოველთვიური დახმარება გაიცეს იმ ოდენობით, რომ მან ბავშვის გაჩენის შემთხვევაში, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით უზრუნველყოს ოჯახში ამ მიზნით განეული დამატებითი ხარჯების კომპენსირება. გათვალისწინებული იქნას დაბადებული ბავშვის რიგითობა. კერძოდ, მატერიალური სტიმულირება უნდა განხორციელდეს მეორე და, განსაკუთრებით კი, მესამე ბავშვის დაბადების შემთხვევაში. რადგანაც სწორედ მესამე ბავშვი უზრუნველყოფს მოსახლეობის გაფართოებულ კვლავნარმოებას, ხოლო მეოთხე და შემდგომი რიგითობის ბავშვების დაბადება ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების შემთხვევაშიც კი, მათი სიმცირის გამო, არსებით გავლენას ვერ ახდენს შობადობის დონის ამაღლებაზე (თოთაძე, 2012).

- ოჯახის ფინანსური დახმარების მიღების პერიოდი უნდა გრძელდებოდეს ბავშვის სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე;

- სახელმწიფომ დახმარება უნდა გაუწიოს ოჯახს ბავშვის მზრუნველობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში;

- სახელმწიფომ მრავალშვილიანი ოჯახებისათვის უნდა დააწესოს საგადასახადო შეღავათები, ასევე სოციალური შეღავათები კომუნალურ გადასახადებზე, სახელმწიფო ტრანსპორტით სარგებლობაზე, სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის გადახდაზე;

- ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების პერიოდში გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობა განისაზღვროს დასაქმებულის შვებულებაში გასვლის წინა თვის ანაზღაურების ოდენობის 100%-ით და გაუქმდეს შრომის კოდექსით დადგენილი ანაზღაურების ოდენობის ზედა ზღვარი (1000 ლარი).

### ბიბლიოგრაფია:

1. თოთაძე, ა. (2012). *საქართველოს დემოგრაფიული პოლიტიკის კონცეფცია*. თბილისი, 2012.

2. თოთაძე, ა. (2013). *დემოგრაფიული სიკვდილის ქრონიკები*. საქართველო და მსოფლიო. თბილისი, 2013.
3. ხუნდაძე, დ. (2015). *საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა*. სამეცნიერო ჟურნალი ქართული პოლიტიკა. ჟიურნალი შარტავას სახელობის სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა. თბილისი, გვ. 15.
4. ცუხიშვილი, ნ. თუშურაშვილი, გ. ავალიშვილი, ლ. (2016) *ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა – ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და საქართველო*. თბილისი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი.
5. ვერულავა, თ. (2016). *რეცენზია სტატიაზე: ოჯახის მხარდაჭერის პოლიტიკა – ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და საქართველო*. თბილისი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. <https://idfi.ge/public/upload/IDFI/IDFI/verulava.pdf>
6. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის წინასწარი შედეგები. (2015). თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს ბრძანება №231/ნ-ის „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესის“ შესახებ.
8. United Nations, Department of Economic and Social Affairs, Population Division (2011). *World Population Prospects: The 2010 Revision, Volume I: Comprehensive Tables*. ST/ESA/SER.A/313.

### **Tengiz Verulava**

Professor, Ilia State University

### **Family Support Policy in Georgia: Problems and solutions**

#### **Abstract**

In recent decades Georgia is in difficult demographic situation. According to the 2014 census, the population of Georgia amounted 3 729 635 people. It should be noted that as a result of the 2002 census of the population of. Thus, compared with 2002 census (4 371 535 people) population of Georgia is

reduced by 14.7%. According to the United Nations studies, current demographic trends continue, by 2050 the population of Georgia will be reduced to 2,985,000 persons (in 32% compared with 2014 year).

- Unfavorable demographic situation causes by low birth rates, mortality rates, an aging population. Such demographic condition in the country contributes to the poor economic situation, high level of unemployment and migration, also the high rate of abortions.
- Given this, it is important to develop appropriate public policy. Family support policy means to provide: financial support and assistance to the family, create appropriate environment balance of the work and family. Family financial support include: the family financial assistance, one-time financial assistance in connection with the birth of the child, the cost of the assistance of child care, tax benefits granted to the family income taxation.

## მანანა კვაჭანტირაძე

შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი, თსუ

### სივრცული მოდელები თანამედროვე ქართულ პროზაში

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან, პოსტსტალინური ეტაპის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ცვლილებებთან ერთად, ქართულ ლიტერატურაში მნიშვნელოვნად იცვლება ისტორიული და გეოგრაფიული სივრცეების აღქმა. ამ პროცესების პარალელურად, შემოქმედებითი ცნობიერებისთვის აქტუალური ხდება „ცნობიერების ფილოსოფიის“ მიერ წამოჭრილი ეგზისტენციალური საზღვრების პრობლემატური „მე“-სა და „სხვას“, „ჩემიანსა“ და „სხვაგვარს“ შორის. შესაბამისად, 50-იანი – 80-იანი წლების ლიტერატურული პროცესი შეცვლილი სივრცული წარმოდგენებისა და ახალი სივრცული მოდელების დამკვიდრების ფონზე ვითარდება. სივრცული ხატები იძენენ სემიოლოგიურ დატვირთვას, ანუ გვევლინებიან ცნობიერებით-კულტურული კოდის ნიშან-ხატებად და ქმნიან დამატებითი კონოტაციური მნიშვნელობების დონეს, რომელთაც დროის, ისტორიის, ადამიანის შინაგანი ბუნებისა და ყოფიერების ფორმათა აღმნიშვნელების ფუნქცია აკისრიათ.

**გურამ რჩეულიშვილის** მოთხრობაში „შაშას რვოლუცია“ ყოფიერებასთან ადამიანის კონფლიქტი იშლება ეგზისტენციალური შიშის ფონზე, რომელიც ისრუტავს და ანადგურებს ადამიანის „მე“-ს. „მე“-ს პრობლემა გურამთან შერწყმულია სოციალური გაუცხოებისა და უნდობლობის ატმოსფეროსთან. შიშის ამ მოდუსების ინტერფერენცია ამახინჯებს მოთხრობის პერსონაჟის, ძაგანიას ცხოვრებას და არ აძლევს მას თვითგანხორციელების საშუალებას სიკვდილის ბოლო წუთამდე, როცა ის პასუხებს იღებს სიცოცხლეში გადაუჭრელ პრობლემებზე.

პერსონაჟის ოთახის სივრცე – უკარო ოთახი – არა მხოლოდ ერთი ოჯახის რეალური საცხოვრებელია, არამედ ჩაკეტილი, გამოუვალი, დახურული ყოფიერების ხატია, რომელიც ძაგანიას არსე-

ბობას, მის სიცოცხლესაც და სიკვდილის მოლოდინსაც ღირსების დამამდაბლებელ ფაქტად აქცევს.

მოთხრობის მეორე პერსონაჟის, შაშას შინაგანი ემოციური კავშირი სივრცულ აღქმებთან და, განსკუთრებით, სიმეტრიულობასთან მიგვიჩვენებს შაშას ფსიქიკურ პრობლემებზე, რომელიც ვლინდება სიმეტრიულობისა გამძაფრებულ მოთხოვნილებაში (სიმეტრიის თემა – როგორც „შაშას რევოლუციის“ კომენტარებშია მითითებული, გურამის სერიოზული ინტერესის საგანი იყო მოთხრობაზე მუშაობის პერიოდში (რჩეულიშვილი, 2004, 291)). სიმეტრიულობის ეს გამძაფრებული აღქმა, მათ შორის, განსაკუთრებით, ეთიკურ ოპოზიციათა ასიმეტრიულობისა, შაშას არაცნობიერის რეაქციაა ცხოვრების ყოველნამიერი უსამართლობისა და ადამიანთა გულგრილობისა და უსიყვარულობის მიმართ, არსებობის სიცვალოური, ფსიქოლოგიური, მორალური სფეროების არასრულყოფილების მიმართ. ამ აჭრილ და დაულაგებელ, სიმეტრიადარღვეულ სივრცეში შაშას და ძაგანიას თანაარსებობა მახინჯი და ტრაგიკული კონფლიქტის სახეს იძენს და ძაგანიას განადგურებით სრულდება.

ძაგანიას სასიცოცხლო სივრცე – თბილისური ეზოს ოროთახიანი ბინა ურთიერთდაპირისპირებულ მნიშვნელობათა შემცველი სივრცეა, რომელთანაც პერსონაჟს განსხვავებული აღქმები, შეგრძნებები და მოგონებები აკავშირებს. წინა ოთახი, რომლის მოპოვებასაც ძაგანიამ ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდი შეაღია, გარანტიანა მისი ღირსეული დაკრძალვისა, იმისა, რომ მშობლებისაგან განსხვავებით, მის კუბოს „ქრისტიანულად ჩაიტანენ კიბეზე“: „მის გონებას დაეპატრონა აზრი, რომ, ის იცხოვრებდა მხოლოდ იმისთვის, რომ მისი კუბო არ გადაეშვათ ისევე სამარცხვინოდ (როგორც დედამისისა – მ. კ.), არამედ გაეტანათ ჩვეულებრივი გზით...“

პერსონაჟთა სხეულის ენას მაღალი ფუნქციური დატვირთვა აკისრია და მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გარეგნულ ნიშნებს ქმნის. შაშა კოჭლია, ძაგანია – დიდთავა. ძაგანიას სიკვდილის სივრცულ-სხეულებრივი პორტრეტი მის სულში მიმდინარე მუდმივი კონფულსიებისა და ცხოვრებისეული შიშების გამოხატულებაა. შიში მას აიძულებს განუწყვეტლივ აკონტროლოს საკუთარი სხეულის მდგომარეობა სივრცეში, ანუ გამოიმუშაოს მესამე თვალი საკუთარი გარეგანი ხატის მიმართ. უკარო ოთახიდან გა-

მოსვენების წარმოსახვითი ხატი, ნასაზრდოები დაგანიას ცხოვრების რეალური გამოცდილებით, იმავდროულად სიკვდილის წინაშე გამანადგურებელი, თავზარდამცემი შიშის მხატვრული ხატია. გარდა იმისა, რომ იგი პერსონაჟის მიერ საკუთარი გარემოს არაცნობიერი აღქმისა და შეფასების ნაყოფია, იმავდროულად, უჩვეულო და ღრმა სივრცული მეტაფორაა, რომელშიც არამხოლოდ დაგანიას ინდივიდუალური განცდაა სიმბოლიზებული, არამედ ეპოქალური შიშის ეგზისტენციალური ძირები, „ყოფიერების ჩაკეტილი წრის“ კონოტაციებიც ხშიანდება. მოთხრობაში, სავარაუდოდ, ასახულია ის გამოცდილება, რომელზედაც გურამ რჩეულიშვილი თავის დღიურში ლაპარაკობს: „მე გადავრჩი თავის მოკვლას, რომელთანაც მიმიყვანა შიშმა... მიხსნა ისევ შიშმა... საკმარისია, მე დავკარგო შიშის გრძნობა, რომ შევურიგდე იმას, რისთვისაც დიდი ხანია ვემზადები – ეს არის უმაღლეს ძალად სულის აღიარება და ეს ტენდენცია ძალიან ძლიერია ჩემში“ (რჩეულიშვილი, 2007, 352).

ეს ოთახი ცივია, ზედმინვენით სუფთა, მისი „კარი გადის ნათელ, დიდ აივანზე“, მასში დგას დიდი, მაღალზურგიანი მუხის სკამი, რომელსაც მსაჯულის გერბი აქვს შერჩენილი. გურამი ამბობს: „ასეთი ხაზგასმული სისუფთავისაგან განსაკუთრებით ცივი და არამყუდრო ჩანდა მთელი ოთახი“, „როცა აქეთ, სიცარიელეში იჯდა, მხოლოდ მაშინ გრძნობდა დაგანიას, როგორ უყვარდა და რა სითბოთი იზიდავდა ის ანგრეული ოთახი თავისი ნაცხოვრები სითბოთი, რომელშიც სიამოვნებით გაატარებდა მთელ სიცოცლეს და რომელშიც ერთი წამითაც კი ვერ ძლებდა“.

დაგანიას ამბივალენტური დამოკიდებულება ბნელი ოთახისადმი ყოფიერებისადმი მისი დამოკიდებულების ანალოგიურია. მყუდრო და ნამდვილი ცხოვრების მოგონება, დაცულობის განცდა სწორედ ამ ანგრეულ ბნელ ოთახს უკავშირდება. ამ სივრცის ნახვა ცვლის მას, უფორიაქებს განცდებს და არაცნობიერს. სიკვდილის წინ სუფთა, ცარიელი ოთახის შუაში დამდგარ ტახტზე მჯდომი დაგანია სისხლისგან დაცლილი, ფორთხვით გადის პატარა, ანგრეულ ოთახში, დიდ ხის სანოლზე წვება და მშვიდად, უშიშრად, რაღაცნაირი მზაობით ეგებება სიკვდილს. ბნელი, უკარო ოთახი ის სივრცეა, სადაც იგი იგი სიკვდილის შიშისაგან თავისუფლდება და საკუთარი „მე“-ს იდენტიფიცირებას ახდენს. ასეთი მაიდენტიფიცირებელი სივრცის ფუნქციას შამას შემთხვევაში ქუჩა ასრულებს,

სადაც ძაგანიას მკვლევლობის შემდეგ პერსონაჟი ხალხის მასას უერთდება. შაშას შეერთება რევოლუციასთან, ზოგადად, ქუჩის მასობრივი სცენა „შაშას რევოლუციაში“, როგორც მხატვრული იდეა, დიდი ალბათობით, ვითარდება იმ ფარულ აზრობრივ ქვეტექსტთან შესაბამისობაში, რომ რევოლუცია ყოველთვის იკრებს თავის რიგებში მარგინალებს, სოციოკულტურულად და ფსიქოლოგიურად განუხორციელებელ, ტრავმირებულ ადამიანებს, შესაბამისად – შურისმაძიებლებს. ამ თემის წამოწევა 50-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა იდეოლოგიურ-კულტურული სივრცის დაშლის დასაწყის ეტაპზე (მოთხრობა მწერლის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა) წარმოადგენდა რევოლუციის მითის – მასების სოციალური სამართლიანობის აღდგენისაკენ მიმართული მორალური „შემოქმედების“ – კრიტიკულ გადააზრებას საზოგადოების მოაზროვნე ნაწილის მიერ. მეტიც, გურამს თავისი ჩანაფიქრი სრულიად ახალ კონტექსტში – ეგზისტენციალიზმისა და ფსიქოლოგიზმის კონტექსტში შემოაქვს.

**ოთარ ჭილაძის** რომანების დრო-სივრცული სტრუქტურა ურთულესია და თავს იჩენს უჩვეულო სინთეზურ ფორმებში დრო-სივრცის მხატვრულ მოდელში სინთეზდება ფიზიკური და ფსიქოლოგიური, სუბიექტური და ობიექტური, პერცეპციული და აპერცეპციული დროები. ამავდროულად, მხატვრული დრო-სივრცე ჭილაძის რომანებში ზოგადსემიოლოგიური სისტემის ნაწილია და ძლიერი ნიშნობრიობით ხასიათდება. სივრცული ხატები წარმოადგენენ: 1. დროის, როგორც შინაგანი გამოცდილების ფორმის გარეგან ნიშნებს; 2. მოვლენის, მდგომარეობის, კონცეპტის აღმნიშვნელებს; 3. უშუალოდ სივრცის აღმნიშვნელებს.

დარიაჩანგის ბალი და მისი სურნელი ძველი ვანის, საქართველოს ბავშვობის დროის გრძნობადი აბსტრქციაა. მითოსური დროის დასასრულისა და ახალი დროის პირველი ნიშანი ზღვის მიერ უკან გადადგმული პირველი ნაბიჯია. გიორგას მამის ჩოხა დროსთან კავშირის, მისი ხსოვნის ნიშანია, რომელიც ანას სიცოცხლის ბედნიერ ხანასთან აკავშირებს. დაკარგული დროის გამოსახულებაა, სხვა კონოტაციებთან ერთად, უხეიროს აფრისხელა ტილოც; დროის მეტაფორაა „ავრლუმში“ „წარსულის გვამი“, ასევე „წარსულის ლოლი“, რომელიც ფეხქვეშ ეცლება აველუმს.

ცნობიერება დროს დაიყვანს იმ ცვლილებებზე, რომლებიც სივრცეში ხდება. ჭილაძის დროის მოდელი ძირითადად, წრიულია, ციკლურია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ადამიანს დროში შებრუნებისა და წარსულის წარმოსახვაში, ხსოვნაში, ანუ რეალობის ვირტუალურ გამზომილებაში გადარჩენის შესაძლებლობას აძლევს.

ჭილაძესთან მიზანშეწონილია ვილაპარაკოთ დრო-სივრცულ კონტინიუმზე, პროცესზე და, შესაბამისად, ხატების პროცესუალობაზე. დრო-სივრცული კონტინიუმი უცვლელი და ცვალებადი სტრუქტურების განუწყვეტელი მონაცვლეობით იგება. მარადიულში შეიგრძნობა ცვალებადობის ნიშნები და პირიქით. დამახასიათებელია, რომ ჭილაძის დრო-სივრცული მოდელი ყველა რომანში ან ისტორიული, ან ასაკობრივი გადასვლის მომენტს აფიქსირებს: სხვადასხვა ტიპის ცვლილებები კორელაციაში მოდიან ერთმანეთთან. მაგალითად, დროის ცვლილების მაუწყებელი ნიშანია კუსას დაბადება. ახალშობილის ჩხავილთან ერთად ინო და ფარნაოზი იძულებით ტოვებენ ბავშვობის სივრცეს, იწყება დარიაჩანგის ბაღის ხმობა და გაქრობა, ვანის დაქცევა. ზღვის უკანდახევას, ანუ სივრცის ცვლილებას ახლავს ციკლური, შექცევადი მითოსური დროის გადასვლა ისტორიულ, ვექტორულ, შეუქცევად დროში. მთელი ეს პროცესი არსებითად სივრცული ცვლილებების ფონზე ხდება. დროთა გასაყარი, გზაჯვარედინი ბათუმის ცხოვრებაში გამოიხატება სწორედ სივრცის ცვლილებით, მოვლენათა სწრაფი, ინტენსიური მონაცვლეობით, რიტმის დაძაბულობით, სადაც სივრცე თითქოს ცხოვრების (დროის) დაძაბულ რიტმს იმეორებს. ავტორის თხრობას რეფრენად გასდევს ფრაზა: „ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა“.

მიმდინარე დრო არა ფიზიკური სივრცის უშუალო ფორმებით, არამედ დროის ფანტომთა არაცხადი შეგრძნებების სივრცული კორელატებით აღინერება. მომავალი უკავშირდება სივრცეში „წინ“-ს, წარსული – „უკან“-ს. წარსული „აველუმში“ არის არა „უკან“, არამედ „ზემოთ“, ანუ სივრცული კომპოზიციის ვერტიკალურ სიბრტყეზე. ჭილაძესთან სიძნელის იდეა არ უკავშირდება მაინცდამაინც „ზემოთ“-ს და, შესაბამისად, უკეთესს. ძნელი შეიძლება იყოს „ზემოც“ და „ქვემოც“. მწერალი არ ანიჭებს უპირატესობას რომელიმე მათგანს. ამ აზრით, ჭილაძის სემიოტიკური პრაქტიკა „არა-ევროპოცენტრისტულია“.



არაცნობიერი წარმოდგენილია გარკვეულ სუბიექტურ სივრცედ, სადაც, ატომთა მსგავსად, ხდება აზრების, ხატების, დროისა და სივრცის ფრაგმენტების, მეხსიერებისა და შეგრძნებათა წარჩენების თავისუფალი ურთიერთდაკავშირება. მედეას დანახვისას იასონის შეგრძნებაში გაჩენილი ზღვის ხმაური ან კიდევ აველუმის შეგრძნება – „თითქოს დაინახა კიდეც ის ხმა“ – სივრცულ წარმოდგენებში სხვადასხვა ტიპის შეგრძნებათა ინტერფერენციას და აღქმათა ფრაგმენტების სინთეზს ადასტურებს. სივრცული წესრიგი, უპირველესად, სიკვდილ-სიცოცხლის სამართლიან ურთიერთგაცვლას ემსახურება: მკვდარი ცოცხალს უთავისუფლებს ადგილს, სამაგიეროდ, გადადის ხსოვნაში, ანუ წარმოსახვის სივრცეში, სადაც ადგილი ყველასთვის მოინახება. ფარნაოზის დაუმარხავი მკვდრები აფრისხელ ტილოზე იმარხებიან. აფრისხელა ტილო – სულის ვირტუალური სივრცეა, მონანიებისა და სიბრალულის ცრემლით დანამული, ფერადებით დაქსოვილი სიცოცხლის მინდორი. „მარტის მამალში“ გუმბათჩამოქცეული ეკლესია კოსმიური უწესრიგობის ნიშანია. როგორც ლევი-სტროსი ამბობს, ჭერი, ერდო არქაულ ფოლკლორში ცის თაღის ხატია (Левин-Стросс, 1983, 167). რაკი თალი ჩამოქცეულია, ვერ იკვრება წრე ზემო და ქვემო სივრცეებს შორის. სრულყოფილად ვერ ხორციელდება კომუნიკაციის აქტი იმ ორს შორის, რომელთაგან ერთი წინაპარია, მეორე – შთამომავალი; ერთი წარსულია, მეორე – მომავალი და ერთი მეორისგან გადარჩენას ელის. წრე და გზა ჭილაძესთან არის უნივერსალური პრასიმიბოლო და მოდელი ყველა იმ სტრუქტურისათვის, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც კულტურა და ხსოვნა.

**ლია სტურუას** „შეგრძნებათა რომანში“ დარღვეულია სამგანზომილებიანი ევკლიდური სივრცის მყუდროება, გეომეტრიული გარკვეულობა. სივრცისადმი უნდობლობა დეფორმირებულ სივრცულ ხატებში აისახება. დრამატიზმი, რომელიც, ჩვეულებრივ, საფუძვლად უდევს მოქმედების განვითარებას, აქ შიდა სივრცეშია გადატანილი და შეგრძნებების, აღქმების სივრცული ხატებითაა წარმოდგენილი, შესაბამისად, მათ მთხრობელის შიდა ტექსტის დაძაბულობის გამახატვა აკისრიათ. ხაზგასმულია პოეტური სივრცის ვერტიკალურობა, სივრცის ჰორიზონტალური სისწორის ყოფითი ბუნება. სივრცული ხატები გამახატავენ შეუთანხმებლობას ადამიანის რაციონალურ და ემოციურ საწყისებს შორის.

„ეროვნული უკუნეთის“ ტრანსფორმაცია ინდივიდუალურ შეგრძნებებში წარმოქმნის მხატვრულ სახეებს: საათი მუშტივით ურტყამს ტვინს, „ნერვები ახლად წათლილ ფანქრებს ემსგავსებიან“. ფსიქოლოგიური დროის დეფორმაციები დროის მეორადი კულტურული ნიშნებით – ბერგმანისა და დალის დაღვრილი, დამსხვრეული დროის ასოციაციური სივრცული სახეებით ძლიერდება. რეალური სივრცის ჰერმეტიულობის გარღვევას პოეტი წარმოსახვის სივრცეში ცდილობს, მაგრამ თუკი დეფორმირებული ხატებით ვიმსჯელებთ, თავისუფლების ეს მცდელობა სხვა არაფერია, თუ არა ერთი ტიპის ჰერმეტიზმიდან მეორეში შესვლა. საკუთარი „ტყავიციხე“, „სახლი-ციხე“, „ქალაქი-ციხე“ გამოუვალი ტყვეობის, გადაულახავი ჩაკეტილობის ხატებია.

თანამედროვე პოეტის კიდევ ერთი მეტაფორაა ციხის კედელში ნებაყოფლობით ჩატანებული ადამიანი („სპილოს ძვლის კოშკიდან სურამის ციხემდე“ – „ქართული გადახრა“), რომელმაც საკუთარი ციხე უნდა დაიცვას – სიცოცხლით, სხეულით, სიტყვით. ამ მდგომარეობის ტრაგიზმს ღია სტურუა „შუშაბანდიანი ციხის“ დრმატიზმით ცვლის და ქალაქური ფოლკლორიდან აღებულ ნაცნობ დარდიმანდულ ფრაზას გადაითამაშებს: „ციხეს რად უნდა რკინის კარები, მას უნდა ჰქონდეს შუშაბანდები“. ციხის რომანტიზაცია პერიფერიული ქურდული დისკურსის ირონიული ლეგიტიმაციის ნიმუშია, თავისუფლების ღია სივრცის ილუზიის შექმნის მცდელობა ტყვეობის გასაიოლებლად. ამ უნუგემო სიტუაციაში პოეტი ღმერთთან აპელაციას მიმართავს. აქ ჩნდება გაუმიჯნავი, მთლიანი სამყაროს მონატრებაც და ახალი პეიზაჟიც, სადაც „კარგად ხედავ, როგორ ხელმძღვანელობს ღმერთი ფიჭვების ნათესაობას მზესთან, აყვავებული ბუჩქის მოულოდნელობას მოსახვევში... სინათლისა და ჩრდილის წონასწორობას“.

თანამედროვე სივრცე შემაშფოთებელია თავისი უსაყრდენობით, უწონადობით, დაქუცმაცებულობით. ღრმავდება სვრცის შედედების, არაერთგვაროვნების, ალბათურობის, გამრუდების შეგრძნება. ორიენტირები აღრეულია, შესაბამისად, სივრცეში მოძრაობა სახიფათოა: კაცი შეიძლება „ქუჩაში დაიღვაროს და ძაღლებმა ალოკონ“ და ა. შ. ნეკროფილური რეალობის ატრიბუტებითაა სავსე მთელი სივრცე: ინტელიგენტი, რომელიც „უპატრონო ძაღლს გავს“, „ბიბლიოთეკები, რომელთა სულები კარგა ხანია მოიხარშა

რესტორნის სამზარეულოში“, შემოქმედთა საერთო საფლავის ბნელი აჩრდილი, რომელიც „ცრემლივით ჩამოგრძელებულ“ სიტყვა-სსოვნა ამაღეუსთან ერთად ჩნდება.

დღეს აღარავის დავობს იმაზე, რომ ადამიანთა სივრცე ესაა „რაციონალიზებული ველი“, რომლის ენაც აშკარად ატარებს უფრო სემიოლოგიურ-ნიმნურ, ვიდრე მატერიალურ-ფიზიკურ ხასიათს, ანუ სივრცე უფრო აღმნიშვნელის სტატუსით გვევლინება, ვიდრე აღსანიმნისა. პოეტი მას ნეიტრალურად კი აღარ აღიქვამს, არამედ ცნობიერების ოპერაციათა გამოხატვის ველად. სივრცის მხატვრული ფორმები, შესაბამისად, გაცილებით მრავალფეროვანი, ღრმა, მრავალფუნქციური და პოლივალენტურია, ვიდრე სივრცე-ობიექტი, უფრო კულტურულია, ვიდრე ბუნებრივი. იმპლიციტურად დრო არსებობს თითქმის ყველა სივრცულ ფიგურაში, რასაც ღია სტურუას ხატვრული ენა ქმნის.

რომანში თავს იჩენს ნარცისისტული რიტორიკისათვის დამახასიათებელი ინვერსიისა და ორეულების მრავალგვარი ტიპი (Же-нетт, 1998, 66-72): სარკისებური („სარკეში ვიხედები და ვქვავდები“); სხვაში გადასვლა (ბავშვის ნახატი-თოჯინა. ობობა, ყამარი-დალი); დაშლა (დანაწილებული სული და სხეული); ამოყირავება („სიარული უკუღმა, თავით თუ ხელებით“); სრული ნაშლა სახე-ლაქა, „სახე – ქუდივით ჩამოფხატული“ ან „მოხსნილი და მაცივარში შენახული“). ეს ყველაფერი კი აშკარა გამოხატულებაა „მე“-ს იდენტობის კრიზისისა, რომელიც საკუთარი პოეტური სახის გადარჩენას ცდილობს და მას სივრცის სხვადასხვა წარმოდგენაში განათავსებს.

**ერლომ ახვლედიანის** რომანის „კოლო ქალაქში“ მხატვრული სივრცე კონცეპტუალურად დატვირთული საგნებითაა შევსებული.

ოთახი, სადაც მაგიდა დგას, ის ერთი ოთახია, საიდანაც როგორც დედამიწიდან, არსადაა გასაქცევი, სადაც პასუხი უნდა გაეცეს ყველა კითხვას, რომელსაც მწერლის მოუსვენარი გონება დასვამს. მაგიდა მწერლის მოუსვენარი ცნობიერების მეტაფორაა: რაც არ უნდა დააღაგო, ცუდად გამარგლული ყანასავით – ისევ ივსება ნივთებით.

XXI საუკუნის შემოქმედის, უფრო ზუსტად, მწერლის საბრძოლო ატრიბუტიკა, ანუ ფურცელთან, სათქმელთან ბრძოლის იარაღებია: სანერ-კალამი, სიგარეტით სავსე კოლოფი, ქვიშის საათი, ნათურა, გამადიდებელი შუშა(!) და, რაც მთავარია, ძველი სააფ-

თიანეო სასწორი, რომლითაც ყველაფერს აწონი: ფერფლსაც და სპილოსაც (კონტრასტები), ნაცნობებსა და ღამეს, სიზმრებს, მოგონებებსა და ამბებს. სწორედ ეს იარაღებია ცნობიერების გამაძლიერებელი მექანიზმები, მათი დახმარებით იქმნება ის, რაც მოგვიანებით ფურცელზე ჩნდება.

რეალობის მეტაფიზიკური ბურუსი ნისლივით (გალაქტიონისეული „რიდე“) ეხვევა გარს ყველაფერს – მწერლის მაგიდიდან დაწყებული, ჩვენი ცხოვრების აზრით დამთავრებული. ამ ბურუსში ჩნდება ის კავშირები და შესაბამისობები, საერთო სიმბოლური წესრიგი, რომელიც ერთ ენაზე ალაპარაკებს ადამიანსა და სამყაროს, „სიმბოლოთა დიადი ლოგიკა“, რასაც მხოლოდ პოეტური ენა ამოთქვამს.

წერის დაწყების პროცესი სამყაროს მოწესრიგების წინა დღე, წინა წამია, როცა ქაოსი ეწინააღმდეგება კოსმოსს, შესაქმის ნებას. ყველაფერი, რაც შემოქმედს გარს აკრავს, სუნთქვაშეკრული, ჩასაფრებული ელოდება დაწყებას. ერლომის მიერ აქტუალიზებული სივრცული ზონები და ტოპოსები რეალური სივრცის ალტერნატივას ქმნის, სადაც ყოფიერებასთან ადამიანის მიმართების პრობლემა თავიდან უნდა გადაწყდეს. მოულოდნელი ასოციაციური ბმებით იგი ქმნის მის სახეს ჯერ მხოლოდ ძალზე ზოგადი, ბუნდოვანი სენსორულობის დონეზე. ამ ალტერნატიული სივრცის შექმნა თხოულობს სიტყვის ისეთ მატერიას, რომელიც ფიქრის პროცესის ადეკვატური იქნება: „მოვიმარჯვე კალამი, რომელიც ყველა კალამზე მეტად არ წერდა“. ეს კალამი არქეიარალის თავდაპირველი სახეობა და არქეკალამია – არქიტექსტის ჩამწერი, რომელიც თუ დაიწყებს, სულ თავიდან უნდა დაიწყოს. მაგიდასთან მჯდარი, ხელებში თავჩარგული დაღლილი კაცი კი, რომელსაც „ძალიან ეძინება“ და თანაც „არაფერი აქვს სათქმელი“, პოსტმოდერნისტი, კრიზისული დროის მწერლის პორტრეტი. მზერა, „თითქოს პირველად ხედავ“, „ახალბებს სამყაროს, თითქოს ის ესესაა შეიქმნან. ეს ხედვის ნულოვანი ხარისხია.

საგულისხმოა ბაზარში ნასვლისა და სანოვანის ყიდვის მეტაფორა ერთი თეთრი ფურცლის ასავსებად. ყიდვას და ყდას ფარული ინტერტექსტი აკავშირებთ („იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე“), დაშვებულია სესხება (მითვისებაც!) სიტყვების, ემოციების, სასვენი ნიშნების, წინადადებების, ხაფანგის (ცხდია, სიუჟეტური ან ლინ-

გვისტური), ცხენების და მწერების (ალბათ, მოქმედი პირების, პერსონაჟების) ახალი ტექსტისთვის, ოღონდ ამას ახლა პოსტმოდერნისტული „რიმეიქი“ ჰქვია.

პოსტმოდერნიზმი არჩევანის ისეთი ტოტალობაა, რომელშიც არჩევანი, როგორც ღირებულება, აზრს კარგავს. რომანის ბოლოს მთავარი პერსონაჟი, როგორც იქნა, გადადგამს ნაბიჯს მარცხნივ (ალბათ, გულის მხარეს), ეს გადალახული კრიზისია და მას ადამიანის ხელით თვით ყოფიერება, სიცოცხლე აკეთებს. ადამიანს ხომ უამრავი ჩრდილი აქვს (ისევე, როგორც არჩევანი), თუმცა ნამდვილი ჩრდილი, გადამწყვეტი ნაბიჯივით, მხოლოდ ერთია: „ის, რომელსაც სიკვდილის წამს დაენარცხები“.

სიპატარავის თვითგანცდის, თვითშეფასების უარყოფა სიპატარავითვე, გაქრობით, თვითდამცირების მაქსიმალიზაცია და აქედან დაბადებული, ადამიანის მნიშვნელოვნების აზრი ცხადი ინტერტექსტია „სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველთან“. ერლომისთვის არადამაკმაყოფილებელია ისეთი „ვარ“, რომელიც მხოლოდ აზროვნებითაა არგუმენტირებული. ის „მე“-ს ყოფიერების ნამდვილობის ახალ გარანტიებს ეძებს.

„სიყვარული უცნაური რამ არის. მას ვერ ხედავენ“. სიყვარული ესაა სივრცის ალტერნატივა, რომელიც არსებობს არასივრცული სახით, მაგრამ განაგებს მთელ სივრცეს, მის ყველა განზომილებას. უხილავი განზომილება, რომელშიც ყოფიერება საკუთარ თავს არ გავს, მაგრამ რომლის მეშვეობითაც ყოფიერება თავის მთელ სუბსტანციას განასახიერებს.

მწერალი მიკროსამყაროს ნამდვილობაზე ლაპარაკობს, რომლის შეხებაც, მისი სიმცირის გამო, ადამიანს არ შეუძლია. მაგრამ ის არსებობს და სამყაროს შექმნაც ამ უმცირესიდან იწყება. მწერალი მტვრის ისტორიას გვიამბობს პირველი კოსმიური აფეთქების წამიდან, როცა დამსხვრეული ქაოსი მტვრად გაიფანტა და ათასწლეულებში განაგრძო ხეტიალი. ერლომ ახვლედიანთან სუნთქვა მსუბუქი კი არა, მძიმე მატერიაა, რადგან იგი სავსეა ფიქრით. მძიმეა სხეული (საფლავივით), დამძიმებულია სულიც – წარსულით, მარტოობით, შიშით, თუმცა მისი ჭეშმარიტი სუბსტანცია უმსუბუქესია და მარადიული ხეტიალისა და უკვდავების უნარით არის დაჯილდოებული.

უჩინარი არსებობაც ნამდვილია და ხილული სინამდვილეც. „უცნურია არსებობა – ის არსებობს“ – ამბობს ერლომ ახვლედიანი. „სამყარო არის. დანამდვილებით“ – ეს კი ნიკო სამადაშვილია. სამყაროს უხილავი სეგმენტებისა და ზონების ხელახალი აღმოჩენით, მისი დაფარული მატერიის ნამდვილობით გაოცებული მწერლის მზერა სამყაროს ხელახალ აგებას იწყებს უჩვეულოდ მსუბუქი, მცირე და უხილავი მატერიით: სიყვარულით, მტვრით, ფიქრით. რადგან, „უცნაურია, მაგრამ ოთახის დალაგება შესაძლებელია“.

ვინ ვარ? – კითხულობს საფერფლე ერლომ ახვლედიანის რომანში. ეს ადამიანის კითხვაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანმა შეწყვიტა კითხვების დასმა, შეწყვიტა ღმერთთან დიალოგი. არადა, „მე“ მხოლოდ ის შეიძლება იყოს, ვისაც ახსოვს ღმერთთან შეხვედრა, ვინც არსებობს ამ შეხვედრის ხსოვნით და მოლოდინით. „რა მაკლია რომ სულიერი ვიყო? – თავის თავს დაუსვა გუდაპერჩის ქუემა და თავადვე უპასუხა: მხოლოდ და მხოლოდ სული“. ადამიანის „მე“-ს არსებობის ეს გულუბრყვილო და იქნებ ამიტომაც, ძალზე მყარი არგუმენტი მეზღაპრის სიტყვის დამაჯერებლობას იძენს. საგნები ფიქრობენ ადამიანზე, მასთან გატარებულ დღეებსა და საათებს იგონებენ (როგორც ადამიანი უნდა ფიქრობდეს ღმერთზე და მასთან გატარებულ დღეებსა და საუკუნეებზე, რომ საკუთარი ძლევამოსილების ილუზიამ ან მიტოვებულობის განცდამ არ გამოხრას).

საგნები გვახსენებენ, რომ ჩვენ ვართ ის, ვისაც სული აქვს. ეს სამყაროს საერთო მეხსიერებაა.

### ბიბლიოგრაფია:

1. Женетт, Ж. (1998). *Поэтика и история. Фигуры*. т.1. М.: Изд-во им.Сабашниковых.
2. Леви-Стросс, К. (1983). *Структурная антропология*. М.: Наука.
3. რჩეულიშვილი, გ. (მ. რჩეულიშვილის რედ.) (2004). *თხზულება-თა ექვსტომეული*. ტ. 3. თბილისი, „საარი“.
4. რჩეულიშვილი, გ. (2007). (მ. რჩეულიშვილის რედ.) *თხზულება-თა ექვსტომეული*. ტ. 5 თბილისი, „საარი“.

**Manana Kvachantiradze**

Shota Rustaveli institute of Georgian literature, TSU

**Spatial models in modern Georgian prose**

**Abstract**

Starting from the 1950s, along with the historical-political changes of post-Stalin era, perception of historical and geographical spaces also significantly changed in Georgian literature. In parallel with the given processes, the problem of existential boundaries, raised by the “consciousness philosophy”, became important for the creative consciousness. Thus, the literature process of the 1950s and 1980s developed on the background of introduction of the changed spatial perceptions and new spatial models.

In Guram Rcheulishvili’s story “Shasha’s Revolution” the space of the character’s room – the room without a door – is the reflection of closed, tough and locked-inside life, which turns the existence of a man, his life and death, into the fact impairing dignity. The imaginary icon of funeral symbolizes not only personal sensation, but also reveals connotation of political space, fears of the age and existential roots of “closed circle of existence”.

The time-spatial model of Otar Chiladze’s novels is especially complex. In the spatial images are synthesized man’s physical and psychological, perceptual and non-perceptual times and spatial imaginations related to them. Chiladze’s time-spatial models are mostly cycle-mythological and vector. Emphasis is made on forward/backward, up/down, open/closed spatial oppositions, vertical and horizontal planes. The psychological, existential, providential experience bearing topoi are accentuated (cave, winter shack, theatre pit, sail-size cloth, golden neighborhood and etc.)

Lia Sturua’s “Novel of Feelings” violates the comfort of Euclid’s 3D space and geometric precision. Distrust to the space is reflected in deformed space images. Verticality of the poetic space and material nature of the horizontal correctness of space are emphasized. Spatial images express the disagreement between the rational and emotional elements of a man.

Contemporary space is horrieng with its suportless, weightless qualities, it is condensed non homogenous substance, due to curvature of space orientation is mixed, moving through space is dangerous: “a man can be poured in the street and the dogs will lick him”.

In Erlom Akhvlediani’s story “Mosquito in the City”, the space creates perception of the crisis of reality. It is fragmented, empty and “dissipated”.

Creator of the new world is also a smallest creature – the mosquito. Writer's room space is a mess and full of useless subjects; paper is blank, pen is inactive. Means to search for reality are: magnifying glass, pen, sand clock, which must push out the time stuck in it and to start the new one. This is the world/space suspended in anticipation, which is covered in the metaphysical mist of existence and awaits for changes to come.

The space zones and topos activated by E. Akhvlediani create alternative spaces for reality, where the relationship with existence should be decided again. With unpredictable associative links the author creates its image on abstract, sensitive level. The writer refers the reality of microworld, that humans can not touch due to its small dimension, but it exists and the creation of the world starts exactly from this small dimension.



**David Matsaberidze**  
Assistant Professor, TSU

**The Post-Soviet Political Transformation of  
Georgia in the Context of the Soviet Legacy:  
A Problem of Constitutional Battles (The Case of Abkhazia)**

**Introduction**

This paper analyzes the case of Abkhazia in the context of the post-Soviet political transformation of Georgia through the scope of political struggles between Tbilisi (capital of Georgia) and Sokhumi (capital of the Abkhazian Autonomous Republic of Georgia) and aims to highlight the role of the political manipulation with Soviet time constitutions in this process. Therefore, it will not deal with the cases and reasons of inter-ethnic pretenses of the Soviet times (1957, 1967, and 1977) as they did not lead to the change of the political *status quo* and nature of inter-ethnic relations between Georgian and Abkhazian ethnic groups, unlike that of the late 1980s. With the dissolution of the Soviet Union, conflict exploded between the central authorities of the Republic of Georgia and the local authorities of the Abkhazian A.R. over the political status of the autonomous entity.

The role of the Soviet administrative structure (i.e. federation based on territorialization of ethnicity) in the dissolution of the Soviet Union has been extensively analyzed (e.g. Bunce, 1999), but the role of Soviet institutions (short of autonomy in general, e.g. Cornell, 2001) in the political legitimization of mutual inter-ethnic pretenses between Sokhumi and Tbilisi has not been explored so far; in terms of institutions, the Soviet time constitutions have not been analyzed in details, which provided instruments to Sokhumi to go against Tbilisi. The study argues that the Soviet time political institutions, Soviet Constitutions first and foremost, were manipulated and interpreted by ethnic Abkhazian and Georgian political elites<sup>1</sup> to carve out their future political basis after the dissolution of the Soviet Union. Different articles of various Soviet-

---

<sup>1</sup> Through using the term *elites* the article refers to the political decision-makers and intelligentsia of the time, who became in charge of political processes in Tbilisi and Sokhumi at the end of the 1980s and beginning of the 1990s.

time constitutions were referred as justification of *self-determination* claims by the Abkhazian elites and as a pre-text for their drive to independence, whereas principle of *territorial integrity* was referred by the central Georgian authorities to block the secessionist drive of the autonomous region. Surprisingly, both sides found justification of their pretenses in the various Soviet constitutions; the soviet time inherited *political-administrative structures* (Supreme Soviet and Council of Ministries) became the venues of power-play were constitutional provisions were manipulated for power struggle over Abkhazia.

The present study considers institutions as (a). Organized setting within which modern political actors most typically act and (b). Process that translate structures and rules into political impacts (March & Olsen, 2005: 4). It looks at them as the 'rules of a constitutional order or the standard operating procedures of a bureaucracy' (Hall & Taylor, 1996: 938). As the paper aims to demonstrate and explain the action of elites, the research refers to institutionalism through the prism of Terry Karl (1990), who portrays institutions as *constraining elite actors' preferences and policy choices during transition*. Among various explanatory theoretical frameworks (essentialism, instrumentalism, institutionalism and constructivism) which try to explain the emergence of ethnic conflicts, exactly 'institutionalism focuses attention on the formal and informal constraints that channel social identities and either facilitate or inhibit group confrontations' (King, 2010: 58).

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ რუსეთის იმპერიის ხელში გადავიდა საქართველოს კიდევ ერთი ისტორიული კუთხე – ბათუმის ოლქი. ამ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მუსლიმი ქართველების ნაწილმა გადაწყვიტა ოსმალეთის ტერიტორიაზე გადასახლება. თურქეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერის ფევი ჩელების (ჩელებაძე) თანახმად, „ამ მიწებიდან ოსმალეთმა, სულ მცირე, ნახევარი მილიონი ადამიანი შეიფარა. გადასახლების მთავარი მიზეზი იყო პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლა, რომელსაც მუსლიმან ქართველებზე ახორციელებდნენ“.<sup>1</sup>

რუსეთსა და თურქეთს შორის 1879 წლის 27 იანვარს სტამბოლში ხელმოწერილი შეთანხმებით, 1879 წლის 3 თებერვალს ოფიციალურად დაიწყო გადასახლების პროცესი, რაც წლების მანძილზე გაგრძელდა. XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ფათასა გარშემო 35 სოფელი იყო, სადაც სულ ქართველები ცხოვრობდნენ, მთლიანად ორდუს ვილაიეთში კი ასამდე ქართული სოფელი იყო. ფათასა გარშემო ქართულ სოფლებში, ძირითადად, ქობულეთიდან გადასახლებულები ცხოვრობენ, ანუ, როგორც თვითონ ამბობენ, ჩურუქსუელები.<sup>2</sup>

დღეისათვის ყურღანსა და მის მიმდებარე ოთხ სოფელში – იაზლიკი, სარალიჩი, იესილალანი და ტეპელანი (yazlık, saralıç, Yeşilalan,

<sup>1</sup> ფევი (ჩელებაძე) ჩელები. ეფთენელი ქართველები – „თანამემამულე“, 2007 წ. თებერვალ-მარტი, 1 (22), გვ. 24.

<sup>2</sup> ალექსანდრე ჩხაიძე. ჩვენებურები. დოკუმენტური მოთხრობა თურქეთში მცხოვრებ თანამემამულეებზე და კიდევ სხვა ამბებზე. ბათუმი, „აჭარა“, 1991, გვ. 197-198.

tepelân, korgan) – მთლიანობაში 5 ათასამდე ეთნიკურად ქართველი ცხოვრობს. ამ ციფრს ასახელებენ თავად აღნიშნული დიასპორის წარმომადგენლები.

## კვლევის მიზანი

კვლევის მიზანი იყო ყურღანის ქართული დიასპორის ეთნიკური იდენტობის კვლევა, მათი ეკონომიკური და კულტურული ინტერესების გამოვლენა და, მის საფუძველზე, ისტორიულ სამშობლოსთან კონტაქტების გაზრდის შესაძლებლობების განსაზღვრა. კვლევა განხორციელდა 2015 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური პროექტების ფარგლებში.<sup>1</sup>

კვლევა ეყრდნობა როგორც სიღრმისეულ ინტერვიუებს, ასევე ფოკუს ჯგუფების შესწავლას. მთლიანობაში, შედგა 6 ფოკუს-ჯგუფი, ხუთი მათგანი დაკომპლექტებული იყო მხოლოდ მამაკაცებით, ხოლო ერთი კი სხვადასხვა ასაკის ქალებით. ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები რამდენიმე ადგილობრივ მენარმესთან და მოხდა იმ პრობლემების თუ პერსპექტივების განსაზღვრა, რაც დგას საქართველოსთან ურთიერთობის თვალსაზრისით. მკვლევართა ჯგუფმა ინტერვიუები ჩაატარა ადგილობრივი ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელთანაც.

კვლევა რამდენიმე ეტაპად განხორციელდა. პირველ ეტაპზე მოხდა ადგილობრივი ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის იდენტობის კვლევა შემდეგ ასპექტებზე დაყრდნობით: რამდენად აქვთ შენარჩუნებული ენა, ისტორიული მეხსიერება, საკუთარი გვარის ისტორია და ეთნიკური მიკუთვნებულობა, ასევე კვლევის მნიშვნელოვან ასპექტს შეადგენდა მათი წარმოდგენა საქართველოს შესახებ.

მეორე ეტაპზე ხდებოდა ეთნიკური ქართველების ხედვების დადგენა საქართველოსთან კონტაქტის თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში

---

<sup>1</sup> პროექტის სახელწოდება: „თურქეთის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის იდენტობა და მათი ეკონომიკურ-კულტურული ინტერესები საქართველოსთან მიმართებით (ქალაქ ყურღანის და მისი შემოგარენის ქართული დიასპორის მაგალითზე)“. პროექტის ფარგლებში კვლევითი ჯგუფი – თსუ-ის პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე, დოქტორანტი ლადო ნაფეტვარიძე და თინა ცხოვრებაძე – 2015 წლის 29 ივნისიდან 2 ივლისის ჩათვლით იმყოფებოდნენ ქალაქ ყურღანში.

გათვალისწინებული იყო რესპოდენტის პროფესია და სტატუსი და ინტერვიუც შესაბამისი მიმართულებით მიმდინარეობდა.

მესამე ეტაპზე კი მკვლევრები ცდილობდნენ დაედგინდათ, რა იყო რესპოდენტათვის ყველაზე რელევანტური გზა საქართველოსთან კავშირების გასააქტიურებლად, რა პრობლემები თუ პერსპექტივები არსებობდა ამა თუ იმ მიმართულებით.

### თეორიული ჩარჩო

ეთნიკური იდენტობის კვლევის განსახორციელებლად, პირველ რიგში, აუცილებელია განისაზღვროს, თუ რა იგულისხმება აღნიშნულ ცნებაში. არსებობს ბევრი მეცნიერის განსხვავებული მოსაზრება მოცემული ტერმინის მიმართ. მაგალითად ამერიკელი მეცნიერი ნენსი ევანსი თვლის, რომ იდენტობა – ეს არის: საერთო კულტურული, რელიგიური, გეოგრაფიული და ენობრივი ცნობიერების არსებობა, რომელიც გამყარებულია ნათესაური კავშირებით და მიკუთვნებულობის გრძნობით (Evans et al., 2010).

ნაშრომის ფარგლებში ეთნიკური იდენტობა გააზრებულია ნაციონალიზმის მოდერნიზებული თეორიის ფარგლებში (ანდერსონი, გელნერი, ჰეტჩერი და სხვ.). ნაშრომში გამოყენებული იქნება ეთნიკური იდენტობის შესახებ არსებული კონსტრუქტივისტული თეორია, რომლის მიხედვით საზოგადოების ეთნიკური იდენტობა არ არის განპირობებული ისტორიული წარსულით, არამედ შესაძლებელია მოხდეს მისი ფორმირება არსებული რეალობიდან გამომდინარე. ეთნიკური იდენტობა სოციალურად კონსტრუირებული ფენომენია, რომელიც ამავე დროს დინამიკურია და ექვემდებარება დროში ცვლილებებს. იდენტობის განსასაზღვრად გამოიყოფა შემდეგი ასპექტები:

- ენა;
- ტრადიციები;
- ჯგუფის სხვა წევრებთან დამოკიდებულება;
- ჯგუფის საეთო აქტივობებში ჩართულობა;
- მიკუთვნებულობა;
- ჯგუფის წევრების სურვილი გაიცნონ მსგავსი კულტურის მქონე სხვა ადამიანები;
- ისტორიული მესხიერება, მემკვიდრეობა, ღირებულებები.

## ყურღანის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ორმაგი იდენტობა

ყურღანის ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას ორმაგი იდენტობა გააჩნია. ისინი თურქეთის მოქალაქეები არიან და ამ ადამიანებში დომინირებს თურქული იდენტობა. რაც შეეხება ქართულ იდენტობას, ის მეორადი და თანაც ქრობადი ხასიათისაა.

რაში ვლინდება დომინირებული თურქული იდენტობა? ეს ადამიანები ინტეგრირებულნი არიან თურქულ სამყაროში. არ გააჩნიათ პრობლემა ადგილობრივ თურქულ მოსახლეობასთან თუ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში, ეთნიკური ქართველები და თურქები ერთი და იმავე რელიგიური აღმსარებლობის – მუსლიმი-სუნიტები არიან; ამასთან, ეთნიკური ქართველები ცდილობენ იყვნენ „სანიმუშონი“ ქცევასა და რელიგიური ტრადიციების დაცვაში. ისინი სწავლობენ თურქულად და არათუ კარგად იციან თურქული, არამედ, ფაქტობრივად, მათ მშობლიურ ენადაც იქცა. ერთმანეთში და ოჯახში, ძირითადად, თურქულად საუბრობენ.

## ქართული იდენტობის ელემენტები

თურქეთის მოქალაქის იდენტობასთან ერთად, ყურღანში მაცხოვრებელი ეთნიკურად ქართული წარმომავლობის მოსახლეობა თავს მიჯნავს მეზობლად მცხოვრები ეთნიკური თურქებისაგან. ასევე ყურღანელი ქართველები ამაცობენ თურქეთის ხელისუფლებაში მყოფი ან თურქეთში ცნობილი იმ ადამიანებით, რომელთაც ეთნიკურად ქართული წარმომავლობა აქვთ.

ყურღანის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის ქართულ იდენტობას დღეს აყალიბებს რამდენიმე ძირითადი ელემენტი:

- დიასპორული ისტორიული მემკვიდრეობა;
  - გვარი;
  - ქართული ენა;
  - „გარეგნული გამორჩევა“;
- განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

## დიასპორული ისტორიული მეხსიერება

ყურღანელმა ქართველებმა არ იციან საქართველოს ისტორია. მათი ისტორიული მეხსიერება, რეალურად დიასპორული ხასიათისაა. ყურღანელმა ქართველებმა იციან, რომ „ბათუმიდან არიან გამოსულინი; ნანილს ახსოვს ოჯახური ისტორიები ყურღანში გადმოსახლების შესახებ; უნდათ დიასპორული მეხსიერების შენარჩუნება, თუმცა ყურღანის ქართული დიასპორის ისტორია არავის დაუწერია. არსებობს ყურღანში ქართული დიასპორის ეთნოგრაფიული მუზეუმის შექმნის სურვილიც (ამის კონკრეტული გეგმა აქვს ყურღანის მკვიდრს, ადგილობრივ ბიზნესმენს ალი ქათამიძეს. ბატონი ალი დაინტერესებულია ისტორიით და სახლში პატარა ეთნოგრაფიული კუთხე აქვს მოწყობილი).

ყურღანის ქართული დიასპორის ისტორია კი მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება გადმოიცეს: აჭარიდან *„გადმოსახლებულებმა ბევრი ვერაფერი წამოიღეს. უმრავლეს შემთხვევაში წამოღებული ქონდათ მხოლოდ ის, რაც ქალს ზურგზე ჰქონდა მოკიდებული, ზღვისპირს რომ გაჩერდნენ, არ მოეწონათ, „კოლომ უკბინათ“ და მთისაკენ წავიდნენ“*. (ეს გასაგებიცაა, აჭარის მთიანეთიდან წასული ადამიანები ძველი საცხოვრისის მსგავს პირობებს ეძებდნენ). ამასთან, სულ უფრო მაღლა უხდებოდათ ასვლა – კარგი საცხოვრებელი ადგილები დაკავებული იყო და იქ მცხოვრებნი ახალმოსულებს ზევით და ზევით უთითებდნენ – მთების ტყიანი კალთებისკენ. დასახლება უმძიმეს პირობებში უხდებოდათ – არ ჰქონდათ შრომის იარაღები, სათესლე მასალა. ენის უცოდინრობის გამო დამხვდურ მოსახლეობას ბევრს ვერაფერს აგებინებდნენ. „ფეხზე დადგომას“ წლები დასჭირდა, მძიმე პირობებს კი ბევრი შეეწირა („ნახევარი განწყდა>“), როცა დალაგდნენ „ომები დაიწყო“ (იგულისხმება ბალკანეთის ომები, პირველი მსოფლიო ომი, ათათურქის ხელმძღვანელობით მიმდინარე ომი) და „კაცები ომში წაიყვანეს, ბევრი დაიღუპა“.

## გვარი, როგორც იდენტობის ფაქტორი

ყურღანის ეთნიკურად ქართული დიასპორის წარმომადგენლებს აქვთ თურქული სახელები და გვარები, მაგრამ მათ, როგორც წესი, ახსოვთ თავიანთი ქართული გვარებიც, თუმცა ბევრი თავის გვარის

დაბოლოებას ვერ ამბობს. მაგალითად გეტყვის, რომ არის „ჯინჭარ-ოლლი“, „ნაცარ-ოლლი“. როცა ეტყვი, რომ არის ჯინჭარაძე ან ნაცარაშვილი, გეტანხმება, რომ ესაა მისი გვარი. მეორე ნაწილი ქართულ გვარს სწორად ამბობს.

ზოგიერთს, როგორც ჩანს, წინაპართა გვარი დავინწყებული აქვს. ერთ-ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ მისი წინაპრები „ჩაქვიდან არიან გამოსული“, მაგრამ თავისი ქართული გვარი არ ახსოვს.

ყურღანელ ქართველთა გვარებია: ქათამაძე, ჯინჭარაძე, ნაცარაშვილი, ნოლაიდელი, პაპუნაიშვილი, რომანიძე, მიქელაძე, ანანიძე და სხვა.

ყურღანელი ქართველი საქართველოდან ჩასულს როცა ხვდება, პირველ რიგში, თანამოგვარეს ეძებს და გვარს ეკითხება; ამაყოფენ თავიანთი ქართული გვართ და კითხულობენ „როგორი გვარიაო“. როცა ეტყვი, რომ კარგი გვარია, კმაყოფილი რჩება. ასევე ინტერესდებიან საქართველოში მცხოვრები მოგვარეებით, აინტერესებთ სად ცხოვრობენ, როგორ ცხოვრობენ, არიან თუ არა გამორჩეული პიროვნებები ქვეყნის მასშტაბით და ა.შ. გამოკითხულთა დიდი ნაწილი სურვილს გამოთქვამს გაიცნოს და კონტაქტი დაამყაროს საქართველოში დარჩენილ თავისი გვარის ადამიანებთან.

## ქართული ენა

ყურღანელი ქართველებისათვის ქართული ენა ქართული იდენტობის შენარჩუნების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. საერთო სურათი შემდეგია: ქართული საუბარი ყურღანში მაცხოვრებელი ეთნიკურად ქართული მოსახლეობის უმრავლესობას ესმის. უფროსი ასაკის ადამიანებმა ქართული იციან და ქართულად მეტ-ნაკლებად ლაპარაკობენ. ახალგაზრდა თაობის მნიშვნელოვან ნაწილს უჭირს ქართულად ლაპარაკი, ბავშვებში კი ბევრია ისეთი, რომელიც ქართულად არ ლაპარაკობს და არც ესმის. ეს შედეგია იმისა, რომ ქართულ ოჯახებში, როგორც ჩანს, თურქულად საუბრობენ. სკოლებში სწავლება თურქულ ენაზე მიმდინარეობს, გარდა ამისა, სოფლებიდან ბავშვები მიჰყავთ ინტერნატებში, სადაც თვეების მანძილზე ცხოვრობენ, უფასოდ სწავლობენ და იკვებებიან და მხოლოდ არდადეგებზე ბრუნდებიან სახლში. დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ თურქულენოვან გარემოში ყოფნა აჩქარებს ბავშვებში ქართული ენის დავინწყებას.



ახალგაზრდების მიერ ქართული ენის დავინწყებას ხაზს უსვამენ უფროსი ასაკის ადამიანებიც და აღიარებენ, რომ ეს გარკვეულწილად მათი ბრალიცაა, რადგან არ ესაუბრებიან ქართულად და თითქმის არაფერი კეთდება ენის შესანარჩუნებლად მომავალ თაობებში.

ყურლანის ეთნიკურად ქართულ დიასპორაში ქართული ენის მეტ-ნაკლებად მცოდნეებიდან ქართულად წერა-კითხვა მხოლოდ თითო-ოროლა ადამიანმა იცის.

ენის შენარჩუნებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის შესაძლებლობა, რაც გაჩნდა თურქეთის მთავრობის გადანყვეტილებით. 2014 წლის სექტემბერში თურქეთის განათლების სამინისტრომ სკოლებში ქართული ენის სწავლების პროგრამა დაამტკიცა.<sup>1</sup> თუკი ეთნიკური უმცირესობის ათი წარმომადგენელი სკოლაში მოინდომებს თავისი ენის შესწავლას, მათ მისცემენ ამის საშუალებას, მაგრამ გარდა ტექნიკური ხასიათის საკითხებისა (სახელმძღვანელოები, მასწავლებლები) არის სუბიექტური მხარეც. ზოგიერთი ყურლანელი ქართველის განცხადებით, ასეთი პროგრამა იმუშავებს მხოლოდ თურქეთის დიდ ქალაქებში.

### გარეგნული გამორჩევა

ყურლანელი ქართველები ამბობენ, რომ ერთმანეთს „იერთ ცნობენ“ და გარეგნულად განსხვავდებიან მეზობლად მცხოვრები არაქართველი მოსახლეობისაგან. რესპოდენტები, რომლებიც გამოიკითხნენ კვლევის ფარგლებში, აცხადებდნენ, რომ გარეგნობით ცნობენ ქართველს, რადგან მათი აზრით, თუ ადამიანს დედა ან მამა ქართველი ჰყავს, „ქართული იერი“ დაჰკრავს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყურლანში ქართული დიასპორის არსებობის სანყის პერიოდში, ის შედარებით ჩაკეტილი იყო და ქორწინება, როგორც წესი, დიასპორის შიგნით ხდებოდა. დღეს ვითარება შეცვლილია და ქართულ-თურქული ოჯახები იშვიათობას არ წარმოადგენს. ამას, ცხადია, ხელი შეუწყო თურქული ენის შეთვისებამ და თანამედროვე ცხოვრების წესმა, როდესაც მოსახლეობა უფრო აქტიურად გადაადგილდება. ყურლანის ქართული დიასპორის წარმომადგენელთა აზრით, ისინი უფრო „მოძრავნი“ არიან და უფრო აქტიურად მიდიან სამუშაოს საძებნელად ევროპაში და არაბულ ქვეყნებში.

<sup>1</sup> თურქეთის განათლების სამინისტრომ სკოლებში ქართული ენის სწავლების პროგრამა დაამტკიცა – 26.09.2014- <http://netgazeti.ge/news/35306/>

## საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილი

ყურღანში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებში ქართული იდენტობის არსებობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ბევრი მათგანი მონადინებულია მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა. ლაპარაკია ორმაგ მოქალაქეობაზე. 2012 წელს საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თურქეთის ბევრ მკვიდრს მისცა საქართველოს მოქალაქეობა, მათი დიდი ნაწილი ეთნიკურად ქართველი იყო, თუმცა იყვნენ ეთნიკური თურქებიც. საქართველოს მოქალაქეობის მიღებას ყურღანის ქართველობის ნაწილიც ელოდა და შესაბამისი თხოვნაც ჰქონდა სააკაშვილის სახელზე გამზადებული, მაგრამ უშედეგოდ. რამდენიმე რესპონდენტმა გვაჩვენა საქართველოს მოქალაქის მონაშობა, დანარჩენები კი, რომელთაც ვერ მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა, აღნიშნავენ, რომ ეს გარემოება მათ ხელს უშლით საქართველოსთან ბიზნესკავშირების დამყარებაში.

## კავშირები საქართველოსთან: პრობლემები და პერსპექტივები

### კავშირების შემაფერხებელი ფაქტორები

დიდი ხნის განმავლობაში თურქეთში გადასახლებული ქართველები იზოლირებული იყვნენ საქართველოსგან. რუსეთის იმპერიის და, მით უმეტეს, საბჭოთა კავშირის არსებობის დროს მათ კავშირი ისტორიულ სამშობლოსთან, ფაქტობრივად, არ ჰქონდათ. „საქართველოსგან იზოლაციის“ პერიოდი დაახლოებით 120 წელი გაგრძელდა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და თურქეთ-საქართველოს საზღვრის გახსნის შემდეგ უმთავრესი ბარიერები კომუნიკაციისთვის მოხსნილია, მაგრამ ხანგრძლივმა იზოლაციამ თავისი კვალი დატოვა.

კომუნიკაციის ახალი და მრავალფეროვანი შესაძლებლობების მიუხედავად, ყურღანელი ეთნიკური ქართველების კავშირები ისტორიულ სამშობლოსთან შეზღუდულია.

ყურღანში გამოკითხულთა უმრავლესობა, არასდროს ყოფილა საქართველოში, ხოლო იმ ადამიანების ნაწილი, რომელსაც გადმოუკვეთავს საზღვარი, ბათუმს არ გასცდენია. მხოლოდ ერთეულები არი-

ან ნამყოფი თბილისსა და ქუთაისში. ბათუმში ჩასვლის მიზეზი ბევრისთვის, როგორც რესპონდენტებთან საუბრის დროს გაირკვა, არა ისტორიული სამშობლოს მონახულება, არამედ ბათუმში არსებული გართობის შესაძლებლობების გამოყენებაა. ეს, როგორც წესი, ხდება თბილისის მოსავლის აღების შემდეგ, როცა „ბევრი ფული“ უჩნდებათ.

ყურღანის ქართულ დიასპორაში საგრძნობია ინფორმაციის ნაკლებობა, საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ, მაგალითად, არ იციან როგორია პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა, რა რელიგიის მატარებელია საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილი და სხვა. რესპოდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც არ გამოხატავდნენ დიდ ინტერესს საქართველოსთან კომუნიკაციის დამყარებისთვის, აცხადებდნენ, რომ ძალზე დაკავებულნი არიან და ამისთვის დრო არ გააჩნდათ.

ყურღანელი ქართველობისთვის მისანვდომია ქართული სატელევიზიო არხები, მაგალითად, აჭარის ტელევიზია, მაგრამ ქართულ გადაცემებს ნაკლებად უყურებენ, როგორც ამბობენ, ის ქართული, რასაც ტელევიზიით ისმენენ, მათთვის ზედმეტად სწრაფია და ვერ ასწრებენ გააზრებას. „დიქტორები ჩქარა ლაპარაკობენ და არ ესმით“.

ყურღანში მაცხოვრებელ ახალგაზრდა თაობას აქვს წვდომა ინტერნეტთან, მათ შორის ისეთ სოციალურ ქსელებთან, როგორცაა: Facebook, Google და ა.შ. გამომდინარე აქედან, მათ აქვთ საშუალება მიიღონ ინფორმაცია საქართველოს შესახებ და დაამყარონ კომუნიკაცია საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებთან, თუმცა ამ მიმართულებითაც იკვეთება სერიოზული პრობლემები. ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორი, რაც ართულებს თუნდაც ინტერნეტით კომუნიკაციას, არის ენობრივი ბარიერი. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ქართული ენა უკეთ იცის უფროსი ასაკის მოსახლეობამ, ხოლო ახალგაზრდებში ნელ-ნელა იკარგება ცოდნა. საქართველოზე ინფორმაციის მიღება უამრავი ინტერნეტ წყაროდან არის შესაძლებელი, თუმცა აქაც ენის ბარიერი დგას. ქართული ვებგვერდები ნაკლებად სთავაზობს მომხმარებელს თურქულ ენაზე ინფორმაციას, ხოლო ყურღანელი ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა არ იცის ინგლისური, რომ მოიძიოს ინფორმაცია და გაეცნოს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს.

## საქართველოსადმი ინტერესის განსხვავებული ასპექტები

კვლევაში მონაწილე რესპოდენტები შეიძლება დაიყოს ოთხ სხვადასხვა ჯგუფად: რიგითი მოქალაქეები, ახალგაზრდები/სტუდენტები, ბიზნესმენები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ყოველ მათგანს სხვადასხვა დამოკიდებულება და ინტერესი გააჩნია საქართველოს მიმართ. მაგალითად, რიგითი მოქალაქეების ინტერესის სფეროს წარმოადგენდა საქართველოში მაცხოვრებელი მათი შორეული ნათესავების მოძიება და კონტაქტის დამყარება, ახალგაზრდობის ნაწილს აინტერესებდა იმის გარკვევა, შესაძლებელია თუ არა საქართველოში სწავლის გაგრძელება, თუმცა, როგორც ზოგიერთმა აღნიშნა, საქართველოში განათლებამიღებულები თურქეთში ვერ საქმდებიანო.

ბიზნესმენებისთვის საინტერესოა საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა და კონკრეტული ბიზნესსექტორები, რაც შეეხება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისინი იმედოვნებენ საქართველოდან ტურისტების ჩასვლას და ეკონომიკური კავშირების განვითარებას, ამიტომ მკვლევართა ჯგუფის მიმართ კეთილგანწყობილი იყვნენ და ხელს უწყობდნენ მუშაობაში.

ეთნიკური ქართველები აქტიურად ჩაერთვნენ კვლევის პროცესში, მათი მონაწილეობა არ შემოიფარგლა მხოლოდ რესპოდენტობით. კვლევით ჯგუფს სერიოზული დახმარება გაუწიეს, მოახდინეს რა ქართველებით დასახლებულ სხვადასხვა სოფლებში მაცხოვრებლების შეკრების ორგანიზება.

საქართველოსთან კავშირის გაღრმავების თვალსაზრისით, მთლიანობაში გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებები:

- რიგითი მოქალაქეები – საქართველოში მაცხოვრებელი შორეული ნათესავების გაცნობა;
- ახალგაზრდების ნაწილი – განათლების მიღების შესაძლებლობა საქართველოში;
- ბიზნესმენები – ქართული ბაზრის შესწავლა სამომავლო კომუნიკაციისთვის.

## დასკვნა

ყურღანის ეთნიკურად ქართულ მოსახლეობას, მეორადი იდენტობის სახით, შენარჩუნებული აქვს ქართული იდენტობის ძირითადი ელემენტები. თუმცა ეს იდენტობა გაქრობის ტენდენციას ავლენს. საქართველოსთან კონტაქტების გაფართოების შემთხვევაში, შესაძლებელია ქართული იდენტობის შენარჩუნება-განმტკიცება. ამავ დროს ყურღანის ქართული დიასპორის კონტაქტების გაზრდა ისტორიულ სამშობლოსთან ხელს შეუწყობს საქართველო-თურქეთის ურთიერთობების გაღრმავებას.

მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციების შემუშავება:

1. ისტორიული მეხსიერების შენარჩუნების მიზნით, კარგი იქნება ქართველი ისტორიკოსების მიერ მოკლედ დაინეროს აჭარიდან მუჰაჯირობის ისტორია და გამოიცეს ქართულ და თურქულ ენებზე. ასევე ყურღანის ქართულ დიასპორაში შეიკრიბოს და გამოიცეს ოჯახური გადმოცემები დიასპორის ისტორიასთან დაკავშირებით;

2. ორდუს ოლქისა და ქალაქ ყურღანის ადმინისტრაციასთან კონტაქტების დამყარება შემდგომი ურთიერთობების გაღრმავების მიზნით როგორც ტურისტული, ასევე ეკონომიკური და საგანმანათლებლო კუთხით.

3. ყურღანის ადმინისტრაციასთან კავშირში დახმარება გაენიოს ქართული ეთნოგრაფიული ცენტრის შექმნას, რისი სურვილიც არსებობს ყურღანის ქართულ დიასპორაში;

4. საზაფხულო სკოლების ორგანიზება თბილისში ან ბათუმში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ყურღანში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდები და, სურვილის შემთხვევაში, თურქებიც.

5. კონტაქტების გაძლიერება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მხრიდან, ანუ იმ რეგიონიდან, საიდანაც გადასახლებულებმა შექმნეს ყურღანის ქართული დიასპორა. როგორც უკვე ითქვა, ყურღანის ქართულ დიასპორაში არსებობს საქართველოში თავისი გვარის წარმომადგენელთა გაცნობის სურვილი. ამის ორგანიზება კი სწორედ იმ რეგიონიდან შეიძლება მოხდეს, საიდანაც გადასახლდნენ მათი წინაპრები.

6. უფასო ადგილების (1–2) გამოყოფა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ყურღანელი ახალგაზრდებისთვის ენის კურსების

გავლით. შეიძლება უფრო პერსპექტიული იყოს ამის გაკეთება ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ეს ხელს შეუწყობს ქართული ენის სწავლის წახალისებას და მომავალი მასწავლებლების აღზრდას, რომელთაც შემდგომ შეეძლებათ ქალაქ ყურღანის სკოლებში, შესაბამისი მსურველებისთვის ჩაატარონ ქართულის გაკვეთილები.

7. კარგი იქნება დოკუმენტური ფილმის გადაღება მუჰაჯირობაზე და ყურღანის ქართულ დიასპორაზე, მისი ჩვენება თურქეთისა და საქართველოს ტელევიზიების მიერ.

### ბიბლიოგრაფია:

1. ფევზი (ჩელებაძე) ჩელები. ეფთენელი ქართველები – „თანამემამულე“, 2007 წ. თებერვალ-მარტი, N 1 (22), გვ.24.
2. ალექსანდრე ჩხაიძე. ჩვენებურები. დოკუმენტური მოთხრობა თურქეთში მცხოვრებ თანამემამულეებზე და კიდევ სხვა ამბებზე. ბათუმი, „აჭარა“, 1991, გვ.197-198.
3. Evans, N. J., Forney, D. S., Guido, F., Patton, L.D., & Renn, K.A. (2010). Student development in college: Theory, research, and practice. (2nd ed.). San Francisco: Jossey-Bass.
4. Phinney, J.S., Ong, A.D., (2007). Conceptualization and measurement of ethnic identity: Current status and future directions. Journal of Counseling Psychology, 54, 271-281.
5. Smith, Anthony D. (1999). "Myths and memories of the Nation". Oxford University Press.
6. Bobo, Lawrence; Hutchings, Vincent L. (1996). "Perceptions of Racial Group Competition: Extending Blumer's Theory of Group Position to a Multiracial Social Context". American Sociological Review (American Sociological Association) 61 (6): 951–972.

**Vladimer Napetvaridze**

Phd Student, TSU

**Tina Tskhovrebadze**

Phd Student, TSU

**The Issue of Korgan Georgian Diaspora Identity**

**Abstract**

After Russian-Turkish war in the end of 19th century, some part of Muslim population of Georgians, residing on this territory, decided to immigrate to Ottoman land.

The purpose of the research was studying and identifying the ethnic identity of Georgian Diaspora in Korgan, their economic and cultural interests and determine the possibilities of increasing their contacts with historical homeland based on the above. The research was conducted within the frames of the students' project at the department of social and political sciences of I. Javakhishvili Tbilisi State University.

The research was held in several stages. At the first stage the research dealt with ethnic identity of Georgian population based on the following aspects: the level of language maintenance, historical memory, the knowledge of the history of respondents' own family names and ethnic belonging. One important aspect was also their knowledge about Georgia.

At the second stage the researchers attempted to identify the views of ethnic Georgians concerning the most relevant way to develop links with Georgia. In this case, we took into consideration the respondent's profession and status, and the interview was carried out in the relevant direction.

As for the third stage, researchers attempted to find out what the most relevant way to develop contacts between Korgan population and Georgia, defining what problems or perspectives existed in either direction.

## ინა შანავა

დოქტორანტი, თსუ

### ცოლ-ქმრული კონფლიქტების საკვლევი ინსტრუმენტის სანდოობისა და ვალიდობის დადგენა

შესაძლოა, ცოლ-ქმრული კონფლიქტები ოჯახში ბუნებრივი, გარდაუვალი, აუცილებელი და ნორმალური პროცესი იყოს, მაგრამ ხშირად პრობლემას არა კონფლიქტის არსებობა, არამედ კონფლიქტისადმი მიდგომა წარმოადგენდეს. ის, თუ როგორ აღიქვამენ ოჯახის წევრები კონფლიქტს, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პრობლემის პოზიტიურად გადაწყვეტის შესაძლებლობას (Bernard. S. Mayer, 2000).

ცოლ-ქმრულ ურთიერთობებში კონფლიქტების გამომწვევ მრავალ მიზეზთა შორის, მიუთითებენ, რომ მოთხოვნილებებმა პარტნიორის სულიერ, სექსუალურ და ინტიმურ-პიროვნულ ხარისხსა და აუცილებლობაზე, თანამედროვე მონოგამიურ ქორწინებაში, დესტაბილიზაციის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი გაზრდა განაპირობა.

Obozov N. N. & Obozova A. N. (1981, 1982) ცოლ-ქმრულ ურთიერთობებში ოთხ დონეს და, შესაბამისად, დისჰარმონიის ოთხ სახეს გამოყოფენ:

- ფსიქო-ფიზიოლოგიური (ფსიქო-ფიზიოლოგიური შეუთავსებლობა);
- ფსიქოლოგიური (ფსიქოლოგიური შეუთავსებლობა);
- სოციალურ-ფსიქოლოგიური (ოჯახურ-როლური შეუთავსებლობა);
- სოციალ-კულტურული (სულიერი, პიროვნული შეუთავსებლობა).

ცოლ-ქმრულ კონფლიქტზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, თუ როგორ გავლენას ახდენს ის ბავშვებზე როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი გზებით, მიუხედავად მათი სქესისა და ასაკისა (Cummings, 1998; Cummings, Ballard, & El-Sheikh, 1991). ბავშვებისთვის დესტრუქციული ცოლ-ქმრული კონფლიქტების მიმართ გან-



მეორეხარისხიანი ექსპოზიცია უკავშირდება ისეთ ინტერნალურ პრობლემებს, როგორცაა დეპრესია და დაბალი თვითშეფასება და ისეთ ექსტერნალურ პრობლემებს, როგორც არის დელიკვენტობა, აგრესია და ასევე აკადემიური მოსწრების, სოციალური და ინტერპერსონალური რეგულირებისა და ზოგადი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები (Cummings & Davies, 1994). არსებობს სხვადასხვა რისკ ფაქტორები იმ ბავშვების ჯანსაღ განვითარებასთან დაკავშირებით, რომლებიც განმეორებადი ცოლ-ქმრული კონფლიქტის მომსწრენი არიან (Cummings, 1998).

ქორწინება და ცოლ-ქმრული ურთიერთობები მკვლევართა დიდი ინტერესისა და ყურადღების სფეროს წარმოადგენს და მათი მცდელობები, გაეზომათ ცოლ-ქმრული ურთიერთობების განსხვავებული ასპექტები, ჯერ კიდევ 50 წლის წინ დაიწყო. კვლევითი საზომები მთელი ამ ხნის განმავლობაში ვითარდებოდა და სრულყოფილ სახეს იძენდა.<sup>1</sup>

საქართველოში დღემდე ჩატარებული კვლევები, ძირითადად, ასახავდა ცოლ-ქმრული კონფლიქტების მიზეზებსა და რაოდენობას. აღსანიშნავია, რომ არცერთი კვლევა არ ჩატარებულა შეფასებითი მოდელებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, რამაც განაპირობა ჩვენი დაინტერესება აღნიშნული საკითხით. ჩვენს მიზანს წარმოადგენდა შეგვემუშავებინა ცოლ-ქმრული კონფლიქტების საკვლევი ინსტრუმენტი, რომლის შედგენაც სპეციფიკურ პროცედურებთან არის დაკავშირებული. ჩვენ მიერ შედგენილი კითხვარი რაოდენობრივ გაზომვებს გულისხმობს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მიღებული ინსტრუმენტის სანდოობისა და ვალიდობის დადგენა. მოცემულ ნაშრომში სწორედ ამ საკითხებს შევეხებით.

**კვლევის მიზანი და ამოცანები:** კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, დაგვედგინა ჩვენ მიერ შემუშავებული ცოლ-ქმრული კონფლიქტების საკვლევი ინსტრუმენტის სანდოობა და ვალიდობა.

ნაშრომის მიზნის შესასრულებლად, კვლევით ამოცანად დავსახეთ განგვესაზღვრა არსებობდა თუ არა სტატისტიკურად სანდო კავშირი ჩვენს ინსტრუმენტსა და ფსიქოლოგიაში ფართოდ გამოყენებულ ინსტრუმენტებს შორის. გამოვიყენეთ სტარდანტიზებული ინსტრუმენტე-

---

<sup>1</sup> Jennifer Carrano, B.S.; Kevin Cleveland, B.A.; Jacinta Bronte-Tinkew, Ph.D.; Kristin A. Moore, Ph.D. – Conceptualizing and Measuring “Healthy Marriages” For Empirical Research and Evaluation Studies: A Compendium of Measures- Part II (Task One).

ბი და შემდეგი თვით აღწერითი მეთოდები: **თვითფლობის სკალა, კონტროლის ლოკუსის სკალა, ემოციური ემპათიის საზომი სკალა** (ნ. სუმბაძე, ა. ქიტიაშვილი, ე. ფირცხალავა, მ. მაისურაძე – თვით აღწერითი საზომები ფსიქოლოგიაში I, თბილისი, 2012).

აღნიშნული მეთოდების გამოყენება განაპირობა ჩვენმა მიზანმა, შეგვემონებინა ჩვენი ვარაუდი, რომლის თანახმადაც:

1. თვითფლობის მაღალი მაჩვენებელი კავშირში იქნება შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის მაღალ მაჩვენებელთან, ხოლო თვითფლობის დაბალი მაჩვენებელი, შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის დაბალ მაჩვენებელთან;
2. როტერის კონტროლის ლოკუსის სკალაზე მაღალი მაჩვენებელი კავშირში იქნება შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის დაბალ მაჩვენებელთან, ხოლო ლოკუსის კონტროლის დაბალი მაჩვენებელი, კავშირში იქნება შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის მაღალ მაჩვენებელთან;
3. ემპათიურობის მაღალი მაჩვენებელი კავშირში იქნება შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის მაღალ მაჩვენებელთან, ხოლო ემპათიურობის დაბალი მაჩვენებელი – შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის დაბალ მაჩვენებელთან.

### **სანდოობისა და ვალიდობის დადგენა**

სანდოობა – მეთოდის მახასიათებელია, რომელიც გამოხატავს ფსიქოდინამიკური განზომილების სიზუსტეს, ასევე ტესტის შედეგების სიმტკიცეს უცხო, შემთხვევითი ფაქტორების მოქმედებასთან მიმართებაში. როგორც ფსიქოდიანოსტიკური კვლევის ინსტრუმენტი, სანდოობა და ვალიდობა მეთოდის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია. ტესტის სანდოობის მახასიათებლების სახესხვაობები ისევე მრავალგვარია, როგორც პირობები, რომლებიც ზემოქმედებენ ტესტზე. ყველაზე ფართო პრაქტიკული გამოყენება გააჩნია სანდოობის მახასიათებლების რამოდენიმე ტიპს: რეტესტული სანდოობა, პარალელური ფორმების სანდოობა, ტესტის ნაწილების სანდოობა.

---

<sup>1</sup> **Бурлачук Л.Ф., Морозов С.М.** (1989) – Словарь-справочник по психологической диагностике. Отв. ред. Крымский С. Б. – Киев: Наук, думка., 6-180.

რეტესტის სანდოობა – ეს არის ფსიქოდიანოგოსტიკური მეთოდის სანდოობის მახასიათებელი, რომელიც მიიღწევა ცდის პირების განმეორებითი გამოკვლევით ერთი და იმავე ტესტის მეშვეობით. ამ შემთხვევაში, სანდოობა ითვლება პირველი და მეორე კვლევის შედეგების შესაბამისობის მიხედვით, ან ცდისპირთა რანგობრივი ადგილების შენარჩუნებით რეტესტის ნიმუშში. საიმედოობის კოეფიციენტი ( $r_t$ ) ასეთი კვლევების შედეგებს შორის, კორელაციის კოეფიციენტს შეესაბამება. ინტერვალური სკალების გამოყენებისას მიმართავენ კორელაციის კოეფიციენტის გამოთვლის პირსონის მეთოდს და რეტესტირების სიმტკიცის ხარისხის სკალაში ითვლიან სპირმენისა და კენდელის (Spirmen, Kendall) რანგობრივი კორელაციის კოეფიციენტს.

სწორედ რეტესტული სანდოობის გამოსათვლელად, პირველი კვლევიდან 12 თვის შემდგომ, 50 ცოლ-ქმრულ წყვილს (100 რესპონდენტს) ვთხოვეთ ისევ შეეცნოთ ჩვენ მიერ შემუშავებული კითხვარები.

იმის დასადგენად, არსებობდა თუ არა სანდო დამოკიდებულება გამოკითხულთა პირველ ჯერზე გაცემულ პასუხებსა და მათ მიერ მეორე გამოკითხვისას შემოხაზულ პასუხებს შორის, გამოვიყენეთ კენდელისა და პირსონის კოეფიციენტები. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და სანდოა.

ასევე, გამოვლინდა ტენდენცია, რომ ის რესპონდენტები, რომლებიც პირველი გამოკითხვისას დებულებებს აფასებდნენ მაღალი ქულებით, მეორე გამოკითხვაშიც დებულებებს მაღალი ქულებით აფასებდნენ, ხოლო ვინც პირველ გამოკითხვაში დებულებებს დაბალი ქულები მიანიჭა, მეორე გამოკითხვაშიც ასე მოიქცნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილება შედეგებში მცირე, მაგრამ მაინც დაფიქსირდა და ეს მცირედი ცვლილება მდგომარეობს დებულებებისათვის უფრო მაღალი ქულების მინიჭებაში (ანუ უფრო მაღალი ქულების მინიჭების ტენდენცია გამოიკვეთა).

ასევე, მიუხედავად ცალკეული დებულებების ურთიერთმიმართებისა პირველ და მეორე გამოკითხვებს შორის, დავთვალეთ გასაშუალოებული კორელაცია და ჯამურ შედეგშიც კენდელისა და პირსონის მაღალი კოეფიციენტები დაფიქსირდა ( $r=.716$ ); ( $r=.638$ ).

ასევე, ორ ჯგუფს შორის საშუალოების შესადარებლად, გამოვიყენეთ T-test-ი, რომლის საშუალებითაც გავარკვეეთ, რომ მეორე გამოკითხვისას, მხოლოდ შვიდი პარამეტრის შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა შედარებით უფრო მაღალ მაჩვენებელს. გამოკითხულთა ქულების საშუალოებს შორის, გამოვლინდა პოზიტიურისაკენ მიმართული განსხვავება, რომელიც არ იყო რადიკალური და ასევე შენარჩუნებული იყო ტენდენციურობა  $P < 0,05$ .

### ვალიდობის დადგენა

სანდოობის ცნების ფართო გაგებიდან გამომდინარე, რომელიც გამოიხატება, როგორც გასაზომი პარამეტრის ხვედრითი ნონა და უცხო ფაქტორების აღქმა, შესაძლოა დავინახოთ გარკვეული კავშირი სანდოობასა და ფსიქოდიანოსტიკური მეთოდის სხვა მნიშვნელოვან კომპლექსურ მახასიათებელთან – ვალიდობასთან.

დღეისათვის ვალიდობის მრავალი სახე არსებობს: შინაარსის, კონსტრუქტის, კრიტერიუმის, გარეგანი და ა.შ. თუმცა, ვალიდობის სამ ძირითად სახეობას გამოყოფენ: შინაარსის, კრიტერიუმის და კონსტრუქტის ვალიდობა.

ჩვენი მიზნის შესაბამისად დაგვედგინა, არსებობდა თუ არა სანდო კავშირი ოლსენის შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის შეფასების სკალა NN3-სა (FACES) და ჩვენ მიერ შემუშავებულ ინსტრუმენტს შორის, გამოვიყენეთ კრიტერიუმის ვალიდობა. ვალიდობის ეს სახეობა შეეხება იმას, თუ რამდენად კარგად შეესაბამება ტესტის ქულები სხვა კონკრეტული კრიტერიუმის საზომს, ანუ საკვლევის ფსიქოლოგიური თვისების სხვა ინდექსს. ვალიდობა ორ ძირითად ფორმად, კონკურენტულ და პრედიქტულ ვალიდობად შეიძლება დაიშალოს. ჩვენ გამოვიყენეთ კონკურენტული ვალიდობა, რომლის თანახმადაც, ორი სხვადასხვა ინსტრუმენტი ზომავს ერთსა და იმავე მახასიათებელს, ანუ, როდესაც ერთი ინსტრუმენტით მოპოვებული მონაცემები მჭიდროდ კორელირებს სხვა ინსტრუმენტით მიღებულ მონაცემებთან.

ვალიდობის დასადგენად, კვლევის მიმდინარეობა დაყავით 2 ეტაპად.

<sup>1</sup> <http://www.dictionary.css.ge/content/criterion-validity>

I ეტაპზე ჩავატარეთ გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100-მა რესპონდენტმა (50 ოჯახური წყვილი). მონაცემები SPSS პროგრამით დავამუშავეთ.

ქორწინებაში მყოფ წყვილებს, ვთხოვეთ შეეცნოთ როგორც ჩვენი, ასევე ოლსენის შეჭიდულობის და ადაპტაციურობის შეფასების სკალა NN3 (FACES) კითხვარი. მიღებული ქულები დავაჯამეთ და ჯამური ქულები ერთმანეთს პირსონისა და კენდელის კორელაციენტებით შევადარეთ. გამოვლინდა, რომ არსებობს ძალიან მაღალი კორელაცია ოლსენის კითხვარსა და ჩვენ მიერ გამოყენებულ დებულებებს შორის ( $r=0,960$ ); ( $\tau=0,843$ ).

**ცხრილი N1.**

**ჩვენს კითხვარსა და შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის შეფასების სკალა NN3 (FACES) შორის პირსონის კორელაცია**

კორელაცია		ჩვენი კითხვარი	FACES
FACES	Pearson Correlation	1	<b>.960**</b>
	Sig. (2-tailed)		.000
ჩვენი კითხვარი	N	100	100

**ცხრილი N2.**

**ჩვენს კითხვარსა და შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის შეფასების სკალა NN3 (FACES) შორის კენდელის კორელაცია**

კორელაცია		ჩვენი კითხვარი	FACES	
Kendall's	FACES	Correlation Coefficient	1.000	<b>.843**</b>
		Sig. (2-tailed)		.000
ჩვენი კითხვარი	N	100	100	

ვალიდობის დასადგენად ჩატარებული კვლევის II ეტაპზე, I ეტაპის გამოკითხვიდან ერთი წლის შემდეგ, ჩვენს ინსტრუმენტთან ერთად გამოვიყენეთ „სნაიდერის თვითფლობის შკალა“, „როტერის კონტროლის ლოკუსის შკალა“, „მეპრაბიანისა და ეპშტეინის ემპათიის საზომი“.

კვლევაში მონაწილეობა 100-მა რესპონდენტმა (50 წევლი) მიიღო. მონაწილე რესპონდენტები წარმოადგენდნენ ნუკლეარულ ოჯახებს და ასაკობრივი ზღვარი 20-დან 55 წლამდე ასაკით განსაზღვრეთ. მონაცემები SPSS 20 პროგრამით დავამუშავეთ.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები კვანტილების მიხედვით დავყავით 2 ჯგუფად:

1. დაბალი;
2. მაღალი.

ჩვენს სკალასა და „სნაიდერის თვითფლობის შკალას“, „როტერის კონტროლის ლოკუსის შსკალასა“ და „მერაბიანისა და ეპშტეინის ემპათიის საზომს“ შორის სტატისტიკური კავშირის დასადგენად, მონაცემები დავყავით კვანტილების მიხედვით. რანჟირების მეთოდით, ავიღეთ პირველი ორმოცდაათი დაბალი და შემდეგი ორმოცდაათი მაღალი ქულების მიხედვით.

**მერაბიანისა და ეპშტეინის ემპათიის საზომსა და ჩვენს კითხვარს შორის** როგორც ადაპტაციურობის, ასევე შეჭიდულობის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, ძლიერი კავშირი გამოვლინდა  $P < 0,05$ .

ადაპტაციურობა დაბალი, ემპათია დაბალი – (=76,0%);

ადაპტაციურობა მაღალი, ემპათია მაღალი – (=74,0%);

შეჭიდულობა დაბალი, ემპათია დაბალი – (=78,0%);

შეჭიდულობა მაღალი, ემპათია მაღალი – (=76,0%).

**როტერის ლოკუსის კონტროლის სკალასა და ჩვენს კითხვარს შორის** როგორც ადაპტაციურობის, ასევე შეჭიდულობის მიხედვით სტატისტიკურად სანდო კავშირი გამოვლინდა  $P < 0,05$ .

ადაპტაციურობა დაბალი, ლოკუსის კონტროლი მაღალი – (=64,0%);

ადაპტაციურობა მაღალი, ლოკუსის კონტროლი დაბალი – (=64,0%);

შეჭიდულობა დაბალი, ლოკუსის კონტროლი მაღალი – (=60,0%);

შეჭიდულობა მაღალი, ლოკუსის კონტროლი დაბალი – (=60,0%).

**სნაიდერის თვითფლობასა და ჩვენს კითხვარს შორის** როგორც ადაპტაციურობის, ასევე შეჭიდულობის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, ძლიერი კავშირი გამოვლინდა  $P < 0,05$ .

ადაპტაციურობა დაბალი, თვითფლობა დაბალი – (=88,0%);

ადაპტაციურობა მაღალი, თვითფლობა მაღალი – (=84,0%);

შეჭიდულობა დაბალი, თვითფლობა დაბალი – (=86,0%);

შეჭიდულობა მაღალი, თვითფლობა მაღალი – (=82,0%).

მონაცემების დამუშავებისას, ასევე გამოვიყენეთ წრფივი რეგრესიული ანალიზი, რომლის მეშვეობითაც ცვლადებს შორის რეგრესიული დამოკიდებულების გამოვლენა და ანალიზია შესაძლებელი.

მერაბიანისა და ეპშტეინის ემპათიის საზომსა და ჩვენს ინსტრუმენტს შორის რეგრესიული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ შეჭიდულობა უფრო კარგად განსაზღვრავს და უფრო ძლიერ კავშირშია ემპათიურობასთან, ვიდრე ადაპტაციურობა.

**ცხრილი N3.**

**წრფივი რეგრესიული ანალიზი მერაბიანისა და ეპშტეინის ემპათიის საზომსა და ჩვენს ინსტრუმენტს შორის ურთიერთდამოკიდებულების განსასაზღვრად**

**Model Summary**

Model	R	R Square	Adjusted R Square	Std. Error of the Estimate
1	.816 <sup>a</sup>	,666	,659	3,32059

a. Predictors: (Constant), შეჭიდულობა, ადაპტაციურობა

სნაიდერის თვითფლობის სკალასა და ჩვენს ინსტრუმენტს შორის წრფივი რეგრესიული ანალიზით გამოიკვეთა, რომ ადაპტაციურობა უფრო ძლიერ კავშირშია და განსაზღვრავს თვითფლობას, ვიდრე შეჭიდულობა.

**ცხრილი N4.**

**წრფივი რეგრესიული ანალიზი სნაიდერის თვითფლობის სკალასა და ჩვენს ინსტრუმენტს შორის ურთიერთდამოკიდებულების განსასაზღვრად**

**Model Summary**

Model	R	R Square	Adjusted R Square	Std. Error of the Estimate
1	.791 <sup>a</sup>	,625	,617	1,74878

a. Predictors: (Constant), შეჭიდულობა, ადაპტაციურობა

როტერის ლოკუსის კონტროლის სკალასა და ჩვენს ინსტრუმენტს შორის რეგრესიული ანალიზით გამოვლინდა, რომ ადაპტაციურობა არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე შეჭიდულობა და კონტროლის ლოკუსი განისაზღვრება ადაპტაციურობით.

**ცხრილი N5.**

**ნრფივი რეგრესიული ანალიზი როტერის ლოკუსის  
კონტროლის სკალასა და ჩვენს ინსტრუმენტს  
შორის ურთიერთდამოკიდებულების განსასაზღვრად**

**Model Summary**

Model	R	R Square	Adjusted R Square	Std. Error of the Estimate
1	.468 <sup>a</sup>	.219	.203	4,39390

a. Predictors: (Constant), კოჰეზიურობა (შეჭიდულობა), ადაპტაციურობა

შედეგების დამუშავებისას, გამოვიყენეთ კორელაციური ანალიზი, რათა ჩვენს ინსტრუმენტსა და გამოყენებულ თითოეულ სკალას შორის სტატისტიკური დამოკიდებულებები, კავშირის სიძლიერე განგვესაზღვრა.

პირსონის, კენდელისა და სპირმენის კოეფიციენტების დათვლით გამოვლინდა, რომ:

**მერაბიანისა და ეპშტეინის ემპათიის საზომსა და ჩვენს კითხვარს შორის** ადაპტაციურობის მიხედვით კორელაციის კოეფიციენტი არის ( $r=0,80$ ), ( $\tau=0,595$ ), ( $r_s=0,765$ ), ხოლო შეჭიდულობასთან ( $r=0,81$ ), ( $\tau=0,630$ ), ( $r_s=0,792$ ).

**როტერის ლოკუსის კონტროლის სკალასა და ჩვენს კითხვარს შორის**, გამოვლინდა უარყოფითი კორელაცია. კორელაციის კოეფიციენტის მაჩვენებელი ადაპტაციურობასთან არის ( $r=-,466$ ), ( $\tau=-,307$ ), ( $r_s=-,418$ ), ხოლო შეჭიდულობასთან ( $r=-0,457$ ), ( $\tau=-0,289$ ), ( $r_s=-0,395$ ).

**სნაიდერის თვითფლობის სკალასა და ჩვენს კითხვარს შორის**, ადაპტაციურობასთან კორელაციის მაჩვენებელია ( $r=0,786$ ), ( $\tau=0,629$ ), ( $r_s=0,798$ ), ხოლო შეჭიდულობასთან ( $r=0,776$ ), ( $\tau=0,637$ ), ( $r_s=0,796$ ).



## დასკვნა

ჩვენი ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, დაგვედგინა ჩვენ მიერ შემუშავებული ცოლ-ქმრული კონფლიქტების საკვლევი ინსტრუმენტის სანდოობა და ვალიდობა, შედეგების ანალიზმა საშუალება მოგვცა დასკვნის სახით განგვესაზღვრა:

1. რეტესტული სანდოობისა და ვალიდობის დასადგენად ჩატარებული კვლევების ანალიზით გამოიკვეთა, რომ ინსტრუმენტი ვალიდურია და მკვლევარს მისი გამოყენებით ნწყვილების კვლევა და დროში ცვალებადი პრობლემების იდენტიფიცირება შეეძლება;
2. კვლევის შედეგების ანალიზით დადგინდა, რომ თვითფლობის მაღალი მაჩვენებელი კავშირშია შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის მაღალ მაჩვენებელთან, ხოლო თვითფლობის დაბალი მაჩვენებელი, შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის დაბალ მაჩვენებელთან. ანუ, თვითფლობის სკალასა და ჩვენს ინსტრუმენტს შორის, ცალსახად, ძალიან ძლიერი, სტატისტიკურად სანდო კავშირი გამოვლინდა.
3. როტერის ლოკუსის კონტროლის სკალაზე მაღალი მაჩვენებელი კავშირში აღმოჩნდა შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის დაბალ მაჩვენებლებთან, ხოლო ლოკუსის კონტროლის დაბალი მაჩვენებელი, კავშირში იყო შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის მაღალ მაჩვენებელთან. ანალიზით გამოვლინდა, რომ როტერის ლოკუსის კონტროლის სკალა უარყოფით კორელაციაშია ჩვენს სკალასთან, თუმცა კავშირი საშუალოზე მაღალი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.
4. ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ემპათიურობის მაღალი მაჩვენებელი კავშირშია შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის მაღალ მაჩვენებელთან, ხოლო ემპათიურობის დაბალი მაჩვენებელი – შეჭიდულობისა და ადაპტაციურობის დაბალ მაჩვენებელთან. ემპათიის საზომსა და ჩვენს ინსტრუმენტს შორის, ცალსახად ძალიან ძლიერი, სტატისტიკურად სანდო კავშირი გამოვლინდა.
5. ჩვენი მიზნის შესაბამისად, შეგვემონებინა ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული საკვლევი ამოცანები, შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მიღებული შედეგები დასმულ საკითხებს პასუხობს.

### ბიბლიოგრაფია:

1. ნანა სუმბაძე, ანასტასია ქიტიაშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, მაია მაისურაძე (2012) – თვითაღწერითი საზომები ფსიქოლოგიაში I, სოციალური კვლევის მეთოდები. თბილისი, 2012.
2. რევაზ ჯორბენაძე (2000) სკალირება (ხელნაწერის უფლებით).
3. Bernard Mayer (2000) *The Dynamics of Conflict Resolution: A Practitioner's Guide*.
4. Brad Faircloth Ph.D – *Children and Marital Conflict: A Review; CASE makers; Sources of Information About Early Childhood & Family Support Practices*.
5. Cummings, E.M. (1998). Children exposed to marital conflict and violence: Conceptual and theoretical directions. In G.W. Holden, R.Geffner, & E.N.Jouriles (Eds.), *Children exposed to marital violence*, Washington, DC: APA.
6. Cummings EM, Davies P. (1994) – *Children and Marital Conflict*. New York: Guilford.
7. David Mace (1987) – *Managing Marital Conflict*.
8. Frank D. Fincham – *Marital Conflict: Correlates, Structure, and Context*. Psychology, Department, University at Buffalo, Buffalo, New York.
9. Jennifer Carrano, B.S.; Kevin Cleveland, B.A.; Jacinta Bronte-Tinkew, Ph.D.; Kristin A. Moore, Ph.D. – *Conceptualizing and Measuring “Healthy Marriages” For Empirical Research and Evaluation Studies: A Compendium of Measures- Part II (Task One)*.
10. Obozov N. N. & Obozova A. N. (1982). Diagnostics of matrimonial difficulties. *Psychological journal*, 3, 187-189.
11. Obozov N.N., Obozova A.N. (1981) Three approaches to the study of psychological compatibility // *Questions of psychology*. № 6, pp. 99-101.
12. Olson, D. H. (1988). Family types, family stress, and family satisfaction: A family development perspective. In C. J. Falicov (Ed.), *Family transitions: Continuity and change over the life cycle (55-79)*. New York, NY: Guilford.
13. Olson, D. H. (1993). Circumplex model of marital and family systems: Assessing family functioning (58-80). In F. Walsh (Ed.), *Normal family processes (2nd ed.)*. New York: Guilford Press.
14. Rae Lynn Daviso (1997) – *Conflict Management Skills Among Low Income Parents*.

15. Бурлачук Л.Ф., Морозов С.М. (1989) – Словарь-справочник по психологической диагностике. Отв. ред. Крымский С. Б. – Киев: Наук, думка, 6- 180.
16. <http://www.dictionary.css.ge/content/criterion-validity>.

**Ina Shanava**

Ph.D. Student, TSU

**Definition of reliability and validity  
of marital conflict research instrument**

**Abstract**

Marital and family conflicts are widespread and bare serious problem for society. Unresolved conflicts between couples often become the basis of stress, as well as physical or mental impairment. During the last decades, a great deal of attention has been given to the study of the interaction of conflict, which is determined by the failed attempts of family members to avoid or resolve conflicts. It is often indicated that marriage means the only exceptionally strong emotional interaction. In this interaction, a large number of conflicts is even considered to be the norm, though any conflict between the couples could be potentially destructive as it is probable to be more harmful to any parties of the married couples.

As far as we believe, a marital conflict could be regarded as an integral part of the daily life, so we decided to research couples and define how important and relevant it is to study marital conflicts through the analysis of the conflict essence, form and thematic content.

Due to the complexity of the research, we divided the process into several stages. We created the questionnaire, which would enable the evaluation of two important dimensions of the circumplex model – adaptability and cohesion between Georgian couples; to define the reliability and validity of marital conflict research instrument, according to the research purpose.

With the help of various methodologies and models, we carried out several surveys and described those processes and steps by which we defined the reliability and validity of the scale.

## ელიშერ ჯაფარიძე

დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### სამხრეთ კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე გეოპოლიტიკური მდგომარეობა

ნაშრომის მიზანია სამხრეთ კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე გეოპოლიტიკური მდგომარეობის ასახვა და იმ პრობლემის წარმოჩენა, რომელიც დღელსდღეობით ასე მწვავედ დგას. მიუხედავად იმის, რომ ამ ორ დამოუკიდებელ სუბიექტს შორის მიმდინარე პროცესები განსაკუთრებული დინამიკურობით ხასიათდება, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები იმყოფებიან რა საერთაშორისო სატრანსპორტო და ენერგეტიკული გადაზიდვების გზაჯვარედინზე (დერეფანი აზიასა და ევროპას შორის), მუდმივად განიცდიან უფრო მსხვილი პოლიტიკური ერთეულებისა და გაერთიანებების ზემოქმედებას, მათზე გავლენის მოპოვებას ცდილობენ, როგორც რეგიონალური: რუსეთი, თურქეთი, ირანი, ასევე გარე ძალები: აშშ, ნატო, ევროკავშირი, ისრაელი და ჩინეთი. კავკასიის და მის გარშემო მიმდინარე პროცესების განხილვისას, შეუძლებელია არ ვახსენოთ ისტორიული აბეშუმის გზა, ანუ სავაჭრო არტერია, რომლის გამოც მრავალი საუკუნის გამო მიდიოდა ბრძოლები კავკასიისთვის და ეს ბრძოლები დღესაც გრძელდება. ეს მოვლენა უფრო აქტიური მას შემდეგ გახდა, რაც ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის ქართულ მონაკვეთზე პირველმა სატესტო მატარებელმა გასული წლის ბოლოს გიარა ახალქალაქი-კარნახის მონაკვეთზე. აბრეშუმის დიდი გზა ტრანსკონტინენტური სავაჭრო-საქარავნო გზაა, რომელიც ჩინეთს ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპიროებთან აკავშირებდა, რომელიც დასაბამი მიეცა ძვ.წ. მეორე საუკუნეში. პრემიერ მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის თქმით ეს არის საუკუნის პროექტი და ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა, რომელსაც ბევრი სარგებლის მოტანა შეუძლია როგორც ქვეყნისთვის, ასევე რეგიონისთვისაც. ახალ რკინიგზას წელიწადში ერთ

მილიონზე მეტი მგზავრის გადაყვანის და პირველ ეტაპზე ხუთი მილიონი ტონა ტვირთის გატარების პოტენციალი ექნება. სატვირთო მოცულობა მუდმივად გაიზრდება და მეორე ეტაპისთვის წელიწადში 15 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვა იგეგმება, რკინიგზის სრულად ამოქმედების შემდეგ დამატებით 2500 ადამიანი დასაქმდება.

დღეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, რეგიონის მომავალი დამოკიდებულია ორ სტრატეგიულ პროექტზე, ერთი მხრივ, დასავლეთი ცდილობს ამერიკული „ახალი აბრეშუმის გზის“ კონცეფციის შესაბამისად მოიპოვოს კონტროლი ცენტრალური აზიის ენერგო რესურსებზე, რუსეთისა და ჩინეთის გვერდის ავლით და, მეორე მხრივ, რუსეთი ქმნის ევრაზიულ კავშირს „ახალი აბრეშუმის გზის“ მნიშვნელობის შესახებ. თავის მხრივ, რუსეთი ყველანაირ ბერკეტს იყენებს, რომ „ევრაზიულ კავშირში“, კავშირში რაც შეიძლება მეტი ქვეყანა გააერთიანოს. აბრეშუმის გზის კონტექსტში, ცენტრალურ აზიაში, სამხრეთ კავკასიაში და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები და პროცესების შესაძლო განვითარება, ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

ცენტრალური აზია ერთ-ერთი ყველაზე მდიდარია მსოფლიოში ენერგორესურსების თვალსაზრისით, ჩინეთის სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას საიმედო ენერგეტიული მომარაგება სჭირდება, სწორედ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ჩინეთი იქცეს მსოფლიო ეკონომიკურ ლიდერად, რუსეთი ცდილობს ცენტრალურ აზიასთან გასაკუთრებული ურთიერთობის შენარჩუნებას როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში, რადგან მის გეგმებში შედის ენერგო რესურსების განაწილების ექსკლუზიური უფლების მოპოვება და შენარჩუნება. თვითონ ცენტრალური აზია დაინტერესებულია საკუთარი რესურსების ტრანსპორტირების დივერსიფიკაციით. ალტერნატიული ენერგოდერეფნის შექმნის შემთხვევაში, რეგიონი მიიღებს როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ დივიდენდებს და შემცირდება მისი რუსეთზე დამოკიდებულების ხარისხი.

კავკასიის პარალელურად, პოლიტიკური კონფრონტაცია მიმდინარეობს ახლო აღმოსავლეთშიც, ვითარება გასაკუთრებით მას შემდეგ დაიძაბა, რაც მოხდა ეგვიპტეში პრეზიდენტ მოჰამედ მურ-

სის გადაყენება, „მუსლიმი ძმების“ შევიწროება და სამოქალაქო ომის საშიშროება, პოლიტიკურ-ეკონომიკური არასტაბილურობა თურქეთში, კონფლიქტების ესკალაცია სირიაში, ისრაელის განცხადება ირანის მიმართ სამხედრო ძალის გამოყენების მზადყოფნის შესახებ, ყატარში ხელისუფლების შეცვლა, ერაყის ქაოსი, მოძრაობა დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს შექმნისთვის, რომელიც გამოირჩევა თავისი რადიკალიზმით და ინტენსიურობით, ეს გვაფიქრებინებს, რომ ენერგეტიკული ომი გადამწყვეტ ფაზაში შედის. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები შეიძლება აისახოს სამხრეთ კავკასიაზეც და აისახება კიდევ, ვინაიდან ეს რეგიონი აბრეშუმის გზის შემადგენელი და არცთუ სტაბილური ნაწილია. მსოფლიოს პოლიტიკურ ლიტერატურაში ტერმინი „სამხრეთ კავკასია“ ახალი დამკვიდრებულია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა აღიდგინეს, რამაც, თავის მხრივ, რეგიონში სერიოზული გეოპოლიტიკური ცვლილები გამოიწვია. 1998 წელს რუსეთმა შეიმუშავა სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფცია ჩრდილოეთ კავკასიასთან მიმართებაში, ამით მან გადადგა ნაბიჯი საერთო „კავკასიური სახლის“ იდეის საპირისპიროდ. რამაც გამოიწვია კავკასიის ორ სუბრეგიონად გაყოფა: ჩრდილოეთ კავკასია (იმეერკავკასია) და სამხრეთ კავკასია (ამეერკავკასია). ამასთან, სამხრეთ კავკასიამ (საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა) დაიწყო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სუბრეგიონად ჩამოყალიბება. პოლიტიკური სიტუაცია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მუდმივად დაძაბულია ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გამო. ამ დაძაბულობას ხელს უწყობს ასევე სამი ფაქტორიც: გლობალური – გარე ძალების რეგიონისადმი დიდი ინტერესი, შიდა რეგიონალური – ტერიტორიული პრეტენზიები, სამი გაყინული კონფლიქტი და სამინაო შიდაპოლიტიკური განვითარების ნეგატიური დინამიკა. რეგიონზე გავლენის მოსაპოვებლად თუ შესანარჩუნებლად სწორედ შიდაპოლიტიკური ფაქტორი და ტერიტორიული კონფლიქტები იქნა გამოყენებული რუსეთის მიერ და არ არის გამორიცხული ეს მომავალშიც გაგრძელდეს. იმ შემთხვევაში თუ საქართველო და აზერბაიჯანი შეეცდებიან შეცვალონ განცხადებული საგარეო პოლიტიკის კურსი სამხრეთ კავკასიაში, შესაძლებელია დასავლეთმა მოახდინოს არეულობის ინსპირაცია. სიტუაციას ისიც ართულებს, რომ ქვეყნებს

ნათლად არა აქვთ განსაზღვრული საკუთარი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, ისინი, ძირითადად, რეგიონის რეჟიმში მოქმედებენ. რუსეთს კარგად ესმის ამერიკული „ახალი აბრეშუმის გზის“ მნიშვნელობა. ახალი ენერგეტიკული გზების მშენებლობა ცენტრალური აზიისა და კასპიის აუზისთვის ასრულებს მისი, როგორც ერთპიროვნული განმკარგავის ფუნქციას, რაც, საბოლოოდ, მნიშვნელოვნად შეამცირებს რუსეთის პოლიტიკურ წონას გლობალურ პოლიტიკაში. ევრაზიული კავშირის შექმნით რუსეთი ცდილობს შეინარჩუნოს გეოპოლიტიკური კონტროლი რეგიონზე და ამის შესაბამისად მოქმედებს ახლო აღმოსავლეთში, ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში. სომხეთთან და აზერბაიჯანთან რუსეთი განაგრძობს სპეკულაციას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტით, ამასთან სომხეთში 49-წლიანი ხელშეკრულებით სამხედრო გზა აქვს განთავსებული, ხოლო აზერბაიჯანს გამაღებული აიარაღებს. რაც შეეხება საქართველოსთან მიმართებაში რუსეთს, სეპარატისტული რეგიონების აღიარების შემდეგ ამოენურა კონფლიქტების შემოქმედების ბერკეტები და ერთადერთი პირდაპირი აგრესიის შესაძლებლობის იმედად დარჩა. თუმცა ეს ყველაფერი შემდგომ პოლიტიკურ პროცესებზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ და რაინაირად შეძლებს საქართველო შიდა და გარე პოლიტიკური პროცესების გონივრულად მართვას, თუმცა საქართველო თუ მიება კვლავ რუსეთის ენგო მომარაგებაზე, ეს ნაბიჯი რუსეთს მისცემს კიდევ ერთ ბერკეტს პოლიტიკური სპეკულაციებისა. მიმაჩნია, რომ საქართველომ აქტიური დიპლომატიური გზით უნდა ითანამშრომლოს რუსეთთან, რათა შეძლოს მითვისებული ტერიტორიების დაბრუნება და ნაკლებად იყოს დამოკიდებული მასზე.

### **ახლო აღმოსავლეთის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში**

ახლო აღმოსავლეთი – უძველესი ცივილიზაციის კერა, დღესდღეობით წარმოადგენს მსოფლიოში გეოპოლიტიკურ ვულკანს, რომლის ამოფრქვევა ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი და მას შეუძლია მსოფლიოს გეოპოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინოს. თავად ტერმინი ახლო აღმოსავლეთი ფართო მცნებაა, არქეოლოგები, კრიტიკოსები და ისტორიკოსები ხშირად იყენებენ, რომელიც მიუთითებს რეგიონზე, სადაც შედის თანამედროვე ისრაელი, პალესტინის ტერიტორიები, იარდა-

ნია, სირია და ლიბანი, ასევე მცირე აზია (თანამ. თურქეთი), მესოპოტამია (ერაყი და აღმ. სირია) და ირანის პლატო (ირანი, ავღანეთი და დას. პაკისტანი). ეგვიპტე, მიუხედავად იმისა, რომ აფრიკის ნაწილია, მიმოიხილება როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ნაწილი. ეს ფაქტი განპირობებულია ეგვიპტის მნიშვნელოვანი კავშირებით ახლო აღმოსავლეთის დანარჩენ ქვეყნებთან უძველესი, შუასაუკუნეებისა და თანამედროვე ისტორიის პერიოდებში. ახლო აღმოსავლეთი მსოფლიოს ის ნაწილია, სადაც დაიბადა მრავალი კულტურა და რელიგია მათ შორისაა: ქრისტიანობა, ისლამი და იუდაიზმი. ის ერთ-ერთი მრავალეროვანი რეგიონია მთელ მსოფლიოში, სადაც ცხოვრობენ: არაბები, აზერბაიჯანელები, ასურელები, ებრაელები, თურქები, სპარსელები, სომხები, ქურთები და მრავალი სხვა ერი. მსოფლიოში პირველი იმპერია – ასურეთის იმპერია სწორედ რომ ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე დაარსდა.

დღეს თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკას დიდწილად განსაზღვრავს სამი გეოპოლიტიკური თამაში: პირველი – რუსეთის მცდელობა იმპერიის აღდგენის თაობაზე, მეორე – ჩინეთის მონოპოლიზაცია, გააკონტროლოს მისგან აღმოსავლეთით მდებარე ზღვები და ბოლოს კი ახლო აღმოსავლეთი, რომელიც ორი „თამაშისგან“ იმით განსხვავდება, რომ საკუთარ საზღვრებს გარეთ თავისი გავლენის დამყარებას ერთზე მეტი სახელმწიფო ცდილობს. თუკი პირველ შემთხვევაში ასეთი რუსეთია, ხოლო მეორეში ჩინეთი, ახლო აღმოსავლეთში ამ ტიპის ამბიციის ერთდროულად რამდენიმე ძალას აქვს და ეს ართულებს პოლიტიკას ამ რეგიონში, ხოლო პატარა ქვეყნები კი მათ ამბიციებს ეწირებიან და მშვიდად ცხოვრების საშუალება ნაკლებად ეძლევათ ძალთა გადანაწილების ბალანსის დარღვევის გამო.

აღსანიშნავია, რომ ახლო აღმოსავლეთში გეოპოლიტიკური მდგომარეობის როლსა და მნიშვნელობას განაპირობებს სამი ძირითადი მიზეზი: 1) ნავთობი, რომელიც საერთო ჯამში 900 მილიარდ ბარელამდე ნავთობია, აქედან გასაგები ხდება თუ რატომაა ასე მნიშვნელოვანი თანამედროვე მსოფლიოსთვის ეს რეგიონი, თუ რატომ ცხოვრობენ ასე კარგად საუდის არაბეთში, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, ქუვეითში ან კიდევ რატომ აქვს აშშ-ს ერთ-ერთი ყველაზე მჭიდრო კავშირი მაინცდამაინც საუდის არაბეთთან,



უპირველესი მიზეზი ეს გახლავთ ნავთობის ინტერესები. 2) სატრანზიტო მიზეზი, ვინაიდან ახლო აღმოსავლეთი დღემდე რჩება მთავარ დერეფნად ინდოეთსა და ჩინეთთან მისასვლელად. შესაბამისად, კოლონიზაციის ეპოქაში ამ რეგიონის მნიშვნელობა ერთი ორად აღემატებოდა მის სატრანზიტო დანიშნულებას. თუმცა, მიუხედავად ისტორიული ცვალებადობისა გეოგრაფიული მდებარეობა არ იცვლება, და შესაბამისად, უცვლელი რჩება ახლო აღმოსავლეთის მნიშვნელობაც. დღეისთვის რეგიონში გადის 20-მდე მსხვილი ნავთობსადენი და გაზსადენი. ხოლო რაც შეეხება ბოლო მიზეზს ეს არის რელიგიური ფუნდამენტალიზმი, რაც გულისხმობს რესურსების გონივრული გამოყენების შემთხვევაში, რელიგიურ ფუნდამენტალიზმზე დაფუძნებულ სახელმწიფოში შესაძლებელი ცივილიზებული საზოგადოების ჩამოყალიბებას. ყველასთვის ცნობილია, რომ რელიგია ახლო აღმოსავლეთში დიდ როლს თამაშობს საზოგადოების ცხოვრებაში, სადაც ამჟამად კაცობრიობის ორი მესამედი მონოთეისტურ რელიგიის მისდევს. რეგიონში მდებარეობს იუდაიზმის, ქრისტიანობის და ისლამის წმინდა ადგილების უმრავლესობა, რელიგიური ფაქტორის ხსენება აქ შემთხვევითი არ არის, რადგან ეს უკანასკნელი, როგორც წესი, პოლიტიზირებულია და ხალხის მართვის საუკეთესო საშუალებაა. ამის მაგალითია ირანი, სადაც შაჰის რეჟიმი, ანუ მონარქიული სისტემა 1979 წელს ისლამურმა მმართველობამ შეცვალა. ამდენად, ახლო აღმოსავლეთის პრობლემა დღეს თავისთავად გულისხმობს არაბული სახელმწიფოებისა და ისრაელის, ამ რეგიონში შემავალი ქვეყნების საგარეო ურთიერთობას ევროპასა და აშშ-სთან, ნავთობისა და გაზის მიწოდების და ისლამურ სახელმწიფოს წოდებული ორგანიზაციის პრობლემას. დღეს 21 საუკუნეში ჯერ კიდევ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეგიონში შემავალმა ქვეყნებმა სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მიაღწიეს და ქვეყნის მართვის სადავეები ხელში აიღეს. დასავლურ სახელმწიფოებზე დამოკიდებულების მიზეზი სხვადასხვაგვარია, თუმცა, როგორც წესი, ეს არადემოკრატიულ მმართველობას უკავშირდება, რაც მოსახლეობის პროტესტს იწვევს. მომძლავრებული პროტესტი კი ხშირად ისეთ საფრთხეს უქადის ხელისუფლებას, როგორც ჩვენ „არაბული გაზაფხულის“ სახით უკვე ვიხილეთ. ტუნისში დაწყებული სახალხო მოძრაობა არაბულ სამყაროს მოედო და მთელი რიგი პოლიტიკური ძვრები გამოიწვი-

ა, რაც ეგვიპტეში ჰოსნი მობარაქის მთავრობის, ხოლო ლიბიაში კადაფის მრავალწლიანი მმართველობის დამხობით დასრულდა. თურქეთის მერე ირანი ყველაზე სტაბილურ ქვეყნად ითვლება. თუმცა ბოლო პერიოდში ამ მხრივაც შეინიშნება ძვრები ირანის საგარეო პოლიტიკაში, რაც ვგულისმობს ვაშინგტონის მიერ სანქციების მოხსნას თეირანისადმი თუმცა შემდგომ როგორ განითარდება მოვლენები ამას დრო გვიჩვენებს. ირანის სტაბილურობა მის საშინაო პოლიტიკას უნდა მივანეროთ. ისლამურ სამართალზე დამყარებული მკაცრი წესრიგი თანამედროვე მსოფლიოსთვის მეტად უჩვეულო და თითქოს სტერეოტიპულ საზოგადოებას ქმნის. ირან-ერაყის კონფლიქტი კიდევ ერთი გამოხატულება იყო არაბულ სამყაროსთან დაპირისპირებისა თუმცა, მიუხედავად დიდი მსხვერპლისა და დანგრეული ეკონომიკისა, ომი 1988 წელს ნულოვანი ტერიტორიული შედეგით დასრულდა, „სატუს ქუ“-ს აღდგენით. ირანი ცდილობს ითამაშოს რეგიონის ერთ-ერთი ლიდერის როლი, ამის ობიექტური საფუძველი ქვეყნის დიდი ტერიტორიაა, განათლებული მოსახლეობა, მდიდარი ბუნებრივი რესურსები, ისეთები როგორცაა: ნავთობი, გაზი და ურანი. ირანის ურთიერთობებში მეზობლებთან იგრძნობა ტრადიციული გეოპოლიტიკის ელემენტები, ისე როგორც გვიან საუკუნეებში, ირანის ფაქტობრივი მეტოქე მთელ რეგიონში არის თურქეთი. სპარსეთის ყურის აუზში კი მისი მეტოქე საუდის არაბეთია. მაგრამ ირანის დაპირისპირება ისრაელთან კონფლიქტში გადამწყვეტი აღმოჩნდა რელიგიურ-იდეოლოგიური დოგმების ფაქტორი, რასაც ემატება ირანის მისწრაფება, დაარღვიოს ისრაელის ბირთვული მონოპოლია რეგიონში, რაც ქმნის პოლიტიკურ ქაოსს და არასტაბილური ქვეყნის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამიტომაც რომ აშშ-ის პოლიტიკა ირანთან მიმართებაში ძალზედ დიდია ვინაიდან იგი აქტიურობს ორი ძირითადი მიმართულებით: ბრძოლა ჯიჰადისტებთან და ირანის გავლენის ზრდის შეკავება.

რაც შეეხება თურქეთის აქტიურობას, თუ გადავხედავთ ახლო აღმოსავლეთის რეგიონს დავინახავთ, რომ იგი ორ ფრონტზე აწვითარებს საკუთარ გეოსტრატეგიულ ვექტორს. ერთი მხრივ ესაა მისი სამხედრო და დიპლომატიური ძალისხმევა მიმართული არაბული სამყაროს სუნიტური ნაწილისკენ, ერაყი ლიბანი, სირია, პალესტინა. ამ რეგიონში ცდილობს ვაკუუმის შევსებას და საკუთა-

რი გავლენის გაძლიერება უნდა. ხოლო მეორე მხვრივ თურქეთი ეთნიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ ექსპანსიას ეწევა სამხრეთ კავკასიაში. რაც გამოიხატება იმაში, რომ თურქეთი უკვე ღიად და აშკარად ატარებს თავის მზაკვრულ პოლიტიკას საქართველოში ისმალზაციის და ეკონომიკური დამოკიდებულებით. აღსანიშნავია ისიც, რომ სირიაში ამ დრომდე მიმდინარეობს შიდა სამოქალაქო ომი და უამრავი ადამიანი იღუპება. აშშ და სამშვიდობო მისიები სრულად ვერ აკონტროლებენ ქვეყნის ტერიტორიებს, ვინაიდან მუსლიმი ძმები და ჯიჰადისტები ფარულად აწარმოებენ თავდასხმებს და შიდა არეულობებს. ახლო აღმოსავლეთი ერთ-ერთი ყველაზე ცხელი წერტილია მსოფლიოში, სადაც მუდმივად მიმდინარეობს ომები რეგიონის შიგნით და მისი დეესკალაცია ვერ ხერხდება. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა ხშირი სიკვდილიანობის გამო და დაიწყო რეგიონიდან მასობრივი ემიგრაცია ევროპასა და მოსაზღვრე ქვეყნებში, რამაც განაპირობა ევროპის და, ზოგადად, მთელი მსოფლიოს შემოფოთება, ვინაიდან ევროპის საზღვრებს მიადგა ათასობით უსახლკარო მუსულმანი ემიგრანტი. სწორედ ეს გახდა მიზეზი მიმდინარე წლის დასაწყისში გერმანიში საერთაშორისო უსაფრთხოების კონფერენციის მოწვევის, სადაც მთავარი განსახილველი თემა იყო ემიგრანტების თავშესაფრის მოძიება და ემიგრაციული პრობლემის გადაწყვეტა. ევროპულმა ქვეყნებმა საგანგებოდ შეიმუშავეს სპეციალური პეტიციები ემიგრანტების რაოდენობისა და საარსებო მინიმუმების დამაყოფილების თაობაზე, რომელიც თითოეულმა ევროპის ქვეყნამ უნდა უზრუნველყოს თავიანთი რესურსებიდან გამომდინარე, თუმცა ეს სრულად ვერ შევლის ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამხრეთ კავკასია და ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობა ნათლად ასახვას რეგიონებში არსებულ პოლიტიკურ ბრძოლას პირველობისათვის და შემდგომში თუ როგორ განითარდება საჭადრაკო დაფაზე პოლიტიკური ფიგურების განლაგება ეს დროის საკითხია.

### ბიბლიოგრაფია:

1. რევაზ გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი – სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. 2008.
2. მ. მაცაბერიძე, თანამედროვე კავკასია: ჩამოყალიბება, საზღვრები ადგილი მსოფლიოში. თბილისი, 2014.
3. ზ. დავითაშვილი, მსოფლიოს ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია. თბილისი, 2001.
4. ნანა ხაზარაძე, სამხრეთ კავკასია და ახლო აღმოსავლეთი. თბილისი, მემატთანე, 2005.
5. თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შრომები. თბილისი, 2013.
6. <http://primetimenews.ge/%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97-%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94/>
7. <https://real00eyes.wordpress.com/2012/07/11/%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B/>
8. [http://www.isari.ge/teraqti\\_Beirutshi\\_22\\_11\\_13.php](http://www.isari.ge/teraqti_Beirutshi_22_11_13.php)
9. <https://bokagashivili.wordpress.com/2013/06/21/%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B/>
10. <http://www.timer.ge/thurqethi-akhlo-aghmosavlethi-da-samkhreth-kavkasia/>
11. <http://www.tabula.ge/ge/story/83820-qaosis-struqtura>
12. <http://sulakauri.ge/books/single/277>
13. <http://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2223.pdf>
14. [http://strate.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=130:2013-03-13-12-16-49&catid=37:2010-01-10-15-00-24&Itemid=114](http://strate.ge/index.php?option=com_content&view=article&id=130:2013-03-13-12-16-49&catid=37:2010-01-10-15-00-24&Itemid=114)

**Edisher Japharidze**

PhD Student, Georgian Technical University

**The Contemporary Geopolitical Situation of  
South Caucasus and Near East**

**Abstract**

In the article is describing the contemporary Geopolitical Situation of South Caucasus and Near East. After the Second World War south Caucasus included three independent countries, there are: Georgia, Armenia and Azerbaijan and they are continuing to exist as Subregions. The South Caucasus region policy is very important for another countries in the world because Georgia is cross-road between Asia and Europa. Georgia is corridor of long-haul traffic from Asia to Europe. Naturally many country tray to have trade monopoly on this region, for example Russia, Turkey, Europe and Near East Countries.

Today on the ground of world political situation, future of Caucasus regions are dependent on the two strategic project, on the one hand the west tray to have monopoly according to an American Conception “New silk road” on the central Asian energy supply without Russia and China and another hand Russia is going to crate Eurasian Union for the new silk road significance.

Near East region policy is very strained today because it is same situation as in South Caucasus. All big organizations and countries want to have monopoly on oil rich region. It is very important to know that near east region included following countries: Israel. Territory of Palestine, Jordan, Syria, Lebanon, modern Turkey, Iraq and east Syria, and Iran plateau: Syria, Afghanistan, and West Pakistan.

Finally, near east geopolitical condition role and significance are conditioned by three reason: Oil, there are in total 900 bn barrel oil in the region. The reason of Second is transit road as corridor to India and to China and third reason is religion fundamentalism which means life with religious rules.

## ქეთევან ჯიშიაშვილი

დოქტორანტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### სივრცის სემანტიკური მოდელები ჯემალ კუხალაშვილის ფერწერაში

ჯემალ კუხალაშვილის შემოქმედებაში ქალაქის სახის სრულად აღსაქმელად საინტერესო მასალას იძლევა სხვადასხვა სახის ურბანული სივრცეები. მათი მრავლაფეროვნება ავსებს იმ მოზაიკას, რასაც საბოლოოდ ქალაქი ენოდება. შესაბამისად, მათი ანალიზი საშუალებას გვაძლევს წინ წამოვნიოთ ქალაქური ტექსტის ის ასპექტები, რომლებიც სახასიათოა ზოგადად ქალაქური კულტურისთვის, ამ შემთხვევაში კი 80-90 წლების თბილისური ტექსტისათვის. ეზო, კაფეები, ბაზრობები, მოედნები, ქუჩა ის სივრცეებია, სადაც ადამიანისა და მატერიალური რეალობის ინტერაქციის შედეგად საბოლოოდ ქალაქის ხატის წარმოქმნა ხდება.

ქალაქის ქრონოტოპი ორი მთავარი დროითი კატეგორიის – ყოველდღიურობისა და მარადიულობის კომპლექსურ ურთიერთკავშირს ეყრდნობა.

ყოველდღიურობის ცნება, თუკი მას სოციალურ-ფილოსოფიური თვალსაზრისით განვიხილავთ, ყოფიერების ეგზისტენციალისტურ გაგებას უახლოვდება. ორივე მათგანი სამყაროში არსებობას აღნიშნავს იმ განსხვავებით, რომ ყოფიერება გაიგება, როგორც რეალურისა და იდეალურის ოპოზიცია და სამყაროს ყველა ტიპის არსებობას აერთიანებს ყველაზე ფართო გაგებით: მოვლენებს, პროცესებსა და საგნებს, იდეებს, ღირებულებებს, ცნებებს და ა.შ მაშინ, როცა ყოველდღიურობა ფოკუსირდება ადამიანის ირგვლივ და მის პირველად, რეალურ არსებობას გულისხმობს. ჰაიდეგერის აზრით, ყოფიერების არსი მჟღავნდება სწორედ ადამიანის არსებობით, ანუ ყოველდღიურობა გაიგება როგორც ადამიანური ან საკაცობრიო ყოფიერება.

ამ თვალაზრისით, კუხალაშვილის სიუჟეტები სხვადასხვა ამოცანის ირგვლივ ლაგდება: ერთი მხრივ, მის ინტერესს იმსახურებს ყოფიერების წმინდად რუტინული მოდუსი, სადაც ადამიანი თავად ქმნის სივრცის ხასიათს და სადაც გარემო შემოდის არა როგორც ფიზიკური ადგილი, არამედ როგორც ემოციათა კომპლექსური კვანძი. შესაბამისად, ამ სივრცეთა მხატვრული ფორმა ადამიანური ინტერაქციის კვალს, ინსტინქტებს, ქალურ თუ მამაკაცურ სანყისს ავლენს.

ყოველდღიურობა საინტერესოა მხატვრისთვის არა მხოლოდ როგორც ადამიანურ მასშტაბში განცდილი სივრცე, არამედ როგორც საშუალება მისი ოპოზიციის – მარადიულობის გასამყლავნებლად, რომელიც დღესასწაულის სივრცეში ირეკლება. ჯემალ კუხალაშვილის ქალაქურ სივრცეთა გალერეა ყოველდღიურობისა და მარადისობის ორ პოლუსს ქმნის, რომლებშიც ცხადად ვლინდება როგორც კულტურის კონკრეტული ნიშნები, ისე მათი მხატვრული ტრანსფორმაციის ტრაექტორია. რუტინისა და ყოფიერების სისავსის ბინარული მოდელი ტრანსფორმირდება ეზოს, კაფეს, აბანოს, ბაზრობის, რელიგიური დღესასწაულისა და მიტინგების გარდამავალ სივრცულ ხატებში.

თბილისის ურბანული ქსოვილის ერთ-ერთ სახასიათო კომპონენტს წარმოადგენს ეზო. მისი არქიტექტურისა და კომუნიკაციის სემიოტიკა საზოგადოებრივი ღირებულებების იერარქიულ სისტემას ავლენს და აქტიურად მონაწილეობს ქალაქის ხატის განსაზღვრაში. ეზოს, სამეზობლოს სოციალური მნიშვნელობა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ერთგვარი გარდამავალი სივრცეა, საფეხური ჩაკეტილ პირადულ სივრცეს – სახლსა და უფრო ფართო საზოგადოებას შორის, სადაც ინდივიდი სოციალურ ფუნქციას ახორციელებს.

თბილისური სამეზობლოს გახსნილი საკომუნიკაციო სივრცე, რაც საერთო სარგებლობის ეზოსა და აივნებს გულისხმობს, იმთავითვე განაპირობებს ურთიერთშელწევადობასა და ღიაობას. მოუწყობელი, არაკომფორტული ყოფა მჭიდრო ადამიანური ურთიერთობისთვის დამატებით პირობას ქმნის. მისი ადეკვატური, ორგანული ფორმა გახსნილი, გამჭვირვალე არქიტექტურაა.

თბილისური ეზოს სივრცულ მოდელს წარმოაჩენს კომპოზიცია „ჩვენი ეზო“, სადაც ჯემალ კუხალაშვილი ტიპური საერთო ეზოს

ყოველდღიურობას გვიჩვენებს. პირდაპირი კომუნიკაციის გვერდის ავლით მხატვარი დაუძაბავი, ბუნებრივი თანამყოფობის განცდას ქმნის, რაც ერთ სივრცეში შემთხვევით ყოფნაზე კი აღარ მიგვანიშნებს, არამედ პერსონაჟთა შორის არსებულ უხილავ შინაგან კავშირზე მიუთითებს და მათი ერთიანობის სულიერ მასშტაბს სძენს.

ეზოში მიმოზნეული ნივთები – ჩაიდანნი, ქვაბი, ძველი რკინის საწოლი და სკამი შინაურულ გარემოს, ეზოს ერთგვარ ოჯახურ ატმოსფეროს უსვამს ხაზს. ეს გაზიარებული, საერთო სივრცეა, სადაც ნებისმიერი სოციალური განსხვავება წაშლილია, შერბილებულია კონტრასტი „მე“ და „სხვას“ შორის. საერთო სარგებლობის საკომუნიკაციო სივრცეები ერთნაირ პირობებში აყენებს სამეზობლოს ყველა წევრს. ეზო ოჯახური ცხოვრების გაგრძელებაა, მისი პირველი უსაფრთხო შრე, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პიროვნების გახსნილობას გარესამყაროს მიმართ, მეორე მხრივ კი მისი დაცულობის გარანტიაა უფრო დიდი სოციალური ჯგუფების წინაშე. ტილოზე ყურადღების ფოკუსირება ხდება არა მოქმედების შინაარსზე, არა რეალობის ზედაპირულ, ხილულ მხარეზე, არამედ ყოფაზე, როგორც სიცოცხლის გამოვლენის ფორმაზე. ყოველდღიურობა მხოლოდ საშუალებაა გამოისახოს მოზღვა-ვებული, ჯერ ფორმად არ ქმნილი ცხოვრება.

ამგვარი ტიპის სამეზობლოს ცხოვრების რიტმი პატარა ქალაქის რიტმებს შეესაბამება და გაცილებით ნელია, ვიდრე ურბანიზე-ბული რაიონების ყოველდღიური რიტმები. მშვიდი, აუჩქარებელი ხატვის პროცესი, სადაც ავტორი ისეთი დეტალების გამოსახვით ტკბება, როგორცაა სკამის ზურგი, ონკანი – ამ რიტმის რეკონსტრუირებას ახდენს.

ქალაქის განვითარებასთან ერთად ჩნდება მოთხოვნა ისეთი ურბანული სივრცეების მიმართ, რომლებიც ყოველდღიურობის ფარგლებში მოქალაქეს ალტერნატიულ სივრცეებს შესთავაზებენ. რუტინული რიტმების დარღვევის და განსხვავებული სივრცის მეშვეობით ადამიანი ცდილობს თავი დააღწიოს შეზღუდვებს და დროებით თავისუფლებას ზიარებულმა, საკუთარი თავი ხელახლა აღმოაჩინოს. ამ კონტექსტში შეგვიძლია განვიხილოთ კაფეები, ბაზრობები, დღეობები და რელიგიური დღესასწაულები, ასევე მიტინგები, რომლებიც სადღესასწაულო შეკრებების ნიშნებს შეიცავენ.



კაფე, როგორც ალტერნატიული სივრცე, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ურბანულ სივრცეში. ეს არის საგანგებოდ მოწყობილი დროებითი საკომუნიკაციო ადგილი, სადაც ქალაქური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტების გამოვლენა ხდება. კაფე, როგორც საზოგადოებრივი სივრცე, მოქალაქის ემოციური მოთხოვნილების ფართო სპექტრის დაკმაყოფილებას ისახავს მიზნად. მისი მეშვეობით ადამიანს შეუძლია გადალახოს ქალაქური ცხოვრების ისეთი მძიმე მხარეები, როგორიცაა ერთფეროვნება, მონყენილობა, ანონიმურობა, კომუნიკაციის ნაკლებობა, დაღლილობა და ქალაქის სტრესული რიტმი. ერთი მხრივ, ესაა ოჯახური, ნახევრად ნაცნობი გარემო, რომელიც ქუჩისკენ იხსნება და ქალაქის მძიმე რიტმებით გადაღლილ ადამიანს კომფორტულ, შინაურულ გარემოს სთავაზობს. მეორე მხრივ კაფე საზოგადოებრივი განზომილებისა და ქალაქის ანონიმურობის ჰარმონიული თანაარსებობის შესაძლებლობას იძლევა.

უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთობის ტიპი, რასაც საზოგადოებრივი სივრცეები სთავაზობს ადამიანს, იმთავითვე გულისხმობს სხვადასხვა სახის შემოქმედებითი ინტერაქციის სტიმულირებას. ეს ერთგვარი საკომუნიკაციო პლატფორმებია, სადაც სოციალური განსხვავებები ნიველირდება. აქ ყოფნა თავისუფალ ნებას, სურვილს, სიამოვნებას უკავშირდება და არა სოციალურ ვალდებულებას. შესაბამისად, დიდია სიამოვნებისა და განტვირთვისთვის ტიპური შემთხვევითობის, სპონტანურობის ხარისხი – ერთგვარი თამაშის რეჟიმი. მობილურობა, რაც კაფის მეორე მნიშვნელოვანი მახასიათებელია, საყოველთაო შეღწევადობას განაპირობებს, რითაც კიდევ უფრო მძაფრდება როგორც სოციალური მიმლეობის, ასევე შემთხვევითობის ხარისხი. სივრცის ირაციონალური თვისებების ზრდასთან ერთად, კაფე სცდება მონოტონური რუტინულობის სფეროს და უახლოვდება სადღესასწაულო სივრცით განცდას, სადაც დღესასწაული ადამიანს პირად მასშტაბში ეძლევა. რა თქმა უნდა, საყოველთაობისა და გახსნილობის ის სიმძაფრე, რაც სახალხო ზეიმებს ახასიათებს, აქ არ გვხვდება, თუმცა, ამ მოთხოვნათა ზედაპირული დაკმაყოფილება მაინც ხერხდება.

კომპოზიცია „კაფეში“ მხატვარი ყურადღებას აჩერებს საზოგადოებრივი სივრცის ისეთ ტიპზე, სადაც ადამიანისა და ტოპოსის ინტერაქციის შედეგად სივრცის სრული ტრანსფორმაცია ხდება.

მხატვრული გადანწყვეტა ყვითელი, მწვანე და წითელი ლაქების კონტრასტულ შეთანხმებაზე იგება. ფერთა ამგვარი შერჩევა იმთავითვე განსაზღვრავს სივრცის გაჯერებულ, დატვირთულ მუხტს. უხეში, სწრაფი მონასმით შესრულებული ფართო ლაქები სივრცის ემოციურ განწყობაზე, მის ხმოვან და ეროტიულ ფაქტურაზე მიგვანიშნებენ.

აბანო, როგორც საზოგადოებრივი სივრცის ტიპი თბილისური კულტურული იდენტობის მნიშვნელოვანი მარკერია. აბანო ყოველდღიურობის ნაწილი და, იმავდროულად, მისი ალტერნატივაა, რომელიც უშუალო დანიშნულების გარდა, განმუხტვის, ფიზიკური მოდუნებისა და სოციალიზაციის შესაძლებლობასაც მოიცავს. დღეს აბანოს რიტუალი თანამედროვე ყოფის ლოგიკას აღარ პასუხობს. იგი ერთგვარ ეგზოტიკურ სივრცედ იქცა, ქალაქის ლეგენდის ნაწილად, რიტუალად, რომელსაც ადამიანი თანამედროვეობიდან წარსულში გადაჰყავს. თავის ტილოებში აბანოს ტრადიციის დაბრუნებით და მისი შერწყმით თანამედროვე კაფის ინტერიერთან, მხატვარი ქალაქური სივრცის მრავალშრიან სახეს ჰქმნის, სადაც მშვიდობიანად თანაარსებობენ ურბანული ლეგენდა და ამწუთიერად განცდილი რეალობა. ამ მოდელს ემორჩილება მხატვრული გადანწყვეტაც, რომელიც ქალაქურ სანყისს უსვამს ხაზს და სივრცეს ეროტიულობის კონოტაციას ჰმატებს.

აბანო თბილისური მითის პირველ შრეს მიეკუთვნება, ლეგენდა თბილ წყლებზე შემორჩა არა მხოლოდ როგორც ქალაქის მითი, არამედ შენარჩუნდა მის სახელწოდებაშიც, რაც, როგორც ლოტმანი აღნიშნავს, ქალაქის სემიოტიკის ორი მთავარი აღმნიშვნელიდან (Лотман, Успенский, 1982) ერთ-ერთია და განსაზღვრავს ქალაქის სახეს. ცნობილი თბილისური აბანო, რომელიც დედაქალაქის იდენტობის ცენტრალურ აქცენტს ქმნის, ამ მითის ერთგვარი გაგრძელებაა, მისი ისტორიულად ჩამოყალიბებული, მატერიალურ-კულტურული ხატი, რომელიც, იმავდროულად, ქართული კულტურული იდენტობის აღმოსავლური დანაშრევის ნიშნებსაც შეიცავს.

კაფეს პირველადი ფუნქცია საუბრის მეშვეობით კომუნიკაციას გულისხმობს. საგანმანათლებლო ეპოქაში შექმნილი ამ ტიპის საზოგადოებრივი სივრცე მსჯელობის, აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და დისკუსიების ადგილს წარმოადგენს.

თანამედროვე კაფეს ურთიერთობისგან მიღებული სიამოვნება კაფეს სულიერი კომფორტის გარემოდ აქცევს, რომელიც შორსაა ღრმა ინტელექტუალური თუ სულიერი დატვირთვისგან და, როგორც წესი, ზედაპირულ, მსუბუქ აზრთა და ემოციათა გაცვლა-გამოცვლას გულისხმობს. აბანოსა და კაფეს ამ ორი ფუნქციის შერწყმით საგანგებოდაა პედალირებული ტკბობის, განმუხტვის ატმოსფერო. ერთმანეთს ერწყმის, ერთი მხრივ, აბანოსთვის სახასიათო მარტივი – სხეულებრივი ტკბობის რიტუალი, მეორე მხრივ კი – ურთიერთობისგან მიღებული სიამოვნება.

ამ თემის ილუსტრაციას ვხვდებით კომპოზიციაში „ჩაის სმა ბანაობის შემდეგ“. ნამუშევარში გადამწყვეტ როლს ინტერიერის არქიტექტურული დეტალები ასრულებენ. არქიტექტურული მოცულობების დამუშავება მნიშვნელოვან კონოტაციას უქმნის ბანაობისა და ჩაის სმის სცენას. მაღალი სვეტები კაპიტელებით, სიღრმეში გაშლილი თალების წყობა, კამარებს შიგნით ხაზგასმული სივრცე ამ მშვიდ, ჰარმონიულ ატმოსფეროს საკრალურ სივრცედ გარდაქმნის, სადაც უბრალო მოქმედებები – ჩაის სმა, ბანაობა, რიტუალურ ქმედებათა რიგში დგება.

ჯემალ კუხალაშვილის შემოქმედებაში დღესასწაულის თემას არაერთი ნამუშევარი ეძღვნება, ვხვდებით სახალხო ზეიმების ისეთ ფორმებს, როგორცაა დღეობები, რელიგიური დღესასწაულები, სახალხო შეკრებები, აგრეთვე დღესასწაულის ისეთი ახალი ტრანსფორმაციები, რომელთა გაჩენაც ურბანულ განვითარებასთანაა დაკავშირებული. სახალხო თუ რელიგიური დღესასწაული რუტინის ოპოზიციას და „სივრცის ფლობის“ სკალაზე მის ფინალურ წერტილს წარმოადგენს, სადაც ადამიანს შეუძლია ერთიანობაში გაითქვიფოს და თავის პრესოციალურ, ეგზისტენციალურ ყოფიერებას ეზიაროს.

ცნობილია, რომ საბჭოთა პერიოდში დაარსდა სახელმწიფო დღესასწაულები, რომელმაც საკუთარი იდოლოგიური გავლენების გაძლიერების მიზნით, ჩაანაცვლა სახალხო შეკრებებისა თუ რელიგიური ზეიმების ისტორიულად დამკვიდრებული მოდელები. ათწლეულების განმავლობაში ეროვნული დღესასწაულების ტრადიციას ფსევდოზეიმები ენაცვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი, გარკვეულად, გამოსხატავდა გამარჯვებული თაობის საზეიმო განწყობას (მაგალითად, 9 მაისი), ეს იყო მხოლოდ საზო-

გადოების ნაწილის, გარკვეული ისტორიული რეალობის წიაღში შექმნილი დღესასწაული, რომელსაც არაფერი ჰქონდათ საერთო ტრადიციასთან, კულტურულ ფესვებთან ან თუნდაც ადამიანის შინაგან მოთხოვნილებასთან, რასაც, ჩვეულებრივ, ეფუძნება ნებისმიერი ჩამოყალიბებული სადღესასწაულო რიტუალი. ხშირ შემთხვევაში, იმ აღლუმებსა და ზეიმებში მონაწილეობა, რომლებიც საბჭოურ იდეას ეძღვნებოდა და სისტემას განადიდებდა, პროტესტის, აბსურდულობისა და ფარსის განცდას აღძრავდა, მით უმეტეს, რომ მათში მონაწილეობა ინსტიტუციონალურად ორგანიზებული და სავალდებულო იყო. სახალხო შეკრებები, თამაშობები, რომლებიც მე-19 საუკუნის თბილისში ჯერ კიდევ იმართებოდა, თბილისობის ფსევდოსახალხო დღესასწაულით ჩანაცვლდა და მხოლოდ სანახაობრივ-მომხმარებლურ კომუნიკაციას გულისხმობდა. არანაკლებ მნიშვნელოვანია რელიგიური დღესასწაულისა და რიტუალის გაქრობაც, რამაც კიდევ უფრო შეამცირა ტრანსცენდენტულთან ზიარების შესაძლებლობა. ასე რომ, ფაქტობრივად, მოიჭრა ყველა გზა მასობრივი განმუხტვისა და თვითგამოვლენისაკენ და ადამიანი ყოველდღიურობის ამარა დატოვა. მონესრიგებული სოციალური გარემოსა და მოგვარებული ყოფითი პრობლემების მიუხედავად, არხი, რომელიც ადამიანის არამატერიალურ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებდა, დახშული აღმოჩნდა.

სახალხო დღესასწაულების გაქრობა მხოლოდ საბჭოთა კავშირისთვის არაა დამახასიათებელი. მეოცე საუკუნეში მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა დასავლურ კულტურაშიც, სადაც განვითარების განსხვავებული ხაზის მიუხედავად, საბოლოოდ იგივე სურათთან გვაქვს საქმე – სახალხო ზეიმებს მეოცე საუკუნეში „უიქენდების“ კულტურა ენაცვლება და ერთიანობა ოჯახურ, ინდივიდუალურ დონეზე განიცდება.

ფერწერულ ტილოში „გიორგობა“ მხატვარი მოქმედებას ძველ თბილისურ ქუჩაში განათავსებს, სადაც უწყვეტად მოედინება მოზეიმე ხალხის ნაკადი. ხალხის მდინარებისა და სივრცის სისავსის მასშტაბის უკეთ აღსაქმელად მხატვარი პერსპექტივას იყენებს, რაც იშვიათია მის შემოქმედებაში. ხალხის ერთიანი ქსოვილი იმდენად მდიდარია მჟღერი ფერადოვანი ნიუანსებით, რომ მოციმციმე მატერიის შთაბეჭდილებას ქმნის. ეს მატერია კი ერთიანად მოიცავს ადამიანებს, ეტლებს, სახლებს. ეს საყოველთაო ზეიმი, სა-

დაც ქალაქის სულიერი და მატერიალური პლასტი თანაბრად მონაწილეობს. ქალაქის მატერიალური სივრცე აქ არა მხოლოდ ნაკლებად აქცენტირებულია, არამედ მთლიანად ჩართულია საყოველთაო დღესასწაულში. ფერწერული სუბსტანციის ამგვარი გადაწყვეტა წინ წამოსწევს დღესასწაულის არსობრივ თავისებურებებს, პირველ რიგში, სოციალური ან რაიმე სხვა განსხვავების მაქსიმალურ გაერთმინებელიანებას, განურჩევლობას, ერთიანობას, რომელიც „მეს“ დროებითი ნაშლა უდევს საფუძვლად.

ქალაქი თმობს საკუთარ არქიტექტურულ სხეულს, მოზეიმე მასის განწყობა ერთიანად იპყრობს სივრცეს და ქალაქის ფუნქციურ ნაწილს საკუთარ ატრიბუტად, საკარნავალო დეკორაციად გარდაქმნის, რის გამოც მთელი ეს სცენა ჯადოსნურ დღესასწაულს მოგვაგონებს და გულუბრყვილო, ბავშვურ სამყაროში გვაბრუნებს, რაც არის კიდეც დღესასწაულის ამოცანა – შექმნას სივრცე, სადაც ადამიანი შეძლებს პრესოციალურ იმანენტურ მყოფობას საკუთარ ჭეშმარიტ „მე“-ს, პრესოციალურ, იმანენტურ მყოფობას დაუბრუნდეს „აქ, საკარნავალო მოედანზე, გაბატონებული იყო თავისუფალი, ფამილარული ურთიერთობა ადამიანთა შორის, რომლებიც არაკარნავალურ ცხოვრებაში დაშორებულნი არიან ერთმანეთთან ისეთი გადაულახავი ბარიერებით, როგორცაა სოციალური თუ ქონებრივი განსხვავებები. ეს იყო დროებითი იდალურ-რეალური გამარტივება იერარქიული ურთიერთობისა ადამიანთა შორის, რომელსაც ადგილი ჰქონდა საკარნავალო მოედანზე, რაც შეუძლებელი იყო ჩვეულებრივ ცხოვრებაში“.

ჯ. კუხალაშვილის შემოქმედებაში ხშირად გვხვდება ბაზრობის თემა, რომელსაც მხატვარი ერთ სივრცეში თავმოყრილი ხალხის პანორამული ხედით გადმოსცემს. ამ გზით მხატვარი ხაზს უსვამს ბაზრობის სახალხო მნიშვნელობას. ბაზრობის კულტურული დანიშნულება სცილდება შექმნისა და გაყიდვის, მიწოდებისა და მოხმარების ეკონომიკურ-პრაგმატულ გაგებას. იგი სახალხო დღესასწაულის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და მომიჯნავე სივრცეა დღესასწაულსა და ყოველდღიურობას შორის, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ ყიდვის აქტს, არამედ სოციალურ კომუნიკაციასაც: ხალხის ნაკადთან ერთიანობის განცდა მას სადღესასწაულო გარემოსთან აახლოებს. ბაზრობა შექმნის დღესასწაულია – ქმედება, რომელიც სოციალურ რიტუალად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ბაზრო-

ბის სივრცის პრაგმატული ფასადის მიღმა საზოგადოების სულიერი მოთხოვნები იკვეთება: კომუნიკაციის სურვილი, ერთობის განცდა, საერთო სივრცეში თანაარსებობა. ციკლური ხასიათი, განსაკუთრებული თარიღები, რაც მას სახალხო დღესასწაულებთან, შობასა და აღდგომასთან აკავშირებს, ბაზრობას რიტუალურ მოვლენათა რიგში ათავსებს და ამ გზით ტრანსცენდენტულთან ზიარი ხდება. ეს არის სივრცე, სადაც ბანალური ყოფა ყოფიერებასთან შერწყმისაკენ ისწრაფვის. როგორც ედმუნდ ლიჩი აღნიშნავს, ნებისმიერ რიტუალში საქმე გვაქვს ორივე მხარესთან: პროფანულთანაც და საკრალურთანაც. ამ ორ უკიდურეს წერტილს შორის ქმედებათა მთელი სპექტრია განლაგებული. ასე რომ, საკრალურობა და პროფანულობა არა მოვლენათა ტიპების განსაზღვრებაა, არამედ ნებისმიერი ქმედების ორი ასპექტი (Leach, 1954, 12-13).

ნამუშევარი „გვიანი ბაზარი“ კოლორიტი მქრალია, არაინტენსიური და ბაზრის ვნებისგან დაცლილ, გადაღლილ განწყობას პასუხობს. ამ მხატვრულ სახეს საღამოს ზღვისა და გვიანი ბაზრის მეტაფორათა გადაკვეთის წერტილი უდევს საფუძვლად: ყოფითი სივრცის ტრანსცენდენტულში გადასვლის წამი, როცა ყოველდღიურობა საკუთარ თავს ამოწურავს და მატერიალურ განზომილებაში მყოფი სივრცე მარადიულობაში გასრულდება.

ზემოთ განხილული გარდამავალი ურბანული სივრცეების მსგავსად, დღესასწაული, როგორც კულტურის თვითგამოხატვის ფორმა და, ამავე დროს, საზოგადოებრივი ინტეგრატორი, განსაკუთრებული სახით ავლენს თავს იმ ნახატებში, რომლებიც 80-90 იანი წლების მიტინგებსა და ეროვნულ-განმათავსუფლებელ მოძრაობას ასახავენ.

ეროვნული მოძრაობის გაძლიერების კვალდაკვალ იწყება იმ დავიწყებული კულტურული მოდელის აღდგენა, რომლის მეშვეობითაც ქართველი საკუთარ იდენტობას შეიგრძნობს და უმაღლეს წესრიგს საკუთარი უნიკალური გზით ერწყმის. იზრდება ინტერესი ისტორიული ფესვებისა და ეროვნული თვითმყოფადობის მიმართ. სივრცის განსაკუთრებულ, „არაყოველდღიურ“ სახეს მიეკუთვნება მიტინგის სივრცე – დღესასწაულის დრამატული ორეული. ჯ. კუხალაშვილთან თავდაპირველად იგი ჩამოყალიბებული, ქაოტური სუბსტანციაა.

მიტინგები გვევლინება იმ მთავარ სივრცედ, სადაც საბჭოთა წყობილების დროს აკრძალული ეროვნული ღირებულებები, სამომავლო გეზი და წარსულის ტრადიცია მატერიალურ დონეზე უნდა განხორციელდეს. ეს სემანტიკა იკითხება კუხალაშვილის ტილოებში „ერის ხმა“, „მიტინგი გარეუბანში“ და სხვა.

კომპოზიციაში „მიტინგი გარეუბანში“ გარეუბანში მხატვარი სამიტინგო სივრცის განსაკუთრებულ ემოციურ ატმოსფეროს გადმოგვცემს. უახლესი ისტორიული პერიოდის ემოციური სახის გახსნასთან ერთად, ნამუშევარში მომავალი ტრაგიკული მოვლენების ხატსაც ვხვდებით. პირველი, რადიკალური ნაბიჯი, რითაც ადამიანი თავისუფლებაზე აკეთებს განაცხადს, დღესასწაულისა და მიტინგისთვის ერთი და იგივეა და გახისტებული ნორმისაგან თავის დაღწევაში მდგომარეობს. მიტინგების შემთხვევაში, ნორმის ცნებაში საბჭოთა სახელმწიფო სისტემა და მის მიერ მართული სოციალ-ოკულტურული სივრცე იგულისხმება. 80-90-იანი წლების ისტორიული მოვლენები ახალ სივრცეს ქმნის ქალაქის შიგნით. იგი სახეს უცვლის ქალაქის მთავარ პროსპექტსა და მის მიმდებარე ტერიტორიას. პირველ რიგში, იცვლება ქუჩების ფუნქცია. ისინი მასათა შეხვედრის ადგილად იქცევიან – საერთო მიზნების, ემოციების მასპინძელ ანონიმურ სივრცედ. ქალაქის მთავარი სანტრასპორტო მაგისტრალი – თავისი მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ნაგებობებით – ყოველდღიურ დანიშნულებას იმორებს, განსაკუთრებული სიმბოლიკით დატვირთულ, საგანგებოდ შექმნილ სივრცედ ყალიბდება და უკვე მთლიანად მასათა მიმოქცევას ემორჩილება. ეს არის ერთგვარი „მოსახმარი“ ტერიტორია, რომელიც მომიტინგეთა მოთხოვნებს პასუხობს. მას შემდეგ, რაც სივრცის მონიშვნის, მისი დაკავებისა და მასზე საკუთარი წესრიგის გავრცელების პირველი ეტაპი სრულდება და მიტინგები სტაბილურად განმეორებად სახეს იძენს, რუსთაველის პროსპექტზე ყალიბდება სამიტინგე სივრცე, რომელსაც მთლიანად იპყრობს 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის მისწრაფებები.

მიტინგის „დაკავებულ“ ტერიტორიაზე განსაკუთრებულად განიცდება დრო-სივრცე, წარსული, აწმყო და მომავალი მჭიდრო კვანძს ქმნიან. თითოეული მონაწილე ჩართულია ერთ საერთო შემოქმედებით პროცესში, რომელიც სამშობლოს იდეალური ხატის გაცოცხლება-გამოძერწვას გულისხმობს. დრო-სივრცული ერთიანო-

ბის განცდა ბევრად აღემატება პოლიტიკურ მიზანს. შესაბამისად, ინდივიდუალურ დონეზე მიტინგის სივრცე დღესასწაული, ანუ ყოფიერებასთან და ისტორიასთან შეხვედრის ტოპოსია.

### ბიბლიოგრაფია:

1. Бахтин, М (1990). *Творчество Франсуа Рабле и народная культура Средневековья и Ренессанса*. „Худож. Лит“, 1990. [http://krotov.info/libr\\_min/02\\_b/ah/00\\_bahtin.html](http://krotov.info/libr_min/02_b/ah/00_bahtin.html)
2. Leach, E (1954). *Political System of Highlands*, London: BUma Лотман Ю, Успенский Б (1982). *Отзвуки концепции "Москва – третий Рим" в идеологии Петра Первого* (04. 05, 2016). [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/Ysp/04.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/Ysp/04.php)

### **Ketevan Jishiashvili**

PhD Student, Ilia state University

### **Spatial semantic models in Jemal Kukhalashvili painting Abstract**

City image is based on different spatial experiences of society members the main sign of which is the need for space dominance. Diversity of such spaces finely creates the mosaic called the city. In this regard we find extremely interesting the urban spaces in Jemal Kukhalashvili art that reveals multiple aspects of urban space typical for Tbilisi in years 80s-90s of twentieth century.

The city text is a combination of complex material created by everyday life and the space-time created by the interaction of spiritual experience and physical space.

Typical Tbilisi yard is the first transitional space between one's spiritual world and the city life where the social function could be completed. Urban culture of Tbilisi yard is based on tight social relationship and sharing of everyday life. The neighborhood is the continuation of a family life – its first secure shell that ensures the openness of the individual to the world and at the same time it is security guarantee among larger social groups.

The type of relationship offered by cafe space to individual implies stimulation of different creative interactions. Cafes are social communication platforms where social differences are neglected. Café space is associated with



one's free will and pleasure instead of social obligation or responsibility. Therefore degree of joy and spontaneity is significant as well as "playing mode" related with leisure and relax. The increase of irrational qualities of the space makes café space more similar to fest space where celebration is experienced in the personal dimension. However, the degree of openness characteristic for public celebrations in case of cafes is not achieved but still personal satisfaction is reached at some extent.

The baths are important spatial markers for Tbilisi cultural identity. Being part of everyday life they offer possibility of socialization as well as physical relax. In the contemporary world baths are exotic tradition, the part of the legend, ritual that can take person to the past. The return of the theme of traditional baths to Kukhalashvili painting and its synthesis with café space leads to creation of multilayer city image where the urban legend and instantaneous reality are combined.

The market place is the boarder space between celebration and everyday life. Market is the celebration of acquiring that involves trade as well as interpersonal communication. The sensation of unity with the flow of people makes fests especially valuable for individual. Beyond the pragmatic façade of the markets and fairs the spiritual needs of society are observe: need for communication, integration and the need for coexistence in the common space.

The space of Political meetings is a dramatic twin of fest space. Space occupied during the meeting creates exceptional time-space experience where the past, present and future are integrated. Each meeting participant is taking part into the process of creation of ideal image of the motherland. Kukhalashvili meeting space is celebration topos, the place where existence and history meet each other.

გამომცემლობის რედაქტორი  
დამკაბადონებელი  
გარეკანის დიზაინერი  
გამოცემის მენეჯერი

**მაია ეჯიბია**  
**ხათუთა ბადრიძე**  
**ნინო ებრალიძე**  
**მარიაკა ერქომაიშვილი**

0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 14  
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179  
Tel.: 995(32) 225 14 32  
[www.press.tsu.ge](http://www.press.tsu.ge)

